

მასწავლებელი

სერტიფიცირება
თანამედროვე მასწავლებლის გამოწვევები

საკლასო ოთახში, მოსწავლის პირისპირ

ქართული კინო და მასწავლებელი

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების საინფორმაციო

მასწავლებლის ეროვნული მეცნიერების ცენტრი

N4, 2009

ISSN 1987-6149

ჟურნალი

მასწავლებელი

აგრძელებს კონკურსს!

ჩაერთეთ

კონკურსში!

გაგვიზიარეთ

თქვენი გამოცდილება!

საუკეთესო გაკვეთილი

სამოქალაქო განათლებაში!

გამოგვიგზავნეთ გაკვეთილის გეგმა, თვალსაჩინოებები და სავარჯიშოები!

საუკეთესო გაკვეთილების ავტორები საჩუქრად მიიღებენ **ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას** და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**





კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო გაკვეთილი გამოვლინდება.

გაკვეთილების გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!

საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ბავშვობაში ორი ახალი წელი გვქონდა: 1 იანვარი და 1 სექტემბერი. ორივეს მღელვარებით ვხდებოდით – თითოეულს თავისი სამზადისი და ემოცია ჰქონდა. ეს ის ემოციები და განცდებია, დრო რომ ვერ ახუნებს. არდადეგებზე დაგროვილი ამბების გასამხელად ერთმანეთთან დღესაც მიეჩქარებათ... სურვილი, რომ წელს უკეთ უნდა ისწავლონ, შეუცვლელია.

მასწავლებლები თავისთავად ვეცდებით, მოსწავლეებს საინტერესო გარემო შევუქმნათ გაკვეთილზე. ვფიქრობთ, ჩვენს ჟურნალში შემოთავაზებული რჩევები მოზარდების მოტივაციის ამაღლებაში დაგეხმარებათ, როცა საკლასო ოთახში მათთან პირისპირ დარჩებით.

მშობლებს შეუძლიათ სასურველი მიზნების მიღწევაში დაგვეხმარონ. მათთან ერთად გაცილებით იოლად მოვახერხებთ საკუთარი ინიციატივების განხორციელებას. როგორ ვაქციოთ ისინი ჩვენს მოკავშირეებად? – მშობლებთან თანამშრომლობის რამდენიმე საიდუმლოს აქვე წაიკითხავთ.

წელს ძალიან მნიშვნელოვანი წელი დგება მასწავლებლებისთვის. მათ თანამედროვე გამოწვევებს უნდა უპასუხონ და სერტიფიცირებისთვის მოემზადონ. თქვენთვის მცირე ექსკურსი მოვაწყვეთ: მნიშვნელოვან და საინტერესო შეკითხვებს „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეები, აგრეთვე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე პასუხობს.

გვჯერა, რომ სერტიფიცირება მასწავლებლის პროფესიული განვითარების გარანტია. იმაზეც შევთანხმდით, რომ პედაგოგი კარგად ინფორმირებული უნდა იყოს. გარდა ამისა, მას შესაბამისი მოტივაციაც უნდა ჰქონდეს, რათა წარმატებით ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები. სახელმწიფომ პედაგოგის პროფესია უნდა დაარეგულიროს, მასწავლებელმა კი კარგად უნდა იცოდეს როგორც საკუთარი მოვალეობები, ასევე უფლებები. წარმატებული მასწავლებლები, თავის მხრივ, უკეთესი თაობების წინაპირობას წარმოადგენენ.

და ბოლოს, ჟურნალი „მასწავლებელი“ ახალი სასწავლო წლის დადგომას გილოცავთ! წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს გისურვებთ!

ეს თქვენი ჟურნალია. ვცდილობთ, ყველა სტატია და ინფორმაცია მნიშვნელოვანი, საინტერესო და თქვენთვის სასარგებლო იყოს. თუმცა მასწავლებლების დახმარების გარეშე ამ ამოცანას თავს ვერ გავართმევთ. თქვენ ყველაზე კარგად იცნობთ სინამდვილეს, იცით, რა გჭირდებათ... მოგვწერეთ და საკუთარ საქმიანობაზე მოგვიყევით. თანამშრომლობის პროცესში ერთმანეთისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გავხდებით.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი

N4, 2009

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

რედკოლეგია:

სოფო გორგოძე
პაატა სირგბილაძე
ლელა სამნიაშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
თამარ ონოფრიენკო

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე

სტილისტი: ირმა ტაველიძე

დიზაინი: ბესიკ დანელია

ფოტო: გელა გედიანაშვილი, ნაილი ვეძილი

მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი

ჟურნალისტები:

თამარ კაციტაძე, მანანა ხიდაშელი, ირმა კახურაშვლი, გელა ჩეკურიშვილი, ირაკლი კოპალეიშვილი, თეა თოფურია, შორენა ბურდილაძე, მაკა ჩინიჯიშვილი

ფოტო გარეკანზე: გრიგოლ კოლბერი

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი

მასწავლებელი

დარეკეთ:

შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79

სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58

შინაარსი

სტატიები

ექსპერტი

პავლე თვალიაშვილი

5 **დამწყებ მასწავლებელთა მენტორობა: ინოვაციური პრაქტიკა და მიდგომები**

დამწყები მასწავლებლების პროფესიული საქმიანობის წარმატებით დაწყებისა და სკოლაში შენარჩუნების წინაპირობა.

მოსაზრება

ამირან ჯამაგიძე

8 **სამეურვეო საბჭო - საზოგადოების სკოლისაკენ შემობრუნების მექანიზმი**

როგორ გავხადოთ საზოგადოებისათვის სკოლის ცხოვრება, მისი მართვა და განვითარების პროცესი ღია და გამჭვირვალე.

ინტერვიუ

ირმა კახურაშვილი

11 **მასწავლებლის სერტიფიცირება - პროფესიული უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტი**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე, სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხობს.

ექსპერტი

ნინო ელბაქიძე

18 **მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები**

მშობელი, როგორც მოკავშირე. ურთიერთანამშრომლობის გზები და მეთოდები.

რჩევა

ირაკლი კაკაბაძე

23 **საკლასო ოთახში, მოსწავლის პირისპირ**

რამდენიმე შეთავაზება მასწავლებელს, მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის.

ინტერვიუ

მანანა ხიდაშელი

43 **ბავშვმა საკუთარი თავი თვითონ უნდა აღზარდოს**

„მასწავლებელს“ მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი საკუთარ გამოცდილებაზე და შეხედულებებზე ესაუბრა.

ნინო ძანძავა

46 **ქართული კინო და მასწავლებელი**

მასწავლებლის პროფესია და კინემატოგრაფი. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობის თემაზე დღემდე არაერთი კინემატოგრაფიული შედევრი შექმნილა.

რუბრიკები

მრგვალი მაგიდა

შორენა ბურდილაძე

14 **როგორ მოვამზადოთ მასწავლებლები სერტიფიცირებისთვის?**

ანუ თანამედროვე მასწავლებლის გამოწვევები

ერთი სკოლის ისტორია

ირაკლი კოპალეიშვილი

21 **ომგამოვლილი სკოლა**

ინოვაციური მიდგომებით გამორჩეული გორის მე-4 სკოლა, დღეს, ომგამოვლილ ქალაქში აქტიური სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობს

ნოვატორები

თამარ კაციტაძე

33 **ინტეგრირებული გაკვეთილები „ინტეგრირებულ“ კლასებში**

სამი სხვადასხვა სკოლის ქიმიის მასწავლებელი და წარმატებული ინტეგრირებული გაკვეთილები.

გამოცდილება

თამარ ონოფრიენკო

36 **მალტა – ქვეყანა, სადაც არ იცინან, რა არის „შატალო“**

მალტა წარმატებული და განვითარებული ქვეყანა. წარმატების საიდუმლოს გასაღები განათლებისკენ სწრაფვაში იმალება.

41 **პასუხები თქვენს შეკითხვებზე**

მათემატიკის სასერტიფიკაციო გამოცდის შინარსისა და ფორმატის შესახებ, პედაგოგების შეკითხვებს ექსპერტები პასუხობენ

გაკვეთილი

ბელა ჩეკურიშვილი

49 **როგორ ვასწავლოთ – „ვეფხისტყაოსანი“**

„ვეფხისტყაოსნის“ ახსნა მეორეკლასელებისთვის შესაფერისი მეთოდით ხდება, მასწავლებელი მას ერთგვარი თამაშის ფორმას აძლევს.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. გაკვეთილის თემა: ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
2. პრაქტიკული სავარჯიშოები სოციალური უნარ-ჩვევების განსავითარებლად
3. საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების ინსტრუქციები პროფესიული განვითარების ვაუჩერების ადმინისტრირებისა და მოხმარების შესახებ
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების ადმინისტრირების ეტაპები

25-32

რეგიონი

მაკა ჩინიჯიშვილი

51 **ქიმიის გაკვეთილის ფორმულა**

სტერეოტიპები ინგრევა: ქიმიის გაკვეთილი შეიძლება არც ისე მოსაწყენი იყოს – ქუთაისის 22-ე საჯარო სკოლის გამოცდილება.

მასწავლებელი

ბელა ჩეკურიშვილი

53 **ერთი მასწავლებლის ისტორია**

ახალგაზრდა მასწავლებელის, კობა ოთარაშვილის გასავლელი გზა – „ჩემი მოსწავლეებიდან“ – „ჩემს ბავშვებამდე“.

რჩევა

თეა თოფურია

55 **ესთეტი ბავშვები ანუ სასკოლო ღონისძიება და მისი დაგეგმვა**

სასკოლო ღონისძიება მხოლოდ ერთჯერად სანახაობად რომ არ დარჩეს, სასურველია, მასწავლებელმა ის, როგორც სასწავლო რესურსი გამოიყენოს.

ძვირფასო მასწავლებლებო,

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! უფროსებისადმი, გოსტიერებთან ურთიერთობას, სიძველეების თაყვანცემა და ქვეყანაში და ისტორიული ფასეულობებს. გოსტიერებო, ეს თაობიერია მასწავლის ცხოვრებაში შეგვწყალთან სიბრძნის სხივი, რომელიც ამ ცხოვრების ზღვრამდე გზას გაუნათებს.

ალი მასწავლებელია, აღმასი ყველაზე დიდი ასპიროსიძეებ-ლიბერალ ქვეყნის ფრონტზე, ისადგურ თქვენ ამ მომავლის გასაზრდელად. მასწავლებლებია დამამცველებელია, ამავდროულად გასაზრდელებელია, დიამეტრალური ლიბერალებელში აღმზრდელია და საერთაშორისო ასოციაციაში ეროვნულ მომავლია თაობა.

ეს ასის ოდენია, საბოლოოდ დაასრულა ისტორიოლოგია მასწავლებლის შრომა – გასწავლილებით დღეს, როცა ამ მომენტი ბოლოდროინდელ ეროვნულ ენაზე, შესაბამისად, ეროვნულების ისტორია თაობა საქმე კიდევ ერთი თაობა და საფასურიანად გასდა.

ბატონებო, თქვენი ისტორიული მოვალეობაა ამ ადამიანი დათესოს შესაბამისობა და ეფექტიანობა. ისეთი გვაქვს, ჩვენი დასახელება ბასილაიას ერთი ძალიან ეფექტური გასტიკა, თქვენ კი ისტორიული გასეგიანების შესაძლებლობებს ტანმაგრები გამოიყენეთ საკუთარი ისტორიის გასაუმჯობესებლად.

და ბოლოს, გოსტიერებო, თქმა მასწავლებლებსა საკანონმდებლოში ყველაზე ეგზაცდა დაფასებული და ყველაზე ისტორიული ისტორიალად ეროვნულად, ისადგურ სტენდი ეს ასის ჩვენი ერთიანობიანი ეროვნული ბანკის საბოლოო ამბანი. ეს ამბავი გასინანურებელია კი ჩვენი ქვეყნის ზეფიანური მომავლის საფარველია.

ისგეგის ცოდით,

ნოდარ ბერიძე

მასწავლებლებია ისტორიული გასეგიანების ცენტრის დირექტორი

დამწყებ მასწავლებელთა მენტორობა: ინოვაციური პრაქტიკა და მიდგომები

პავლე თვალიაშვილი

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ე.წ. მაძიებლობის ინსტიტუტის შემოღებაა. ეს ქვეყნები აქტიურად ცდილობენ აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვას, რაც დამწყები მასწავლებლების პროფესიული საქმიანობის წარმატებით დაწყებისა და სკოლაში შენარჩუნების წინაპირობაა.

ევროსაბჭოს განათლების პროფესიონალთა ტრენინგების პროგრამა „პესტალოცის“ მხარდაჭერით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანადგომით გაიმართა სემინარი თემაზე, „დამწყებ მასწავლებელთა მენტორობა: ინოვაციური პრაქტიკა და მიდგომები“.

სემინარში, ქართველი პედაგოგებისა და განათლების ექსპერტების გარდა, მონაწილეობდნენ სლოვენიის, ხორვატიის, ესტონეთის, ლატვიის, მალტის და იტალიის წარმომადგენლები.

სემინარის მონაწილეებმა მენტორობის ინსტიტუტთან დაკავშირებით პრეზენტაციები წარმოადგინეს, რასაც თან დისკუსია ახლდა. მათ მცირე ჯგუფებში განიხილეს მენტორისა და მაძიებლის უფლება-მოვალეობები, მენტორის სახელმძღვანელო და ის რეკომენდაციები, რომლებიც მის დასახვეწად მოამზადეს.

სემინარი ორი თვალსაზრისით იყო აქტუალური: ერთი მხრივ, მაძიებლობის საპილოტე პროექტის საკოორდინაციო ჯგუფს საშუალება მიეცა, ერთწლიანი პილოტირების გამოცდილება გაეზიარებინა სემინარის მონაწილეთათვის. მეორე მხრივ კი, ქართველი და უცხოელი განათლების სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით, პროექტის დანერგვის მომდევნო საფეხურისთვის, ორიენტირები და კონკრეტული ამოცანები დაისახა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რამდენადაც მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვის პირველმა მცდელობამ საქართველოში დადებითი შედეგები აჩვენა.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ვკითხულობთ: „მასწავლებლობის მაძიებელი არის პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად“. გასულ სასწავლო წელს თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და აჭარაში მასწავლებლობის მაძიებლობის პროექტის პილოტირების პროცესში 24 საჯარო სკოლა, 28 მენტორი და 48 მაძიებელი იყო ჩართული.

> **თანამედროვე სკოლას სულ უფრო მზარდი მოთხოვნების პირობებში უწევს არსებობა, ამდენად, სასწავლო პროცესის კონკურენტუნარიანი პედაგოგებით უზრუნველყოფა აუცილებელია.**

მაძიებლის ფუნქციისა და სტატუსის განსაზღვრა მენტორის როლის საფუძვლიანად გააზრების გარეშე წარმოუდგენელია. სიტყვა „მენტორი“ მრჩევლის, დამრიგებლის მნიშვნელობით იხმარება და ოდისევსის მეგობრის, მენტორის სახელს უკავშირდება. ჰომეროსის პოემაში, ტროაზე გალაშქრებამდე, სწორედ მას მიაბარა აღსაზრდელად ოდისევსმა თავისი ვაჟი ტელემაქე.

აღსანიშნავია, რომ განათლების სისტემის გარდა, მენტორობის ინსტიტუტი ბიზნესსა და მედიცინაშიც გამოიყენება.

მენტორობის არსი რთული გასაგები არ არის, განსაკუთრებით კვალიფიციური პედაგოგისთვის. თუ საკუთარ გამოცდილებას მოვიშველიებთ, თითოეულს გაგვახსენდება ის ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაგვიწია პირველი პროფესიული ნაბიჯების გადადგომისას. შეგვიძლია ისიც გავიხსენოთ, რა სახით გვეხმარებოდა ეს პიროვნება: შექებით თუ წახალისებით, პრაქტიკული რჩევებით თუ მაგალითების დემონსტრირებით, ლიტერატურით თუ საგნის სპეციალისტებთან დაკავშირებით და ა.შ.

გამოცდილი სპეციალისტები ხშირად ამგვარ ქმედებებს წინასწარი დაგეგმვის გარეშე, სახელდახელოდ მიმართავენ. პროექტის ერთწლიანმა გამოცდილებამაც დაამტკიცა, რომ მენტორის როლი მაძიებლების დახელოვნების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია. გამოცდილ, კომპეტენტურ მასწავლებელთან ყოველდღიური კონტაქტი, მისგან მაგალითის აღება და საკუთარი მიღწევების დემონსტრირება დამწყებ მასწავლებლებს მეტად ეხმარება.

2009 წლის იანვარში პროექტის საკოორდინაციო ჯგუფმა კითხვარი მოამზადა, რომელიც მიზნად ისახავდა მენტორ-მაძიებლების აზრის შესწავლას მაძიებლობის პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ეს კითხვარი პროექტში ჩართულ ყველა მენტორსა და მაძიებელს დაეგზავნა.

მენტორთა უმრავლესობა – 60.71% მაძიებლობის პროექტის მიმდინარეობას წარმატებულად მიიჩნევს, 35.71% თვლის, რომ პროცესი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, 3.57%-მა კი კითხვა უპასუხოდ დატოვა. არცერთ მენტორს არ აღუნიშნავს, რომ მაძიებლობის პროცესი ცუდად მიმდინარეობს

გამოკითხვის შედეგად დადგინდა: მაძიებლების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (92.86%) თვლის, რომ მაძიებლობის პროცესი კარგად მიმდინარეობს, 4.76% მას დამაკმაყოფილებლად აფასებს, ხოლო 2.38%-ს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. არცერთი მაძიებელი არ თვლის, რომ პროცესი ცუდად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, ისინი მენტორებზე უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და დადებითად აფასებენ მიღებულ გამოცდილებას.

რატომ არის საჭირო მაძიებლობის ინსტიტუტი საქართველოში

საქართველოში, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ზოგადი განათლების სისტემა ორი დიდი პრობლემის წინაშე დგას:

- სულ უფრო მცირდება მასწავლებლობის მსურველთა რაოდენობა, რაც განპირობებულია სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით;
- არსებობენ ადამიანები, რომლებიც კარიერის პირველივე წლებში ტოვებენ პროფესიას და სკოლიდან სხვა (ხშირად არასაგანმანათლებლო პროფილის) ორგანიზაციებში გადადიან სამუშაოდ.

ამ ყველაფერს შედეგად საკადრო დეფიციტი და სკოლაში კადრების „დაბერება“მოსდევს.

თანამედროვე სკოლას სულ უფრო მზარდი მოთხოვნების პირობებში უწევს არსებობა, ამდენად, სასწავლო პროცესის კონკურენტუნარიანი პედაგოგებით უზრუნველყოფა აუცილებელია.

მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა აღწერილი სირთულეების დაძლევას ემსახურება. მაძიებლობის პერიოდის გავლით დამწყები მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, წარმართვასთან, შეფასებასთან დაკავშირებულ უამრავ პრაქტიკულ უნარ-ჩვევას შეიძენს. მაძიებლობის შემოღებით კი სასკოლო სისტემა ყოველწლიურად იმ მასწავლებელების ნაკადით შეივსება, რომლებსაც გადალახული ექნებათ სკოლის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, ბავშვებსა და მშობლებთან ურთიერთობის პირველი ბარიერები. მათ სასწავლო პროცესისა და კლასის მართვის სტრატეგიები უკვე მეტ-ნაკლებად ეცოდინებათ, საკუთარი საქმიანობის დაკვირვებისა და შეფასების საბაზისო უნარიც განვითარებული ექნებათ. ამ ყველაფერში მაძიებელს მენტორი ერთი სასწავლო წლის მანძილზე დაეხმარება.

მაძიებლობის საპილოტე პროექტის მონიტორინგმა, მასალების შესწავლამ, მენტორებსა და მაძიებლებთან ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა აჩვენა, რომ დახმარება მხოლოდ მაძიებლებს არ სჭირდება. გრძელვადიანი „მოსწავლის“, მომავალი

კოლეგის დახმარების სისტემის შემუშავება მენტორებისთვის იოლი არ აღმოჩნდა. თითოეული კომენტარი მათთვის მნიშვნელოვანი იყო და როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული უნარების განვითარებაში ეხმარებოდა. პილოტირების პროცესში მაძიებლებთან ერთად მენტორების მუშაობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მათ შესაბამისი ტრენინგებიც ჩაუტარდათ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მენტორები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ.

პროექტის დასაწყისსა და მის დასასრულს მაძიებლების მიერ შევსებული კვლევითი ფორმები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. საქმიანობათა გეგმები, განხორციელებული საქმიანობების ანგარიშები და პორტფოლიოს სხვა დოკუმენტები სასწავლო წლის მანძილზე მნიშვნელოვნად დაიხვეწა.

აღმოჩნდა, რომ მასწავლებლობის მაძიებლები მენტორების მიერ გაწეული დახმარებით კმაყოფილნი არიან. მათ უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად დაგეგმონ, მოამზადონ, ჩაატარონ და შეაფასონ საგაკვეთილო პროცესი.

მაძიებლობისა და მენტორობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამდენად, განათლების ექსპერტების გამოხმაურება, რეკომენდაციები და შენიშვნები ძალიან აქტუალურია.

ამ კონტექსტში 2009 წლის ივლისში ჩატარებული საერთაშორისო სემინარის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს. მისმა მონაწილეებმა ქართველი კოლეგების მიერ მომზადებული მენტორის სახელმძღვანელო აქტუალურად მიიჩნიეს და დადებითად შეაფასეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მისი დახვეწა აქტიურად მიმდინარეობს და პარალელურად მაძიებლის სახელმძღვანელოც მზადდება.

საგანგებო ყურადღებას ითხოვს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- მაძიებლისა და მენტორის სტიპენდიები
- მაძიებლის მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება
- მენტორის სტატუსისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, დაზუსტება საკანონმდებლო აქტების დონეზე
- მენტორის შერჩევის წესის დაზუსტება
- მენტორის სტატუსის ასახვა მასწავლებლის კარიერაზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სპეციალისტები და ექსპერტები აღნიშნულ საკითხებზე აქტიურად მუშაობენ.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მაძიებლობის ინსტიტუტის დანერგვა ეფექტურად დაიწყო. საპილოტე პროექტმა ამ ინსტიტუტის დადებითი და ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები უკვე გამოკვეთა. 2009-2010 სასწავლო წელს მაძიებლობის საპილოტე პროექტი 30-მდე საჯარო სკოლაში გაგრძელდება. 30 გამოცდილი პედაგოგი კონკურსის წესით შერჩეულ 60-მდე მაძიებელს მენტორობას გაუწევს. სასწავლო წლის დაწყებამდე კი მომავალ მენტორებს ტრენინგები ჩაუტარდებათ. ეს ღონისძიებები კიდევ უფრო გაამყარებს როგორც დამწყები, ისე გამოცდილი მასწავლებლების პოზიციებს, რაც მიმდინარე სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.



ამირან ჯამაგიძე

თბილისის მე-60 სკოლის დირექტორი

სამეურვეო საბჭო - საზოგადოების სკოლისკენ შემობრუნების მექანიზმი

2008-2009 სასწავლო წლის ბოლოს საქართველოს მრავალ სკოლაში სამი წლის წინ არჩეულ სამეურვეო საბჭოებს უკვე ახლადარჩეული საბჭოები ჩაენაცვლა. ალბათ უკვე შეიძლება და საჭიროც არის, უკან მივიხედოთ და განვლილ პერიოდში მიღებული გამოცდილება და მიღწეული შედეგები შევაჯამოთ.

> **აქამდე საზოგადოება, ძირითადად, მხოლოდ სკოლების მუშაობის შედეგს ხედავდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. არავინ სვამდა შეკითხვას, მარტო განათლების სისტემა იყო ამაში დამნაშავე თუ მთელი საზოგადოება. დღეს კი ეს ტვირთი ნაწილობრივ საზოგადოების წარმომადგენლობითმა ორგანომ, სამეურვეო საბჭომაც გაინაწილა.**

განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. მართვის ზედმეტად ცენტრალიზებული მექანიზმის თანდათანობითმა დეცენტრალიზებამ განათლების სისტემის რეგიონულ ორგანოებსა და სკოლებს საშუალება მისცა, საკუთარი აუცილებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მართვა უფრო ეფექტურად განეხორციელებინათ და უკეთესი შედეგისთვის მიეღწიათ.

ამ ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებულმა ახალმა რეალობამ ადგილებზე დემოკრატიული მექანიზმების შექმნის აუცილებლობა წარმოქმნა. სწორედ ასეთად მოიაზრებოდა საჯარო სკოლებში ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოები – სამეურვეო საბჭოები.

სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნის იდეას საზოგადოება შიშნარევი სკეპტიციზმით შეხვდა. თუმცა განათლების სისტემაში მსგავსი ინსტიტუტი ადრეც არსებობდა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობაში არჩევითი ორგანოები ფუნქციონირებდა. მაგალითად, თბილისში, თელავსა და ქუთაისში წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლებს წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭო მეთვალყურეობდა, რომელიც ფინანსებს განკარგავდა, სასწავლო სახელმძღვანელოებს ამტკიცებდა და სწავლების ხარისხს ამოწმებდა. ზოგიერთი სასწავლებლის მზრუნველთა ან მეთვალყურეთა საბჭო დირექტორს ირჩევდა და საკადრო პოლიტიკაშიც ერეოდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სასწავლო დაწესებულების მზრუნველთა ან მეურვეთა საბჭოს წევრობა დიდ პატივად ითვლებოდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძნელად მოიძებნება იმ დროის მეტ-ნაკლებად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც ასეთ საბჭოში არ აერჩიათ.

საბჭოთა სკოლისთვის მსგავსი დემოკრატიული ინსტიტუტის შენარჩუნება, მაქსიმალური პოლიტიზებისა და ცენტრალიზაციის ფონზე, აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ კი კვლავ წარმოიქმნა მისი არსებობის საჭიროება.

სასკოლო სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირების პროცესის დაწყებას წინ ხანგრძლივი მზადება და მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინება უძღოდა.

ბუნებრივია, სამეურვეო საბჭოების მუშაობის პირველ ეტაპზე თავს მრავალი პრობლემა იჩენდა და ბევრი რამ იქნებოდა შესაცვლელი და დასახვეწი. მოქმედ სასკოლო სტრუქტურებში ასეთი ინსტიტუციური მექანიზმი უმტკივნეულოდ ვერც დაინერგებოდა. ამ პროცესს მთავარი დადებითი მხარე ჰქონდა: საზოგადოებისათვის სკოლების ცხოვრება, მათი მართვა და განვითარების პროცესი შედარებით გამჭვირვალე და ღია გახდა. გაიზარდა შესაძლებლობა, რომ უფრო მეტ დაინტერესებულ ადამიანს ჩაეხედა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მონაწილეობა მიეღო პრობლემების აღმოჩენაში, განხილვასა თუ გადაჭრაში, შესაბამისად, დაძლეულიყო სასკოლო ცხოვრების მიმართ საზოგდოების სრული ინდიფერენტულობა.

ამ ცვლილებების დაწყებიდან უკვე ხუთი წელი გავიდა.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი ინსტიტუტი თანამედროვე სკოლისთვის აუცილებელია. იგი ხელს უწყობს მშობლების და ზოგადად, მთელი საზოგადოების სკოლებისკენ შემობრუნებას, სკოლაში მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული მექანიზმების ამუშავებას, გადაწყვეტილებების შესრულების პროცესში თანამონაწილეობას. აქამდე საზოგადოება, ძირითადად, მხოლოდ სკოლების მუშაობის შედეგს ხედავდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. არავინ სვამდა შეკითხვას, მარტო განათლების სისტემა იყო ამაში დამნაშავე თუ მთელი საზოგადოება. დღეს კი ეს ტვირთი ნაწილობრივ საზოგადოების წარმომადგენლობითმა ორგანომ, სამეურვეო საბჭომაც გაინაწილა.

სკოლებში, სადაც სამეურვეო საბჭოების არჩევნები და მათი შემდგომი ფუნქციონირება კანონის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით წარიმართა, პოზიტიურმა შედეგებმა მალევე იჩინა თავი. მრავალ სკოლაში მოხერხდა სამეურვეო საბჭოებსა და სკოლის დირექტორებს შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა, რასაც შედეგად თანამშრომლობის გაღრმავება მოჰყვა. შედეგმაც არ დააყოვნა: განისაზღვრა სკოლის მისია და მიზნები, გამოიკვეთა პრიორიტეტები, თვითშეფასებისა და კვლევის შედეგად განხორციელდა არსებული მდგომარეობის ანალიზი, შედგა განვითარების სტრატეგიული გეგმები. სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო წამოჭრილ პრობლემებს ერთობლივად აგვარებდნენ და დასახულ მიზნებსაც აღწევდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ იშვიათად სკოლის მმართველობის ამ ორ უმაღლეს რგოლს შორის ფარული დაძაბულობა და უნდობლობა სუფევდა.

წარუმატებელი თანამშრომლობის მთავარ მიზეზს, უმრავლეს შემთხვევაში, სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის უფლებებისა და ფუნქციების აღრევის პრობლემა წარმოადგენდა. სამეურვეო საბჭოებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ სკოლების განვითარების სტრატეგიების არჩევაში, ბიუჯეტის დაგეგმვაში, პოლიტიკის შემუშავებაში. მათვე უნდა ეწარმოებინათ ამ პროცესების მონიტორინგი. სამეურვეო საბჭოები კი სწორედ მართვის პროცესში მონაწილეობის მიღებას ცდილობდნენ. ვინაიდან წევრებად არჩეული მშობლების უმრავლესობა შესამჩნევი ინერტულობით გამოირჩეოდა, საბჭოებში წამყვან როლს პედაგოგები ასრულებდნენ. სწორედ ამიტომ დირექტორებთან დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავედ საკადრო საკითხების გადაწყვეტისას იგრძნობოდა. თავის მხრივ, დირექტორთა ნაწილი მტკივნეულად აღიქვამდა სასკოლო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ მოთხოვნას და ამას საკუთარი უფლებების შელახვად მიიჩნევდა. რაც მთავარია, ორივე მხარე მწვავედ განიცდიდა კონსტრუქციული თანამშრომლობის გამოცდილების დეფიციტს და ხშირად უმარტივესი პრობლემაც კი, რომელიც ერთიანი ძალისხმევით სწრაფად და იოლად შეიძლებოდა მოგვარებულიყო, გადაუჭრელ დილემად იქცეოდა ხოლმე.

სამეურვეო საბჭოებისა და სკოლის დირექტორების თანამშრომლობის ხელისშემშლელ მიზეზებს შორის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სიმწირეც უნდა ვახსენოთ. სასურველია, არსებობდეს დებულება, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი სამეურვეო საბჭოების უფლებამოსილება, მუშაობის რეგლამენტი და კომპეტენციის ფარგლები. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სკოლის წესდება ყველა პრობლემურ საკითხს იურიდიული და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ჭრილში ვერ განიხილავს. არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოცემული დამხმარე ლიტერატურა, მაგრამ ვაკუუმს ვერც ეს ავსებს. ხშირად სხვადასხ-

ვა გამოცემაში გაკეთებული კომენტარები და რჩევები კონკრეტული მხარის პოზიციას გამოხატავს, ამიტომ ერთმანეთს და რაც უფრო სახიფათოა, კანონს ეწინააღმდეგება.

სამწუხაროდ, კანონში არაფერია ნათქვამი ამომრჩევლებთან საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულებაზე. ბევრ შემთხვევაში, არჩევნებიდან მცირე ხნის შემდეგ სამეურვეო საბჭოს არჩეულ წევრებსა და ამომრჩევლებს შორის უკუკავშირი საერთოდ დაიკარგა. საბჭო თავს დამოუკიდებელ, ავტონომიურ ორგანიზმად მოიაზრებდა და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობდა, რამაც მისი ეფექტურობა საგრძნობლად შეამცირა.

სამეურვეო საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი სკოლის დირექტორის მიერ სწორი ფინანსური პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფაა, რაც პირდაპირ უკავშირდება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს. მართალია, სკოლის ბიუჯეტის შემუშავება და წარგენა, კანონის მიხედვით, დირექტორს ევალება, მაგრამ მისი განხილვა და დამტკიცება სამეურვეო საბჭოს პრეროგატივაა. ეს პროცესი საკმაო კვალიფიკაციას მოითხოვს, სამეუვეო საბჭოების უმრავლესობისთვის კი იგი გადაულახავ ბარიერად იქცა. ამიტომაც, იმ ბიუჯეტის მონიტორინგი, რომლის განხილვა და კორექტირება საბჭომ ვერ მოახერხა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა.

სკოლაში სასწავლო და შრომითი დისციპლინის, სამართლიანობისა და მართვის დემოკრატიული წესების დასამკვიდრებლად სამეურვეო საბჭოებს დისციპლინარული და საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო კომიტეტები უნდა აერჩიათ. ვინაიდან მათი საქმინობის რეგლამენტი, ძირითადად, სკოლის შინაგანაწესით უნდა განსაზღვრულიყო, დისციპლინარული კომიტეტების საქმიანობა უმთავრესად სიმბოლური გახდა. არადა, საჭიროა, სამეურვეო საბჭოებმა ამ სეგმენტის გამართულ მუშაობას ყურადღება მიაქციონ, რათა სკოლაში დისციპლინარულ გადაცდომებზე რეაგირება მხოლოდ დირექტორატის პრეროგატივა არ იყოს.

ასე რომ, განვლილი სამი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებისთვის თვალის გადავლებით აშკარად ჩანს:

ამ პროცესს მთავარი დადებითი მხარე ჰქონდა: საზოგადოებისათვის სკოლების ცხოვრება, მათი მართვა და განვითარების პროცესი შედარებით გამჭვირვალე და ღია გახდა.

- სამეურვეო საბჭოები, თუ ისინი სწორად ფუნქციონირებენ, საჭირო და სასარგებლოა სკოლებისთვის;
- საბჭოები ხელს უწყობენ სკოლების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და განვითარებას;
- სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი ხდება გამჭვირვალე;
- საზოგადოება აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში;
- სკოლას გაუცხოებული მშობელი უბრუნდება;
- სკოლაში მოღვაწე ყველა ჯგუფს (პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები) უჩნდება განცდა, რომ სკოლა „მისია“;
- სკოლებს შორის ყალიბდება ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რაც მათ განვითარებას სტიმულს აძლევს.

იმ გამოწვევების დასაძლევად, რომლებიც განვლილმა სამმა წელმა ნათლად დაგვანახა, საჭიროა რამდენიმე ღონისძიების განხორციელება:

- სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირებისათვის გამართული საკანონმდებლო ბაზისა და საჭირო ინსტრუქციების მომზადება;
- სამეურვეო საბჭოების წევრებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ერთობლივი გადამზადება;
- პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში არსებული პოზიტიური გამოცდილების განზოგადება და გაზიარება;
- დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარება, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ სკოლების სამეურვეო საბჭოების მექანიზმი სრულფასოვნად ამუშავდეს და იგი საზოგადოების ინტერესებს მოხმარდეს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება – პროფესიული უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტი

მასწავლებელთა სერტიფიცირება, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წლიდან განახორციელებს, პედაგოგიურ წრეებში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს და უამრავ შეკითხვას ბადებს. მასწავლებლებს აინტერესებთ, ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ პროცესის სამართლიანობაზე, რა სახის გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, რა ელით წარუმატებლობის შემთხვევაში, ტესტირების მსვლელობისას მიექცევა თუ არა ყურადღება მათ სტაჟსა და ასაკობრივ ზღვარს, ისარგებლებენ თუ არა რაიმე პრივილიგიებით გამოცდის ჩაბარების შემდეგ და სხვა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირების სისტემა მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ ზრდას, თვითშეფასების, პრაქტიკის კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს. უკვე დადგინდა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდით, მასწავლებლის სტანდარტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული უნარები და საგნის ფლობის ხარისხი შეფასდება. გამოცდაც ორ – პროფესიული უნარების და საგნის ცოდნის ხარისხის შემფასებელ ტესტს მოიცავს. ამაზე და სერტიფიცირების სხვა დეტალებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე გვესაუბრება.

ირმა კახურაშვილი

ქალბატონო სოფო, მასწავლებლებს ხშირად უჩნდებათ კითხვა: რამდენად საჭიროა სერტიფიცირება?

მასწავლებელთა სერტიფიცირება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და იგი, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის პროფესიის რეგულირების მიზნით ხორციელდება. რეგულირებადია ექიმის, იურისტის და სოციალური მუშაკის პროფესიებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი კომპეტენციის დასადასტურებლად მხოლოდ დიპლომი არ არის საკმარისი. სპეციალური სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ამ პროფესიების მქონე ნებისმიერ ადამიანს უწევს. ჩამოთვლილი პროფესიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, ამიტომაც სახელმწიფომ გადაწყვიტა, მსგავსი სპეციალობის ადამიანების პირველი პროფესიული ნაბიჯები უფრო მეტად გააკონტროლოს.

მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესია 2007 წელს „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების თანახმად გახდა. ამ ცვლილებებით, სახელმწიფო უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს, როცა განსაზღვრავს, თუ ვინ ასწავლის სკოლაში. არსებობს სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებელს, საგნობრივი ცოდნის გარდა, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლაც მოეთხოვება. ადრე მასწავლებლობისთვის სპეციალური პედაგოგიური განათლება აუცილებ-

ლობას არ წარმოადგენდა. საგნის კარგ მცოდნეს შეეძლო მასწავლებლად ემუშავა. თუმცა ფაქტია, რომ ამ პროფესიას სხვა ცოდნაც სჭირდება – პედაგოგმა ბავშვებთან და კოლეგებთან ურთიერთობა, სწავლებისათვის სწორი მიმართულების მიცემა და ბავშვის საჭიროებების დადგენა უნდა შეძლოს. დამეთანხმებით, რომ ადამიანი შეიძლება საუკეთესო მათემატიკოსი იყოს, მაგრამ ბავშვებთან მუშაობას ვერ ახერხებდეს. სწორედ ამიტომ, მასწავლებელს მოეთხოვება, ჰქონდეს როგორც საგნობრივი ცოდნა, ისე პედაგოგიური, პროფესიული უნარ-ჩვევები.

ეს მოთხოვნები ყველა მასწავლებელს ეხება?

მოქმედი მასწავლებლებისათვის საკვალიფიკაციო და მაძიებლობის მოთხოვნები შესრულებულად ითვლება, თუ მოქმედ მასწავლებელს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგად მუშაობის ერთწლიანი სტაჟი მაინც აქვს, მას სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა შეუძლია, იმის მიუხედავად, თუ რა განათლება აქვს მიღებული. მათ კი, ვისაც პროფესიული საქმიანობა ჯერ არ დაუწყიათ, სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასასვლელად, 2010 წლამდე სტაჟის დაგროვება მოუწევთ.

სერტიფიცირების სხვადასხვა ფორმა არსებობს. რატომ შეარჩიეთ ტესტები და არა სასწავლო პროცესის დროს მასწავლებელზე დაკვირვების მოდელი, რომელიც, ბევრი პედაგოგის აზრით, უფრო ეფექტური იქნებოდა?

რა თქმა უნდა, ილუზია არ გვაქვს, რომ ასეთი ტიპის სერტიფიცირება 100%-იანი სიზუსტით განსაზღვრავს მასწავლებლის კვალიფიციურობას, მაგრამ ტესტური გამოცდა, ამ ეტაპზე, შეფასების ოპტიმალურ ფორმად მივიჩნიეთ. ჯერ ერთი, 74 ათასამდე მასწავლებლის კლასში დაკვირვება უდიდეს ადამიანურ რესურსს მოითხოვს, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. მეორეც, სხვა ფორმა – სპეციალური პედაგოგიური კურსების გავლა და სერტიფიკატების მხოლოდ ამის საფუძველზე გაცემა – კორუფციის შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომ ყურადღება ტესტებზე შევაჩერეთ. თუმცა, ამ ეტაპზე, ეს ნამდვილად არ იქნება მაღალი რისკის ტესტური გამოცდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, მასწავლებლები სწავლების უფლებას არ კარგავენ, მათ 4-წლიანი გარდამავალი პერიოდი ექნებათ იმისათვის, რომ კიდევ გავიდნენ გამოცდაზე და თან სწავლების უფლება შეინარჩუნონ.

> **მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესია 2007 წელს „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების თანახმად გახდა. ამ ცვლილებებით, სახელმწიფო უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს, როცა განსაზღვრავს, თუ ვინ ასწავლის სკოლაში.**

ვის შეუძლია გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდაზე?

სასერტიფიკაციო გამოცდა 2010 წლის ზაფხულში იწყება და სხვადასხვა საგანში ეტაპობრივად განხორციელდება. პირველად ის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენების პედაგოგებს ჩაუტარდება. გამოცდაზე გასვლა ყველა მოქმედ მასწავლებელს შეუძლია, ასევე მათ, ვისაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგად ერთი წელი მაინც უმუშავიათ და ახლა სპეციალობით არ მუშაობენ, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდგამოვლილებს.

უფრო დაწვრილებით მოგვიყევით სასერტიფიკაციო გამოცდის პირობების შესახებ.

სერტიფიცირებისას ყველა მასწავლებელი თანაბარ პირობებში იქნება. პირველ ეტაპზე, ყურადღება არ მიექცევა კატეგორიებს, სტაჟს და ასაკს, არც ტრენინგებზე მონაწილეობის დამადასტურებელ ცნობებს და სერტიფიკატებს. რაც შეეხება მაძიებლებს, მათ სკოლაში ერთწლიანი გამოსაცდელი ვადა უნდა გაიარონ და გამოცდას სკოლის მიერ დადებითად შეფასების შემთხვევაში ჩააბარებენ. ტესტებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მოამზადებს, მასწავლებლის პროფესიული სტანადარტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ყველა მასწავლებელი მინიმუმ ორი ტიპის ტესტს ჩააბარებს.

ერთი იქნება საგნობრივი ტესტი, სადაც საგნის სწავლების მეთოდიკაც შევა, მეორე კი – პროფესიული უნარ-ჩვევები. ეს ტესტი იმ უნარ-ჩვევებს მოიცავს, რაც პედაგოგს პროფესიული სტანდარტის ძირითადი ნაწილით მოეთხოვება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ნახვა ნებისმიერ მსურველს ჩვენს ვებ-გვერდზე შეუძლია. სხვათაშორის, ორ-ორი ეგზემპლარი ყველა სკოლის ბიბლიოთეკას უკვე დაურიგდა.

სტანდარტის შემუშავების დროს ბევრ მასწავლებელს შევხვდით და გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით პრობლემურად მათ პროფესიული უნარების განვითარებისა და სწავლების თეორიების საკითხებს მიიჩნევენ. ამიტომ, ჩვენ ავტორთა 13-კაციანი ჯგუფი ავიყვანეთ, რომელმაც სამნაწილიან სახელმძღვანელოზე იმუშავა. ეს სახელმძღვანელო ყველა ზემოთნახსენებ სა-

კითხს მოიცავს. წიგნები სკოლის ბიბლიოთეკებში დარიგდა და გარდა ამისა, მათი შეძენა მასწავლებლებს საკმაოდ იაფად, 2 ლარად შეეძლოთ. საჭიროების შემთხვევაში, მათ ახლაც შეუძლიათ რაიონულ რესურს-ცენტრებს ან ჩვენ მოგვმართონ.

სხვა რა სახის დახმარებას გაუწევს ცენტრი მასწავლებლებს გამოცდებისათვის მოსამზადებლად?

ამ ეტაპზე, სახელმწიფო მასწავლებელთა ხელშესაწყობად პროფესიული განვითარების ტრენინგების ვაუჩერულ დაფინანსებას ახორციელებს. ოთხი კრედიტის ფარგლებში (60-მდე სატრენინგო საათი), მასწავლებელს შეუძლია გაიაროს ტრენინგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხო ენებში და თანხას ვაუჩერის გზით სახელმწიფო დაფარავს. უკვე არსებობს აკრედიტებული პროგრამები სხვადასხვა საგნებში. ყოველ წელს მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება და ეტაპობრივად შევძლებთ ყველა საგნის მასწავლებლისათვის ვაუჩერული დაფინანსება უზრუნველვყოთ. სკოლებში დავარიგეთ სატრენინგო პროგრამების ანოტაციები, რათა მასწავლებელი კარგად გაეცნოს პროგრამის შინაარსს და თავად არჩიოს, თუ რომელი პროგრამის გავლა სურს. ანოტაციები მხოლოდ იმ საგნებში დარიგდა, რომლებსაც სახელმწიფო წელს დააფინანსებს. თუმცა თუ, მაგალითად, ისტორიის მასწავლებელს ტრენინგის გავლა სურს, მას შეუძლია ისტორიის აკრედიტებული პროგრამები ჩვენს ვებ-გვერდზე იხილოს და საკუთარი ხარჯებით მოემზადოს.

პედაგოგს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ თუ ერთი ტრენინგი გაიარა, ის აუცილებლად წარმატებული იქნება სასერტიფიკაციო გამოცდაზე.

მასწავლებელი მუდმივად უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, ეცნობოდეს დამხმარე ლიტერატურას, ცდილობდეს, რომ გააუმჯობესოს პრაქტიკა. თუ ის მუდმივად არ ვითარდება, ვერც სკოლაში დანერგავს სიახლეებს და ვერ იქნება წარმატებული.

როგორია რეგიონის მასწავლებლების დამოკიდებულება სერთიფიცირებისადმი?

სხვათაშორის, განცვიფრებული ვარ იმით, რომ რეგიონებში მასწავლებლები სიახლეებზე უფრო რეაგირებენ და მეტ ინფორმაციასაც ფლობენ. სერტიფიცირების მიმართ პედაგოგების ინტერესი რეგიონებში უფრო მაღალი იყო და დისკუსიაც უფრო ცოცხალი, ვიდრე თბილისში.

ტარდება თუ არა ამჟამად წინასწარი ტესტირებები?

რა თქმა უნდა, ტარდება. მიზანი კი ის არის, რომ დაიხვეწოს ტესტი, ვნახოთ, რამდენად რთულია ან ადვილი, როგორ მუშაობს ესა თუ ის კითხვა. მიღებული შედეგები ტესტების გაუმჯობესებაში დაგვეხმარება. წინასწარი ტესტირების პროცესს გამოცდების ცენტრი ახორციელებს და ის ჯერ არ დამთავრებულა.

იქნება თუ არა სერტიფიცირება ფასიანი?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოცდებზე მასწავლებლის პირველი გასვლა სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. ამით პედაგოგს მეტი მოტივაცია გაუჩნდება. სავარაუდოდ, მეორე გასვლა უკვე ფასიანი იქნება და ფასს გამოცდების ეროვნული ცენტრი დაადგენს. როცა ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, მასწავლებლებს აუცილებლად ვაცნობებთ.

ექნება თუ არა სერტიფიკატის მქონე მასწავლებელს უფრო მაღალი ხელფასი?

ეს საკითხი ჯერჯერობით განხილვის ეტაპზეა. საუბარია იმაზე, რომ სერტიფიცირებული მასწავლებელი ფინანსურად უნდა წახალისდეს და მას განსხვავებული ხელფასი უნდა ჰქონდეს, თუმცა წახალისების რა მექანიზმი ამუშავდება, იმედი გვაქვს, ამას „მასწავლებლის“ შემდეგ ნომრებში გაცნობებთ.

ტესტირების გავლა მუსიკის, ხატვისა და ფიზკულტურის მასწავლებლებსაც მოუწევთ?

„კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ ნათქვამია, რომ სერტიფიცირება ყველა მასწავლებელმა უნდა გაიროს. შესაბამისად, სერტიფიცირება ყველა საგნის მასწავლებელს მოუწევს. ცხადია, რომ ზემოთხსენებული საგნების მასწავლებლებს პროფესიული უნარ-ჩვევების ნაწილი ისევე მოეთხოვებათ, როგორც სხვა პედაგოგებს, ხოლო იმას, თუ რა სახით ჩააბარებენ საგნობრივ ნაწილს, მათ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ვაცნობებთ.

კიდევ რით არის სერტიფიცირების პროცესი საინტერესო?

ამ ეტაპზე, მასწავლებლის შეფასების არანაირი მექანიზმი არ გაგვაჩნია. მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ სკოლებს აქვთ შიდაშეფასების სისტემები. საჭიროების შემთხვევაში, სერტიფიცირება დაგვეხმარება, საუკეთესო და ღირსეული მასწავლებელი უფრო იოლად გამოვავლინოთ. მეტიც, პედაგოგი, რომელსაც სახელმწიფო სერტიფიკატს მიანიჭებს, უფრო დაცული იქნება: სკოლის დირექტორი სერტიფიცირებული მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნას იმ მიზეზით, რომ ის არაკვალიფიციურია, ფაქტობრივად, ვერ შეძლებს. მალე დასრულდება სერტიფიცირების დებულებაზე მუშაობა. დებულების შემუშავების პროცესში ყველა რეგიონის მასწავლებლების მცირე ჯგუფებთან ვიმუშავეთ. სერტიფიცირების შესახებ ბევრ დეტალს პედაგოგები სწორედ ამ დებულების დამტკიცების შემდეგ გაეცნობიან.

თანამედროვე მასწავლებლის გამოწვევები ანუ როგორ მოვამზადოთ მასწავლებლები სერტიფიცირებისთვის

მასწავლებელთა სერტიფიცირება დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. პედაგოგები მღელვარებით ელიან, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და როგორი იქნება პირველი სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელთა ჩატარებაც 2010 წლის ზაფხულში იგეგმება.

„მასწავლებლის“ ინიციატივით მოწყობილ შეხვედრაზე იმის შესახებ ვმსჯელობდით, თუ რა წინაპირობებია საჭირო სერტიფიცირების პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის და როგორ უნდა გახდეს იგი მასწავლებელთათვის მისაღები, ასევე გვსურდა, დაგროვილ შეკითხვებზე პასუხი უშუალოდ ამ პროცესში ჩართული ადამიანებისაგან მოგვესმინა.

შორენა ბურდილაძე

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

თამარ მოსიაშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიცირების კოორდინატორი

ნანა დალაქიშვილი
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კონსულტანტი

ანა ნარიმანიძე
21-ე საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

ალექსანდრე გიორგიძე
ბრიტანული სკოლა „აკადემიურის“ დირექტორის მოადგილე

ცირა კილანავა
1-ლი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თამარ აბაზაძე
მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი

ზვიად მიმინოშვილი
მე-14 საჯარო სკოლის დირექტორი

ხათუნა მაჭარაშვილი
ვაკე-საბურთალოს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი

თამარ ხატიაშვილი
განათლების მართვის სპეციალისტი

სოფო გორგოძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი **ნატო ინგოროყვა**

რა არის სერტიფიცირება, რას მოუტანს ის მასწავლებლებს, რა შედეგებზეა გათვლილი ეს პროცესი და რამდენად საჭიროა იგი სკოლისთვის ან მასწავლებლებისთვის.

თამარ მოსიაშვილი: მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესის წარმატებით განხორციელება და სერტიფიცირებული მასწავლებელი სკოლისთვის ხარისხიანი სწავლების მყარი ბერკეტია. სკოლებს მეტ პრესტიჟს სძენს ის, რომ მათ მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ჰყავთ.

საგულისხმოა, რომ გამოცდის ჩაბარებით და შესაბამისი სერტიფიკატის მიღებით სერტიფიცირების პროცესი არ სრულდება. გამოცდის შემდეგ კარიერული ზრდა იწყება. მასწავლებელს საშუალება ეძლევა, პროფესიული საქმიანობის განმავლობაში მიღწეული ყოველი წარმატება აღნუსხოს, ამის შედეგად გარკვეული კრედიტები დააგროვოს და სერტიფიკატი განაახლოს. სერტიფიკატის განახლება 8 წლის შემდეგ მოხდება. მიმამაჩნია, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც დღემდე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებულა. ეს პროცესი გვიჩვენებს, რამდენად შედეგიანი იყო ყველა ის ნაბიჯი, რაც აქამდე ამ სფეროში გადაიდგა.

საინტერესოა იმ მასწავლებლების აზრი, რომლებიც უკეთ იცნობენ კოლეგების განწყობას ამ სიახლის მიმართ.

ცირა კილანავა: მოლოდინი საკმაოდ დიდია. თავად დავესწარი სააპრობაციო გამოცდას, სადაც ტესტის მეორე ნაწილის, პროფესიული უნარების ჩაბარება უფრო გამიჭირდა, ვიდრე საგნობრივი საკითხებისა. ვფიქრობ, მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით, უფრო კოორდინირებული მუშაობაა საჭირო. ალბათ ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერტიფიცირების შესახებ ინფორმაციაც და გადამზადების კურსებიც.

ანა ნარიმანიძე

თამარ მოსიაშვილი

ანა ნარიმანიძე: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნიშვნელოვანესი ფაქტორია, მე, როგორც მასწავლებელი, გაცილებით უკეთ განვეწყობი ნებისმიერი სიახლის მიმართ, როცა მის შესახებ სრული ინფორმაცია მაქვს. მნიშვნელოვანია ის აქცენტები, რაც პროფესიულ უნარებზე კეთდება, რადგან მხოლოდ საგნობრივი ცოდნა არაა საკმარისი პედაგოგიურ საქმიანობაში. ვფიქრობ, ყველა მასწავლებელი მზად არის საგნობრივი ნაწილის ჩასაბარებლად, პედაგოგიური უნარ-ჩვევების ნაწილი კი სიახლე იქნება და სერიოზულ მომზადებასაც ითხოვს ჩვენგან.

2014 წლამდე მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის საშუალება რამდენჯერმე მიეცემათ, სანამ სერტიფიკატს არ მოიპოვებენ. თუმცა არსებობს შიში, რომ პირველივე ცდის დროს წარუმატებლობის შემთხვევაში, მასწავლებლის ავტორიტეტი დაეცემა. რამდენად საფუძვლიანია ეს შიში?

ალეკო გიორგიძე: ეს შიში რეალურია, რადგან მასწავლებელი, რომელიც სერტიფიცირებას ვერ გაივლის, კოლეგების და მოსწავლეების თვალში თითქოს ღირსებაშელახულია. წარუმატებლობის შემთხვევაში, დისკომფორტი თავისთავად დიდი იქნება. არის სხვა პრობლემაც, რომელიც რეგიონების სკოლებისთვის უფრო მწვავე შეიძლება იყოს: მოგეხსენებათ, ზოგიერთ სოფელში ერთ საგანს სულ ერთი ან ორი მასწავლებელი ასწავლის. გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, შეიძლება სკოლა მასწავლებლის გარეშე დარჩეს.

სოფო გორგოძე: სერტიფიცირების პროცესის დაწყებიდან პირველი 4 წლის განმავლობაში, გამოცდის არ თუ ვერ ჩაბარების შემთხვევაში, პედაგოგი პროფესიულ საქმიანობას არ შეწყვეტს. ის სწავლების უფლებას არ კარგავს 4 წლის განმავლობაში. თუმცა გვინდა, მათ მოტივაცია მივცეთ, რომ უფრო ადრე გავიდნენ გამოცდაზე. სჯობს, რაც შეიძლება, დროულად ნახონ, რა ტიპის გამოცდის ჩაბარება უწევთ. თუ ამ პროცესს 2014 წლამდე გადადებენ, მათ გამოცდაზე გასვლის მხოლოდ ერთი შანსი დარჩებათ და წარუმატებლობის შემთხვევაში, ისინი სტატუსის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან.

რეკომენდაციის სახით, გვინდა ვუთხრათ დირექტორებს: თუ მასწავლებელმა ვერ ჩააბარა გამოცდა პირველივე წელს, ეს ტრაგედია არ არის და მის მიმართ დამოკიდებულება არ უნდა შეიცვალოს. არ გვინდა, იგი „ცუდ“ მასწავლებლად მოინათლოს და სამსახურის დაკარგვა მოუხდეს. არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ეფექტურმა მასწავლებელმა პირველივე ცდაზე ვერ ჩააბაროს გამოცდა, ვთქვათ, სტრესული მდგომარეობის გამო. ამიტომაც, ეს 4 წელი გარდამავალი პერიოდი იქნება – პედაგოგებს უნდა დავეხმაროთ და გავუადვილოთ ეს პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლებს ის სატრენინგო პროგრამებიც დაეხმარებათ, რომლებსაც სახელმწიფო ვაუჩერების საშუალებით მათ დაუფინანსებს, ვინც პირველად გავა გამოცდაზე (ანუ ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენის სპეციალისტებს). ტრენინგებზე მასწავლებლები ტესტის ფორმატსაც გაეცნობიან.

აქ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მეტი საჯაროობის განსაკუთრებულმა საჭიროებამ გაიჟღერა. გეთანხმებით, რომ ინფორმირებული მასწავლებელი გაცილებით უკეთეს გადაწყვეტილებას იღებს.

ალეკო გიორგიძე: ყველაზე ეფექტური იქნება სატელევიზიო სარეკლამო რგოლის დამზადება, რომელიც ერთანაირად მიაწოდებს ინფორმაციას თბილისელ და რეგიონის მასწავლებლებს. ინფორმირებული იქნება მშობელიც და მოსწავლეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ იცოდნენ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. ასევე სასურველია, განხილვის და დიალოგის ფორმატში, სატელევიზიო გადაცემების მომზადებაც.

განსაკუთრებით საინტერესოა რესურს-ცენტრებში არსებული ვითარება. რამდენად ახერხებენ ისინი ინფორმაციის მიწოდებას მასწავლებლებისთვის და რამდენად არიან ჩართულნი ამ პროცესში?

ხათუნა მაჭარაშვილი: ძირითადად, სკოლების ხელმძღვანელობას ვუკავშირდებით და ვთხოვთ, მასწავლებლებს ინფორმაცია მიაწოდონ. ახლა, როცა ვაუჩერები რიგდება, მასწავლებლებთან უფრო აქტიური შეხვედრები გვაქვს დაგეგმილი. შეხვედრებისას მათ სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებულ

ცირა კილანავა

ალექსანდრე გიორგიძე

საკითხებს განვუმარტავთ. ვუხსნით, რისი საშუალება ეძლევათ ვაუჩერის ფარგლებში და როგორ დაეხმარებათ ის სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში.

სერტიფიცირების დადებით მხარეებზე ბევრის თქმა შეიძლება: მას დაეყრდნობა სკოლის ადმინისტრაცია, ეს არის სახელმწიფოს მიერ მასწავლებლის კვალიფიციურობის აღიარება. რა მიგაჩნიათ ამ პროცესის შედარებით სუსტ მხარედ და რისი დახვეწაა საჭირო?

ზვიად მიმინოშვილი: პროგრამების და ტრენინგების საშუალებით მასწავლებელმა შეიძლება მართლაც კარგად ისწავლოს სწორი პასუხების გაცემა, შეიძლება მაღალი ქულებიც დააგროვოს, მაგრამ საკლასო ოთახში სიტუაცია ვერ გამოასწოროს. როგორც დირექტორს, ეს მაშინებს. ამიტომ სჯობს, სერტიფიცირების პროცესს სკოლების აკრედიტაციაც დაერთოს. ამ პროცესების კოორდინირება და ურთიერთშეჯერება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად უკვე დამაჯერებელი წინაპირობა იქნება. აკრედიტაციის პროცესი სწავლების ხარისხსაც იკვლევს. სკოლის შიდა შეფასების პროცესში ის მასწავლებლებიც გამოიკვეთება, რომლებიც ყველაზე საიმედონი არიან, რომლებსაც პრობლემების დანახვაც შეუძლიათ და მათი გადაწყვეტაც.

თამარ აბაზაძე: იწყება სკოლების აკრედიტაცია და სკოლის დირექტორები ვფიქროთ, სკოლა რომ წარმატებული იყოს, სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა არასერტიფიცირებულებს უნდა აჭარბებდეს. რა კატეგორტიის პედაგოგებს ვღებულობთ ამ სერტიფიცირების შემდეგ? მათ ვინც სერტიფიცირება წარმატებით გაიარა და მათაც, ვისაც 4 წლის განმავლობაში კიდევ აქვს დრო ამ სერტიფიკატიის მოსაპოვებლად. რა განსხვავება იქნება ამ მასწავლებლებს შორის? სკოლის დირეტორებს სათანადო დონეზე ინფორმირება ესაჭიროებათ, თუ უნდა ვიზრუნოთ სკოლაში არასერტიფიცირებული მასწავლებლების შემცირებაზე. სკოლის ხელმძღვანელები, რომელსაც აკრედიტაცია აქვს გასავლელი, შეეცდებიან სერტიფიცირებული მასწავლებლები ჰყავდეთ. ვფიქრობ, აკრედიტაციას სერტიფიცირება უსწრებდეს წინ.

ნანა დალაქიშვილი: მინდა ყურადღება გავამახვილო ამ პროცესის რისკ-ფაქტორზე. 4 წლის შემდეგ მასწავლებელს უფლება აღარ ექნება, კვლავ ჩააბაროს სასერტიფიკატიო გამოცდა, ანუ 2014 წლისთვის არასერტიფიცირებული მასწავლებლები აღარ იარსებებენ. თუ დავაკვირდებით, ძალიან ბევრი საპენსიო ასაკის მასწავლებელია. ისინი შეიძლება არც აპირებენ გამოცდაზე გასვლას, 4-წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სამუშაო ადგილებს შეინარჩუნებენ და შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას დაასრულებენ. ვფიქრობ, ჩასატარებელია კვლევა: 4 წლის შემდეგ მასწავლებლების რა ნაწილს დავკარგავთ და შეგვიძლია თუ არა მომენტალურად ჩავანაცვლოთ ისინი ახალი კადრებით?

სოფო გორგოძე: დავაზუსტებდი ერთ საკითხს: 4 წლის შემდეგ, წარუმატებლობის შემთხვევაში, მასწავლებელი კარგავს სწავლების უფლებას, მაგრამ მას გამოცდაზე გასვლის შანსი კიდევ ეძლევა. რაც შეეხება კვლევას, ასეთი ტიპის კვლევა უკვე ჩავატარეთ და აღმოჩნდა, რომ საპენსიო ასაკის 10000-მდე მასწავლებელი გვყავს. ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო არ გადიან პენსიაზე. ზოგი იმიტომ, რომ კარგად ართმევს თავს პროფესიულ საქმიანობას, ზოგიც იმიტომ, რომ საპენსიო ანაზღაურება ხელფასზე ბევრად ნაკლებია, ზოგსაც დაზღვევის ვაუჩერზე არ სურს უარის თქმა. 4 წლის შემდეგ მართლაც ყველამ ერთად რომ მოისურვოს პენსიაზე გასვლა, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. სარეზერვო კადრები საკმაოდ მცირეა, რადგან მასწავლებლობის მსურველი ცოტაა. უმაღლესი სასწავლებლებიც ძალიან მცირე რაოდენობით ამზადებენ მომავალ მასწავლებლებს. ამიტომ, თუ 2014 წლიდან რომელიმე რეგიონის სკოლაში მხოლოდ არასერტიფიცირებული მასწავლებლები აღმოჩნდებიან და მათი სერტიფიცირებული კოლეგებით ჩანაცვლების საშუალება არ იქნება, არასერტიფიცირებულებსაც მივცემთ მუშაობის გაგრძელების უფლებას.

ზვიად მიმინოშვილი

ნანა დალაქიშვილი: ეს რისკი რომ შემცირდეს, კარგი იქნება, თუ მასწავლებლის სტატუსის მოპოვების გზებიც გამარტივდება.

სოფო გორგოძე: 2014 წლამდე ყველა უმაღლესდამთავრებულს შეუძლია მასწავლებლად მუშაობის დაწყება. სამომავლო გეგმა კი ასეთია: როცა მოქალაქე დაამთავრებს ბაკალავრიატს, მან უნდა გაიაროს მასწავლებლის სპეციალური მოსამზადებელი პროგრამა. ეს პროგრამა შეიძლება ბაკალავრიატის ნაწილიც იყოს. შემდეგი 1 წელი მაძიებლობის პერიოდია, რაც სკოლაში პრაქტიკის გავლას გულისხმობს. ამის შემდეგ პედაგოგს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლაც შეეძლება. რაც შეეხება მასწავლებლის სტატუსის მოპოვების გამარტივებას, კანონიდან ამოღებულია მოთხოვნა, რომელიც საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლობის მსურველს მაგისტრის ხარისხის ქონას ავალდებულებდა.

ანა ნარიმანიძე: მასწავლებლები ხშირად გამოთქვამენ პროტესტს იმის გამო, რომ სერტიფიცირების დროს ვერ შემოწმდება ის, თუ როგორ გაკვეთილს ატარებენ. ვერ წარმომიდგენია უნივერსალური ფორმა, რომელიც სრულად გამოავლენს მასწავლებლის პროფესიულ უნარებს. საფრთხის შეგრძნება რომ შევასუსტოთ, ტესტში წარმოდგენილი უნდა იყოს მასწავლებლისთვის ძალიან ნაცნობი პრაქტიკული მაგალითები. როცა მასწავლებელი ტესტს დახედავს, არ უნდა ეუცხოოს ის მექანიზმი, რითიც მისი პროფესიული უნარი მოწმდება.

თამარ მოსიაშვილი: ტესტების ნიმუშები წინასწარ ცნობილი იქნება. სამ საგანსა და პროფესიულ უნარებში გამოცდების ცენტრმა უკვე გამოსცა ტესტების ნიმუშების კრებულები. მასწავლებელი შეფასების კრიტერიუმებსაც გაეცნობა და უფრო მშვიდადაც იგრძნობს თავს. მასწავლებლის კომპეტენციას, საბოლოოდ, საკლასო ოთახში მიღწეული წარმეტებები ავლენს, რაც სერტიფიკატის განახლების პერიოდში აღინუსხება. გამოცდის ჩაბარებისთანავე სერტიფიკატის განახლების პროცესი იწყება. 8 წლის განმავლობაში პედაგოგი თითოეულ წარმატებას ინიშნავს და აჩვენებს, როგორ შედგა ის, როგორც მასწავლებელი.

თამარ ხატიაშვილი: სერტიფიკატი 8 წლის განმავლობაში მოქმედებს, ამის შემდეგ არის საჭირო მისი განახლება. განაწილებული იქნება თუ არა 8 წელიწადში დასაგროვებელი მიღწევები წლების მიხედვით? ხომ შეიძლება მასწავლებელმა მერვე წელს მოისურვოს ყველაფრის დაგროვება, მით უფრო, რომ ქართულ ხასიათს ეს კარგად შეესაბამება.

თამარ მოსიაშვილი: ამას პროფესიული განვითარების სქემასთან მივყავართ, რომელიც დღეს მხოლოდ სამუშაო ვარიანტის სახით არსებობს. მისი მომზადების ვადები გადავწიეთ. რაც შეეხება ამ პროცესების ვადებში გაწერას, გამოცდები მომავალი წლის ივლისში დაიწყება. ძალიან დიდი შანსია, რომ 2010 წლის ივლისში პირველი სერტიფიცირებული მასწავლებლებიც გვყავდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია მოტივაციის ფაქტორიც. რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, რომ გამოცდაზე გასვლის სურვილი გაუჩნდეს?

ანა ნარიმანიძე: შეიძლება მასწავლებელი სავსებით კმაყოფილი იყოს იმ აღიარებით, რაც კოლეგებისა და მოსწავლეებისგან აქვს და სულაც არ უნდოდეს ამის აფიშირება სკოლის გარეთ. ის, რომ მასწავლებლის კომპეტენტურობას სახელმწიფო აღიარებს, შეიძლება არ იყოს საკმარისი 8-წლიანი მუხლჩაუხრელი შრომისა და ხელახალი სერტიფიცირებისთვის მოსამზადებლად. რატომ უნდა მოუნდეს მასწავლებელს სერტიფიცირების სისტემაზე გადასვლა? ამის სურვილს და შესაბამის მოტივაციას სათანადო ხელფასი, დაზღვევა, სტატუსი აღძრავს.

ნანა დალაქიშვილი

ნანა დალაქიშვილი: მასწავლებლებმა უნდა დაინახონ ის პირობები, რაც ახალ საგანმანათლებლო სივრცეში შეიქმნა. გარემო ხომ შეიცვალა და სწორედ ამ შეცვლილმა გარემომ მოიტანა სხვა ტიპის მასწავლებლის არსებობის საჭიროება. იმ მასწავლებლის, რომელიც ახალ მოთხოვნებს პასუხობს. სერტიფიცირება იმიტომ კი არ უნდა გაიაროს ვინმემ, რომ ის ცუდი მასწავლებელია, უბრალოდ, მას ახალ მოთხოვნებთან მორგება სჭირდება. საგნობრივ სწავლებაშიც ცვლილებებია. დღეს ყველა საგნისთვის მოქმედებს სტანდარტი, რომელიც აქამდე არ არსებობდა. მასწავლებლებს უნდა დავანახოთ, რამდენი რამ შეიცვალა მათ გარშემო და რა ცვლილებების გატარებაა აუცილებელი.

ნინო ელბაქიძე

მშობლებთან
კომუნიკაციის სტრატეგიები

„მასწავლებელმა იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან, მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის“.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008 წ.

მშობელთან მუშაობა თქვენგან დამატებით დროს, ენერგიასა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ამ შრომის გაწევა იმისთვის ღირს, რომ ერთგვარი მოკავშირე გყავდეთ, რომელიც ბავშვს პროგრამის დაძლევისას წარმოქმნილი სირთულეების გადალახვაში დაეხმარება.

წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. იმისთვის, რომ მასწავლებელსა და მშობელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი პედაგოგმა უნდა გადადგას. ამ შემთხვევაში, მისი როლი შეუცვლელია. მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას შეუძლია, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი სასწავლო პროცესში ჩართოს და თავის მოკავშირედ აქციოს. მათ ერთი მიზანი აქვთ – ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა.

მშობლის აქტიურობა თქვენს სამუშაოსაც საგრძნობლად შეამსუბუქებს. აუხსენით მას, რას გეგმავთ წლის ან სემესტრის განმავლობაში, რა ცოდნას მიიღებს მოსწავლე, რა შედეგს უნდა მიაღწიოს მან სასწავლო წლის ბოლოს. მართალია, მშობელთან მუშაობა თქვენგან დამატებით დროს, ენერგიასა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ამ შრომის გაწევა იმისთვის ღირს, რომ ერთგვარი მოკავშირე გყავდეთ, რომელიც ბავშვს პროგრამის დაძლევისას წარმოქმნილი სირთულეების გადალახვაში დაეხმარება.

მშობელთან ურთიერთობისთვის კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენება შეიძლება: წერილობითი ფორმით დაწყებული და ელექტრონული ფოსტით დამთავრებული – გააჩნია, ვისთვის რა უფრო მოსახერხებელია. მშობელი სისტემატურად უნდა იყოს ინფორმირებული არა მხოლოდ მოსწავლის უარყოფითი ქცევის ან დაბალი აკადემიური მოსწრების, არამედ მისი მიღწევების შესახებაც. პედაგოგი ამ ინფორმაციას წერილობითი ფორმით მიაწვდის მშობელს, ტელეფონით აცნობებს თუ მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაუგზავნის, ეს თავად მისი გადასაწყვეტია. მშობელთან მიმოწერა ყველაზე მოსახერხებელი საკომუნიკაციო საშუალებაა. თქვენი წერილი ერთგვარი სავიზიტო ბარათია და ასეთი მიმოწერის წყალობით შეიძლება თქვენსა და მშობელს შორის წარმატებული თანამშრომლობა შედგეს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ როგორ იქნება იგი შედგენილი, რამდენად საინტერესო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდება. სასურველია, წერილი დადებითად იწყებოდეს. ყველა ადამიანს და მით უმეტეს, ყველა ბავშვს დადებითი მხარე აქვს, რომელსაც თქვენ,

როგორც პედაგოგი, სხვებზე უკეთ ამჩნევთ. წარმოაჩინეთ მოზარდის ეს მხარე და ხაზი გაუსვით მის ინდივიდუალობას. შვილის შექება მშობლისთვის გაკეთებული საუკეთესო კომპლიმენტია. დადებითი ტონით დაწყებული წერილი იმის გარანტიას იძლევა, რომ მშობელი მას ბოლომდე წაიკითხავს, გიპასუხებთ და თქვენს მიმართ კეთილად განეწყობა. შეეცადეთ, გამოიწვიოთ იგი, რათა წერილობითვე გიპასუხოთ. სასურველია, მას შეკითხვები დაუსვათ და მიღებულ ინფორმაციაზე კომენტარიც სთხოვოთ. ეს იმ კომუნიკაციის დასაწყისი იქნება, რომლის წარმატებაც თქვენს პროფესიონალიზმზე დამოკიდებული აღმოჩნდება.

წესი, რომელიც დაგეხმარებათ მშობლისთვის განკუთვნილი წერილის პროფესიონალურად ფორმულირებაში:

1. **წერილის დასაწყისში მიმართეთ მშობელს პერსონალურად „ქალბატონო.../ბატონო...“ თუ მშობელს ახლოს იცნობთ და ასეთი მიმართვა მასში უხერხულობას გამოიწვევს, შეგიძლიათ არაოფიციალური მიმართვაც შეარჩიოთ, მთავარია, მიმართვა პირადად მშობელზე იყოს გათვლილი.**
2. **თქვენი წერილი აუცილებლად უნდა იყოს სტრუქტურიზებული და მშობლისთვის გასაგებად დაწერილი. თუ წერილს ხელით წერთ, თქვენი ხელწერა მშობლისათვის ადვილად წასაკითხი უნდა იყოს.**
3. **წერილის სიდიდე შეზღუდეთ და ეცადეთ, არ აღემატებოდეს ერთ გვერდს.**

მიმოწერის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთან პირისპირ საუბარსაც. იმისათვის, რომ დროის უმიზნოდ ხარჯვა და ზედმეტი სტრესი თავიდან აიცილოთ, მას წინასწარ აცნობეთ, როდის არის შესაძლებელი თქვენთან შეხვედრა და საუბარი. ეს სტრატეგია საშუალებას მოგცემთ, მომზადებული შეხვდეთ მშობელს და რაციონალურად განკარგოთ დრო. მშობელთან საუბრისას იმავე ხერხის გამოყენებაა რეკომენდებული, რაც მიმოწერისას: თქვენი საუბარი მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩნით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს. მშობელთან ურთიერთობის დროს „თანასწორობის პრინციპი“ გამოიყენეთ – არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა განათლების, სოციალური ფენის, ეროვნების ადამიანია თქვენს წინაშე. მშობლის პატივისცემასა და ნდობას აუცილებლად დაიმსახურებთ, თუ მასთან საუბარს თავაზიანი ფორმით წარმართავთ და ის თქვენში კეთილმოსურნე პედაგოგს დაინახავს, რომელსაც მისი შვილისთვის მხოლოდ სიკეთე უნდა. მიეცით მშობელს საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება. ამ დროს შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ მოსწავლის ოჯახური გარემოს შესახებ, რაც აუცილებლად დაგეხმარებათ მასთან ინდივიდუალური მუშაობის დროს.

ხშირად მშობელი მოულოდნელად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოდის სკოლაში და შვილის შესახებ ინფორმაციას ითხოვს. ასეთი სპონტანური ვიზიტი თქვენთვის ძალიან მოუხერხებელია. ამიტომ სასურველია, სასწავლო წლის დასაწყისშივე აუხსნათ მშობლებს, რომ გსურთ, მომზადებული და მობილიზებული შეხვდეთ მათ მშვიდ გარემოში, მიაწოდოთ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, რჩევებიც. სკოლაში მშობლის მოულოდნელი ვიზიტი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს დასაშვები.

მშობელთან კომუნიკაციის კიდევ ერთი მოსახერხებელი ფორმა სატელეფონო საუბარია. თუმცა მან მიმოწერის ადგილი არ უნდა დაიკავოს: სიტყვიერად ნათქვამი მალე გვავიწყდება, ფურცელზე დაწერილი კი რჩება და დავიწყების ან ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, მისი გადაკითხვა შეიძლება. სატელეფონო საუბარს განსაკუთრებით მაშინ მიმართავენ, როდესაც მშობელი წერილობით შეტყობინებას არ პასუხობს, ან გარკვეული გარემოების გამო

სკოლაში მისი სასწრაფოდ მოსვლაა საჭირო და ა.შ.

მშობელთან კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა მშობელთა კრება გახლავთ. ამ დროს საუკეთესო საშუალება გეძლევათ, შეხვდეთ მშობლებს, მათთან დისკუსია გამართოთ, საჭირო ინფორმაცია მიაწოდოთ და თავადაც მიიღოთ იგი. სრულყოფილი კომუნიკაციისთვის აუცილებელია, რომ თითოეული მშობლის სახელი იცოდეთ. მშობელთა კრებაზე მოერიდეთ რომელიმე მოსწავლის გადამეტებულ ქებას ან პირიქით, საყვედურების თქმას ვინმეს მისამართით. მიეცით მშობლებს იმის საშუალება, რომ თქვენში მიუკერძოებელი პედაგოგი დაინახონ, რომელსაც ყველა მოსწავლე ერთანირად უყვარს და თითოეულის წარმატება თანაბრად სურს. ამით მათ პატივისცემას სამართლიანად დაიმსახურებთ.

მშობელთა უმრავლესობა არ არის აქტიურად ჩართული არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ სასკოლო ცხოვრებაშიც. როგორც წესი, ისინი ფიქრობენ, რომ სკოლასთან ინტენსიური თანამშრომლობით ბევრს ვერაფერს შეცვლიან. თუმცა როგორც კი მშობლებს საშუალება ეძლევათ, ამ პროცესში უშუალოდ ჩაერთონ, მათი უიმედო დამოკიდებულება ქრება და ისინი ხვდებიან, რომ აქტიურობა მართლაც მნიშვნელოვანია. კრებაზე შეგიძლიათ მშობლებს იმ ღონისძიების შესახებ შეატყობინოთ, რომლესაც უახლოეს მომავალში გეგმავთ და სთხოვოთ, რომ მოსამზადებელ სამუშაოებში შეძლებისდაგვარად ჩაერთონ. მათი ჩართულობა მოსწავლეთა მოტივაციას საგრძნობლად აამაღლებს, თქვენ კი სამუშაოს შეგიმსუბუქებთ.

მშობელთა კრებისთვის ყველა პედაგოგი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს და მშობლებთან სხვადასხვა საკითხის განხილვას აპირებს. მიეცით მათ იმის საშუალება, რომ დისკუსიაში აქტიურად ჩაერთონ. დისკუსიის მიზანი აუცილებლად კონსენსუსის მიღწევა ან საკუთარი სიმართლის მტკიცება კი არ არის, არამედ ჭეშმარიტების ერთობლივად ძიება. ამ დროს თქვენი, როგორც მოდერატორის, როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

6 რჩევა დისკუსიის წარმატებით გასაძღოლად:

1. **იყავით ნეიტრალური, არ დაიცვათ ვინმეს პოზიცია ცალსახად;**
2. **ყველა მშობელს მიეცით საშუალება, საუბარში ჩაებას;**
3. **დააწესეთ რეგლამენტი;**
4. **არ გადაუხვიოთ თემას;**
5. **მშობლებს აგრძნობინეთ, რომ მათი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია;**
6. **შეაჯამეთ დისკუსიის შედეგები და დაასრულეთ დადებითი განწყობით.**

და ბოლოს, მშობელთა კრების დასასრულს სთხოვეთ მშობლებს, რომ წერილობით მოგაწოდონ საკუთარი შთაბეჭდილებები სამუშაო შეხვედრის შესახებ. შეგიძლიათ წინასწარ მოამზადოთ მარტივი კითხვარი, ან ცარიელი ფურცლები ჩამოარიგოთ, რათა მშობლებმა კრიტიკული შენიშვნები თუ საქებარი სიტყვები ამ ფორმით მოგაწოდონ. თუ კითხვარის მომზადებას გადაწვეტთ (მათ თვალში ეს თქვენს კომპეტენციას უფრო აამაღლებს), სასურველია, იგი მსგავსი ტიპის კითხვებს შეიცავდეს: რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ კრებაზე, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ, რა რეკომენდაციების შემოთავაზება შეუძლიათ და ა.შ. გამოკითხვა აუცილებლად ანონიმური უნდა იყოს. მათი პასუხები დაგეხმარებათ, რომ მომდევნო შეხვედრა უფრო წარმატებული და ორივე მხარისათვის საინტერესო იყოს.

მშობლებთან კეთილგანწყობილი კომუნიკაციის შესახებ იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „სასწავლო და პროფესიული გარემო“ გვ. 129-137

ოგგამოვლილი სკოლა

გასული წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიას ვერც გორის მე-4 სკოლა გადაურჩა. მსხვრევადმა ჭურვებმა მისი ფასადი დააზიანა. მიუხედავად სიძნელეებისა, დღეს იგი კვლავაც ერთი მთლიანი და ცოცხალი ორგანიზმია. აქ უცხოა უიმედობა, მეტიც, უბრალოდ ამის დრო არ არის. ის იმ 100 სკოლის რიცხვში შედის, რომლებშიც განათლების სამინისტრო ეროვნული სასწავლო გეგმების საპილოტე პროგრამებს ახორციელებს.

ირაკლი კოპალეიშვილი

გორის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, **გიორგი სოსიაშვილმა** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „სკოლა რეფორმის კვალდაკვალ ვითარდება. სწორედ მის ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული, როგორ წარმატებით განხორციელდება კონკრეტული საპილოტე პროგრამა, რა ცვლილებები იქნება მასში გასატარებელი, რამდენად გამართლებული აღმოჩნდება და ა.შ.“

აღნიშნულმა სკოლამ, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთმა პირველმა დაარსა კათედრები, რომელთა სპეციფიკაც კოორდინაციულ და თანამშრომლობით მუშაობაში მდგომარეობს. აქ მასწავლებ-

ლები მოსწავლეთა შეფასების სისტემას ერთობლივად განიხილავენ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მსჯელობენ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი **თამარ ხარაიშვილი** გვიამბობს:

„კათედრაზე პედაგოგები ერთობლივად ვგეგმავთ გაკვეთილს, ვადგენთ შეფასების კრიტერიუმებს, განვიხილავთ სიახლეებს. კათედრის გამგე თვეში ერთხელ დირექტორს ხვდება. აღსანიშნავია, რომ ასევე ვგეგმავთ ინტეგრირებულ გაკვეთილებსაც. შეიძლება ითქვას, კათედრაზე მთელი წლის სამოქმედო გეგმის დეტალური ანალიზი ხდება. ჩვენს სკოლაში ეს კათედრა, რამდენიმე წელია, რაც არსებობს და მას ყოველ წელს სხვადასხვა პედაგოგი ხელმძღვანელობს.“

დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი **ხათუნა თაყაძე** გვიხსნის: „კათედრის მუშაობა ეფექტურია შემდეგი თვალსაზრისითაც: თუ რომელიმე პედაგოგმა დამატებითი ტრენინგი გაიარა, იგი მოდის და მიღებულ ინფორმაციას და ცოდნას კათედრის წევრებს უზიარებს. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ ერთი პედაგოგის გამოცდილებას სხვებიც იყენებენ.“

„კათედრაზე დისციპლინის საკითხებსაც განვიხილავთ, აგრეთვე იმას, თუ როგორი მიდგომაა საჭირო ამა თუ იმ მოსწავლესთან. ბავშვებთან მუშაობის დროს უამრავი პრობლემა იჩენს თავს. ამ პრობლემების ირგვლივ სწორედ კათედრაზე ვმსჯელობთ. ყველას თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ ერთმანეთის მოსაზრებებს ვისმენთ, ვითვალისწინებთ და საქმიანობაშიც ვიყენებთ. ხანდახან ისეთი საკითხებიც გვხვდება, რომლებზეც ვერ ვთანხმდებით. ახალ სახელმძღვანელოებთან ერთად ხშირად სხვა წიგნებსაც ვიშველიებთ. დამატებით ინფორმაციასაც ვეძებთ“, – ამბობს საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი **ლეილა აბულაძე.**

სკოლის ინოვაციური მიდგომა ისიც იყო, რომ მასწავლებელთა თვითშეფასების სისტემა შექმნა. შედგა აუცილებელი და დაგროვებითი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ნუსხა, რამაც პედაგოგთა წახალისებას და მოტივაციის გაზრდას შეუწყო ხელი.

ირმა არჩვაძის, გორის №4 საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, „შეიქმნა საპრიზო ფონდი და თანხაც შეძლებისდაგვარად გაიწერა. ფონდი სამეურვეო საბჭომ განკარგა. დაგროვილი ქულების მიხედვით პედაგოგებზე დამატებითი თანხები გაიცა. ამ გარემოებამ მასწავლებელთა მოტივაცია ბევრად გაზარდა. წელს კი შეფასების კრიტერიუმები უფრო დაიხვეწა, სხვა დამატებითი კრიტერიუმებიც გამოვლინდა. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფრის მიზანი სწორედ სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა“.

სკოლამ ასევე მოახერხა, გორის მასშტაბით, უნარშეზღუდული მოსწავლეების მოძიება, სასკოლო გარემოსთან მათი ადაპტაცია და ინკლუზიური სწავლების დანერგვა. სხვა დანარჩენთან ერთად, არც ეს იყო მარტივი საქმე. ამ წამოწყებას მშობლებისა და პედაგოგების მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, თუმცა ეს პრობლემაც ეტაპობრივად მოგვარდა.

ანა სრესელი, გორის №4 საჯარო სკოლის ინკლუზიური სწავლების კათედრის ხელმძღვანელი: „თითქმის ყველა კლასში ერთი ან რამდენიმე სპეციალური საჭიროების მოსწავლე გვყავს. ისინი სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით არიან გადანაწილებულნი და საგაკვეთილო პროცესში ჩართულნი. მათთვის ცალკე პროგრამებიც მუშავდება. თუ რომელიმეს დამატებით დახმარება დასჭირდა, განცალკევებულ ოთახში გამოგვყავს და მათთან კორექციული პედაგოგიკის სპეციალისტი ინდივიდუალურად მუშაობს. ასევე ვიყენებთ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამასაც“.

ინოვაციური მიდგომებით გამორჩეული გორის მე-4 სკოლა დღეს ომგამოვლილ ქალაქში აქტიური სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობს.

საკლასო ოთახში, მოსწავლის პირისპირ

ირაკლი კაკაბაძე

რამდენიმე შეთავაზება მასწავლებელს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის

დღეს თითქმის ყველა პედაგოგი თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად სწავლის მიმართ მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას დაასახელებს. ამას ზოგი საგანმანათლებლო პოლიტიკის ხარვეზებს მიაწერს, ზოგი – სკოლისგან დამოუკიდებელ პრობლემებს და ზოგიც საზოგადოების ბრალეულობას ხედავს. დამნაშავის ძებნა შორს წაგვიყვანს და ბოლოს მაინც საკლასო ოთახში, მოსწავლის პირისპირ დაგვაბრუნებს.

ცნობილია, რომ სწავლის სურვილსა და მოტივაციას ბავშვები მე-7-მე-8 კლასებში თანდათანობით კარგავენ, ანუ ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ საშუალო სკოლის მოსწავლეებთან დგას. რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტ როლს გარდატეხის ასაკის თავისებურებები თამაშობს. ამ დროს ბავშვები დამოკიდებულებებს იცვლიან, საკუთარი თავის დამკვიდრების იოლ გზებს ეძებენ და სირთულეებს გაურბიან.

ალბათ ყველას გვყოლია სკოლაში ერთი მასწავლებელი მაინც, რომელმაც ესა თუ ის საგანი შეგვაყვარა. ფაქტია, რომ ყველა პედაგოგს შეუძლია, გავლენა მოახდინოს საკუთარი მოსწავლეების მოტივაციაზე.

რა ვერ მოგვიგვარებს პრობლემას

სპონტანურობა – ეს ნიშნავს, რომ აქტიურად უნდა ვიმუშაოთ საგაკვეთილო გეგმაზე, გავთვალოთ ყველა ასპექტი: მოსწავლეთა როგორ ქცევას ველოდებით, წინ რა უძღოდა ამ გაკვეთილს, ჩამოვაყალიბოთ, რა სიახლე შეგვიძლია მივაწოდოთ ბავშვებს. თითოეული მოსწავლისთვის მოფიქრებული უნდა გვქონდეს ერთგვარი დავალება, რითიც ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაკვეთილის პროცესში მის ჩართულობას ვუზრუნველყოფთ, უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს გაკვეთილის მიზნები, სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგები.

შეფასებაში ასახული დისციპლინა – ხშირად მასწავლებლები ამ მხრივ ცდილობენ მოსწავლეთა დაინტერესებას საგნით და შეფასებას იყენებენ მოსწავლეთა დასასჯელად, რაც თავიდანვე მცდარი და არასწორი საქციელია ჩვენი მხრიდან, სჯობია ვცადოთ და შეფასების განსხვავებული ფორმები მოვიფიქროთ კონკრეტული კლასისთვის (სასურველია ბავშვებთან ერთად). მოსწავლეები ამ ასაკში არაპროგრამულ დავალებებს ხალისით ასრულებენ, მაგალითად, საპრეზენტაციო თემების წერასა და კლასის წინაშე წარდგენას, ფილმების გადმოწერას ინტერნეტიდან, ვიზუალური თუ აუდიო წყაროების მოძიებას, ლაშქრობების, ექსკურსიების ან გასვლითი გაკვეთილების ორგანიზებას, დისკუსიებისა და დებატების მოწყობას. ამ ყველაფერში შეგვიძლია აქტიურად გამოვიყენოთ კომპონენტიანი შეფასების სისტემა, შევუფასოთ შეძენილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები და სხვა.

შევუქმნათ ყველა მოსწავლეს პორტფოლიო, რომელშიც მთელი წლის ნამუშევრებს შევუნახავთ (თემებს, ტესტებს, ილუსტრაციებს, მოძიებულ მასალებს და ა.შ.) სასწავლო წლის

ბოლოს კი მისი შეფასება პორტ-ფოლიოს მიხედვითაც შეგვეძლება.

სიმკაცრე – ამ ასაკში რაც მათ ყველაზე მეტად გვაშორებს, ეს სიმკაცრეა. ყოველ წამს უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, მხოლოდ განსხვავებული უფლება-მოვალეობებით. ნუ მივცემთ საშუალებას, სხვაგან ეძებონ საკუთარი თავის გამოხატვისა და აზრის გამოთქმის გზები. დავანახოთ ღია და გულწრფელი დამოკიდებულება მათი პიროვნებების მიმართ, არასდროს მივცეთ შენიშვნა სხვისი თანდასწრებით (ამისთვის შესვენებაც შეიძლება გამოვიყენოთ და საგაკვეთილო პროცესის შემდგომი პერიოდიც). ყველა ხერხი უნდა მოვსინჯოთ მათი ნდობის მოსაპოვებლად, რადგან თანამედროვე მოსწავლე უშუალოდ ჩვენი და ჩვენი საგნის საჭიროების დასაბუთებასა და დამტკიცებასაც ითხოვს. თითოეულ შეცდომას სასჯელი კი არა, დახმარება უნდა მოსდევდეს.

რა შეიძლება დაგვეხმაროს მოტივაციის შექმნასა და ამაღლებაში:

დროის ეფექტურად მართვა – გაკვეთილის დროის არასწორ განაწილებას დისციპლინის პრობლემები მოსდევს. სასურველია, გაკვეთილის სტრუქტურა და დროის განაწილება კლასთან ერთად განვიხილოთ. გაკვეთილის ეფექტური დაგეგმვითა და მართვით მოსწავლეებს დროის ეკონომიურად გამოყენების მაგალითი უნდა მივცეთ.

აქტივობების მრავალფეროვნება – ნუ იქნება ჩვენი გაკვეთილი ერთფეროვანი და მოსაწყენი. რაც შეიძლება, მეტი ხალისითა და ენთუზიაზმით დავიწყოთ იგი. მივმართოთ სხვადასხვა სახის აქტივობასა თუ მეთოდს (ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, კონკურსი, წერითი დავალება, პრეზენტაცია, თვალსაჩინოებები, აუდიო ჩანაწერები, ვიდეო ჩანაწერები და ა.შ.), რაც გაკვეთილს უფრო აქტიურს გახდის, ხოლო მოსწავლეების ჩართულობის დონეს საგრძნობლად აამაღლებს.

ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები – საინტერესო და ეფექტური გაკვეთილის დაგეგმვასა და წარმართვაში ყველაზე მეტად ვიზუალური მასალის სიმრავლე გვეხმარება. ბავშვების სამყაროს აღქმა ძირითადათ ხომ თვალის მეხსიერებას ეფუძნება. ყველაზე დიდ ინტერესს ისინი ფილმებისა და ინტერნეტის მიმართ იჩენენ – რატომ არ გამოვიყენოთ ეს სიკეთეები? გაკვეთილის თემატიკიდან გამომდინარე, მოვძებნოთ მასალები ინტერნეტ-სივრცეში (ფილმი, კლიპი, ნაწყვეტი ფილმიდან, სიმღერა, დოკუმენტური მასალა, ფოტო-მასალა, საგნობრივი თამაშები და ა.შ), მასალის ნახვის ან მოსმენის შემდეგ დისკუსია მოვაწყოთ. თუ კომპიუტერი ან ინტერნეტი არ გვაქვს, შეგვიძლია თავად მოსწავლეებს დავავალოთ მასალის მოძიებაცა და წარდგინებაც.

მეგობართა ჯგუფი – მეგობართა ჯგუფს სკოლის რამდენიმე მასწავლებელი ქმნის, რომლებიც საკუთარი საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებითა და დახვეწით არიან დაინტერესებულნი. მეგობართა ჯგუფი იმისთვის იქმნება, რომ კოლეგები ერთმანეთს პედაგოგიური პრაქტიკის კრიტიკული შეფასებით დაეხმარონ. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ სასწავლო მიზნებს და მათ მისაღწევად მეთოდებსა და სტრატეგიებს შეიმუშავებენ, აგრეთვე კონკრეტულ მოსწავლეთა საკითხებს, ან სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს განიხილავენ. მეგობართა ჯგუფის წევრები ახალი რესურსების მოძიებისა თუ გამოყენების უნარ-ჩვევებს ერთმანეთისგან სწავლობენ. ჯგუფი თვეში ერთხელ ან ორჯერ იკრიბება რამდენიმე საათით. გამოცდილება მოწმობს, რომ მეგობართა ჯგუფის წევრი მასწავლებლის მოსწავლეები უფრო მეტად მოტივირებულები არიან და მაღალი აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევიან.

როდესაც მასწავლებელს ვურჩევთ რა საქმიანობა წარმართოს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გაკვეთილის დაგეგმვას, დოკუმენტების წარმოებას თუ კლასგარეშე ღონისძიებებს არც თუ ისე ცოტა დრო სჭირდება, არადა დროის სიმცირეს ყველა უჩივის, თუმცა წარსულს უნდა ჩაბარდეს ის შეხედულება, რომ მასწავლებლის ვალდებულებაში მხოლოდ საგაკვეთილო ცხრილით გათვლილი საქმიანობის შესრულებაა და საგაკვეთილო პროცესის შემდეგ იგი სკოლას აღარ ეკუთვნის; ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, რა სიამოვნებას გავაღვიძებთ ჩვენს მოსწავლეებში აქტივობებით გაჯერებული გაკვეთილებითა და ღონისძიებებით, აუცილებლად მოვახერხებთ გამოვნახოთ დროც და შესაძლებლობაც. ერთიცაა, თანამედროვეობამ თავისი აჩქარებული რიტმით, ტექნიკური განვითარებითა და ახალი გამოწვევებით სხვა ტიპის და შეხედულებების ახალგაზრდობა ჩამოაყალიბა, უფრო მეტად კრიტიკულები, თავისუფლები, პრაგმატულებიც და ზოგადი ინფორმაციებით დატვირთულები, ჩვენ მათ წინაშე ვეღარ წარმოვჩინდებით მოუმზადებლები ისინი ჩვენგან ყოველ გაკვეთილზე სიახლესა და ისეთ ინფორმაციას ელიან რომელიც თანამედროვე მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით არის მოძიებული, გადმოცემული ან განმტკიცებული. მათ სურთ ყავდეთ აქტიური და თანამედროვე მასწავლებელი, რაც ვფიქრობ, არ უნდა იყოს ძნელი, მთავარია ჩვენი სურვილი და მონდომება.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

გაკვეთილის თემა:

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მასწავლებელი: ლელა კაკაშვილი, გორის მე-8 საჯარო სკოლა
ინტეგრირებული საგნები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, ისტ
სწავლების საფეხური და კლასი: საბაზო, VIII კლასი

გაკვეთილის სასწავლო მიზნები:

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცნების განსაზღვრა; ადამიანის უფლებების კატეგორიზაცია ბუნებით უფლებებად და შეძენილ უფლებებად; ადამიანის უფლებების რეალიზაციის პრაქტიკული მნიშვნელობა;

განსავითარებელი უნარ/ჩვევები:

ინფორმაციის დამუშავება, გააზრება და გადარჩევა; ლექსიკური მარაგის შეძენა; დამახსოვრება; კომუნიკაცია; ექსტრაპოლაცია; ანალიზი; სინთეზი; ისტ; პრობლემის გადაწყვეტის უნარი; სხვებთან ერთად მუშაობის უნარი; ტოლერანტობა;

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი/ინდიკატორები

ისტორია. სამოქალაქო განათლება.

მიმართულება: ადამიანი და საზოგადოება

მოსალოდნელი შედეგები:

1. მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსი;
2. მოახდენენ ადამიანის უფლებების კატეგორიზაციას ბუნებით უფლებებად და შეძენილ უფლებებად;
3. შექმნიან დოკუმენტს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალით;
4. შეაფასებენ ადამიანის უფლებების რეალიზაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას;

VIII. 12. მოსწავლე აანალიზებს ადამიანის უფლებებს და მათი განვითარების ისტორიულ პირობებს

- მოსწავლე საკუთარი უფლებებიდან გამოყოფს თანდაყოლილ და შეძენილ უფლებებს; ასახელებს იმ ღირებულებებს, რომლებიც დაედო საფუძვლად აღნიშნულ უფლებებს;
- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად ირჩევს რომელიმე ისტორიულ ეპოქას, რომლის მაგალითზე ასახელებს იმ ღირებულებებს და უფლებებს, რომლებიც ადამიანს ჰქონდა;
- სხვადასხვა საგნიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე ადარებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კატეგორიას და მსჯელობს მსგავსებასა თუ განსხვავებაზე; აანალიზებს ადამიანის უფლებათა განვითარების პროცესს;

ისტ-ი: მოსწავლე შეარჩევს ისტ-ის შესაბამის საშუალებებს და მიზნობრივად გამოიყენებს მას პირად ან სასწავლო პროცესის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე; სისტემატიურად ეფექტურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს სხვებთან თანამშრომლობისათვის, საგანმანათლებლო დანიშნულების, მასალის კვლევისა და კომუნიკაციისათვის; თანამშრომლობს თანაკლასელებთან, მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ისტ-ის საშუალებების გამოყენებით, შინაარსთან დაკავშირებული ეროვნული რესურსების მოძიების მიზნით;

თანმიმდევრობა

გამოწვევა – *2 წუთი*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სხვადასხვა სახის შენიშვნებს უხეში ტონის გამოყენებით, შემდეგ ხდება კითხვის დასმა ყურადღების კონცენტრაციისათვის:

- როგორ მოვიქეცი ახლა და რა დავარღვიე თქვენთან მიმართებაში?

მოსწავლეთა შორის ფიქსირდება მასწავლებლის უხეშობის დამადასტურებელი და მათი უფლებების შეზღუდვის შესაბამისი პასუხები.

შინაარსის რეალიზება – *33 წუთი*

მასწავლებელი წინა თემას უკავშირებს ახალ მასალას და სვამს კითხვებს:

- თქვენი აზრით რა იგულისხმება ადამიანის „უფლებების“ ცნების გაგების ქვეშ?
- რისი უფლება გვაქვს თვითეულ ჩვენგანს და რა მოვალეობა გვაკისრია ერთმანეთის მიმართ?

(ინდივიდუალური სამუშაო), მიმდინარეობს საშინაო დავალების პრეზენტაცია – *5 წუთი*

I აქტივობა *(ღია ტიპის სამი კითხვა) – 14 წუთი*

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს მითს „არგონავტების“ შესახებ, სთხოვს მათ წარმოიდგინონ თავი არგონავტებად და უპასუხონ მეფე აიეტის (მასწავლებლის) მიერ დასმულ კითხვებს:

1. დააზუსტეთ და ჩამოაყალიბეთ „ადამიანის უფლებების“ განსაზღვრება; მოსწავლეთა შორის მიმდინარეიბს დისკუსია „ადამიანის უფლებების“ განსაზღვრების დაზუსტებასთან დაკავშირებით, ისინი ისხსენებენ ისტორიული ეპოქების შესაბამისად ადამაიანის უფ-

ლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს; – *3 წუთი*
აქტივობის შეჯამება – *1 წუთი*

2. რა იგულისხმება ადამისნის ბუნებით და შეძენილ უფლებებში? მოსწავლეები ახდენენ უფლებათა კატეგორიზაციას შესაბამისი მაგალითების დასახელებით; *(ჯგუფური სამუშაო)* პრეზენტაცია მიმდინარეობს – *5 წუთი*
აქტივობის შეჯამება – *1 წუთი*

მასწავლებელი (მეფე აიეტი) ამახვილებს ყურადღებას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობაზე და სვამს მესამე კითხვას:

3. დაასახელეთ სამი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ უნდა ვიცოდეთ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები? *(გონებრივი იერიში)* – *3 წუთი*
აქტივობის შეჯამება – *1 წუთი*

II აქტივობა – *14 წუთი*

არგონავტები ასევე ხვდებიან მედეასაც, (მასწავლებელს) რომელიც ოქროს საწმისის სანაცვლოდ სთხოვს არგონავტებს (მოსწავლეებს) დაასახელონ ადამიანის 5 ძირითადი უფლება, რომელიც მათი აზრით უნდა შეტანილი იყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალში და უნდა ეწეროს ოქროს საწმისზე; – *5 წუთი*

მედეას (მასწავლებლის) თხოვნით არგონავტები (მოსწავლეები) აგრძელებენ მუშაობას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალზე კრიტიკული და შედარებითი ანალიზის გამოყენებით *(მოსწავლეები მუშაობენ სახელმძღვანელოში მოცემულ დოკუმენტზე)* – *4 წუთი* პრეზენტაციის შემდეგ მედეა (მასწავლებელი) აძლევს ოქროს საწმისს არგონავტებს (მოსწავლეებს) და სთხოვს შეასრულონ დავალება:

- თქვენი აზრით თქვენს ჩამონათვალში რომელ უფლებებს შეცვლიდით უფრო მნიშვნელოვანი პუნქტით ან რას დაამატებდით ოქროს საწმისზე არსებული ჩამონათვალიდან? *(მოსწავლეები შეიმუშავებენ ცვლილებებს)* – *4 წუთი*

დავალების შეჯამება – *1 წუთი*
გააზრება – რეფლექსია

III აქტივობა – *3 წუთი*

მასწავლებელი მოსწავლეებს მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად უჩვენებს სლაიდებს სხვადასხვა უფლებათა შეზღუდვების დაფიქსირებით და ითხოვს შესაბამის კომენტარებს – *3 წუთი*

IV აქტივობა – *2 წუთი*

მოსწავლეები ახდნენ მიღებული ცოდნის გააზრებას მასწავლებლის მიერ დასმული კითხვის შესაბამისად:

- დაასახელეთ ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის იქიდან, რაც დღეს ისწავლეთ გაკვეთილზე *(კითხვა დასმულია გაკვეთილის დასაწყისში მითითებული მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებაში)* – *2 წუთი*

V აქტივობა – საშინაო დავალება:

ყურადღებით წაიკითხეთ გაკვეთილში მოცემული ცნობები, გაანალიზეთ ისინი და დაწერეთ მცირე ესსე თუ, რის წინააღმდეგ პროტესტად გვევლინება ქალთა მოძრაობა მსოფლიოში

შეფასება:

- მოსწავლეთა შესაფასებლად მასწავლებელი იყენებს **შეფასების რუბრიკას;**

საკლასო მენეჯმენტი/ საგანმანათლებლო რესურსები, ტექნიკა და ინსტრუმენტები:

1 კომპიუტერი, 1 მონიტორი, დაფა, ცარცი, სურათები, ფურცლები, კალმები, მარკერები;

ინფორმაციის წყაროები:

- საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია/გეოგრაფია – VIII კლასის სახელმძღვანელო, ვ. ნეიძე, მ. სურგულაძე და სხვ. 2007 წ.
- ადამანიანის უფლებეთა დეკლარაცია, (ნაწყვეტი);
- მოსწავლეთა ცოდნის განმამტკიცებელი სლაიდები;

ელექტრონული (კომპიუტერული) პროგრამები და რესურსები:

- Microsoft office PowerPoint 2007
- www.google.com

შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	მინიმალური 1-2	საშუალოზე დაბალი 3-5	საშუალოზე მაღალი 6-7	მაქსიმალური 8-10
დისკუსია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების არსის შესახებ	უჭირს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსის განსაზღვრა	ჩანს, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმაციას ფლობს, მეტყველება დასახვეწია	კარგად იაზრებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსს, მეტყველებს გამართულად	ამომწურავად განსაზღვრავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არსს, მეტყველებს გამართულად, აზრს გამოხატავს მკაფიოდ, აქვს კარგი დიქცია
ადამიანის უფლებების კატეგორიზაცია (მასწავლებლის კომენტარით)	ვერ ახდენს ადამიანის უფლებების კატეგორიზაციას, არ შეუძლია ფაქტების დახარისხება, უჭირს გამრთულად მეტყველება, არ ერთვება ჯგუფის მუშაობაში	ფაქტებს ახარისხებს გაჭირვებით, მეტყველება გაუმართავია, უჭირს უფლებათა კატეგორიზაცია, ზოგჯერ ერთვება ჯგუფურ მუშაობაში	ახდენს ადამიანის უფლებების კატეგორიზაციას ბუნებით და შეძენილ უფლებებად, შეუძლია ინფორმაციის შეკრება და დახარისხება, უჭირს მსჯელობისას არგუმენტების მოშველიება, მონაწილეობს ჯგუფურ საქმიანობაში	სრულყოფილად ახდენს ადამიანის უფლებების კატეგორიზაციას ბუნებით და შეძენილ უფლებებად, მეტყველება დახვეწილი და გამართული აქვს, კარგად აქვს განვითარებული არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, აქტიურად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან ჯგუფური მუშაობის დროს
ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესაბამის დოკუმენტზე მუშაობა	უბრალოდ აღნიშნავს ადამიანის ერთ ან ორ უფლებას დოკუმენტიდან, წერილობით არ მსჯელობს,უჭირს ჯგუფში მუშაობა	ჩანს, რომ ესმის დოკუმენტის შინაარსი, გვთავაზობს დოკუმენტის მინიმალურ ანალიზს, წერილობითი მსჯელობა გაუმართავია, ზოგჯერ ერთვება ჯგუფურ მუშაობაში	გამოაქვს დოკუმენტიდან ზუსტი ინფორმაცია, შეუძლია იმსჯელოს დოკუმენტის მიზნებზე, უჭირს მსჯელობისას არგუმენტების მოშველიება, შეუძლია აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მონაწილეობს ჯგუფის საქმიანობაში	იძლევა დოკუმენტის ღრმა ანალიზს და ინტერპრეტაციას, საკუთარ აზრს გამოხატავს მკაფიოდ და გარკვევით, შეუძლია საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და ლაკონურად წერილობით ჩამოყალიბება, აქტიურად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან ჯგუფური მუშაობის დროს

პრაქტიკული სავარჯიშოები

სკოლის მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განსავითარებლად

(მოგვაწოდა გიორგი გახელაძემ, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტმა)

გაგძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „მასწავლებელი“, N3

სავარჯიშო „გაცვალეთ ადგილები მათ, ვინც...“ (10 წთ)

მიზანი: მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავენ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას; გაუძლიერდებათ მოტივაცია.

ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი დგება საკლასო ოთახის თავისუფალი ადგილის ცენტრში და მოსწავლეებს უხსნის სავარჯიშოს წესს: „ახლა ვიტყვი წინადადებას და ის მოსწავლეები, ვისაც ის ეხება, უნდა ადგნენ და სწრაფად გაცვალონ ადგილები. ისინი, ვისაც ეს წინადადება არ ეხება, უნდა დარჩნენ თავის ადგილზე“; მასწავლებელი პირველ 2-3 წინადადებას თავად ამბობს, მაგალითად: „გაცვალეთ ადგილები, ვისაც გყავთ ძმა“, „გაცვალეთ ადგილები, ვინც დღეს აქ მოხვედით“. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ბავშვებმა თამაშის წესი კარგად გაიგეს, ადგილების მორიგი გაცვლისას ერთ-ერთი მოსწავლის ადგილს დაიკავებს. შესაბამისად, უადგილოდ დარჩენილი მოსწავლე ხდება წამყვანი.

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს: ჯერ ბავშვებს შეეკითხება, თუ რა დასკვნა გამოიტანეს მათ, ხოლო შემდეგ განუმარტავს, რომ თითოეული მათგანის შეხედულება შეიძლება სხვების საერთო შეხედულებას ემთხვეოდეს ან სრულიად განსხვავებული იყოს.

სავარჯიშო „წონასწორობა“ (10 წთ)



მიზანი: მოსწავლეები დარწმუნდებიან ურთიერთნდობის სასარგებლო შედეგებში; ისწავლიან კონფლიქტის მოგვარების დროს შუამავლობის წესებს.

მასალა: გრძელი მსუბუქი ჯოხი (1 ან 2).

ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ორ რიგად გადანაწილდნენ და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შემდეგ მათ სთხოვს, წინ გამოსწიონ ორივე ხელი, შეკრან მუშტები და მხოლოდ საჩვენებელი თითები გაშალონ.

იგი ერთ-ერთი მოსწავლის დახმარებით ბავშვების გამოწეულ საჩვენებელ თითებზე დებს გრძელ და მსუბუქ ჯოხს (ან ჯოხებს). მასწავლებელი აძლევს დავალებას, რომ ყველამ (ორივე რიგის ბავშვებმა) ნელ-ნელა დაუშვას ჯოხი დაბლა და იატაკზე დადოს ისე, რომ ჯოხი არ გადმოვარდეს.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ დავალების წარმატებით შესრულება ურთიერთნდობაზეა დამოკიდებული. ისინი უნდა დარწმუნდნენ ურთიერთნდობის სიკეთესა და საკუთარ შესაძლებლობებში.

სავარჯიშო „მკლავჭიდი“ (10 წთ)

მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან საერთო ინტერესების დადგენასა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრას.

მასალები: გამარჯვებული მოსწავლეებისთვის პირობითი წამახალისებელი პრიზები (სჯობს უბრალო პრიზები, მაგრამ დიდი რაოდენობით).



ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, პირისპირ დასხდნენ და მკლავჭიდელებივით ხელები გადააჭდონ. იგი განუმარტავს მათ, რომ თითოეულის მიზანია, 2-3 წუთის განმავლობაში, რაც შეიძლება, მეტი პრიზი მოიპოვოს, რომელსაც მეტოქის მკლავის ყოველი გადაწევისთვის მიიღებს. შემდეგ მასწავლებელი აძლევს დაწყების ნიშანს.

როგორც წესი, მიმდინარეობს ხანგრძლივი ბრძოლა გამარჯვებისათვის. საზრიანები მოგვიანებით ხვდებიან, რომ ჭიდილში მეტოქეები კარგავენ დროს და ამიტომ რიგრიგობით უწევენ ერთმანეთს ხელს. თუ მასწავლებელი ატყობს, რომ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი მაინც მორევის პრინციპით აგრძელებს შეჯიბრს, იმეორებს სავარჯიშოს. თუმცა დაწყებამდე იგი აფრთხილებს მათ, დაფიქრდნენ, როგორ შეუძლიათ უფრო მეტი პრიზის მოპოვება.

სავარჯიშოს დასრულებისას მასწავლებელი კლასს განხილვისთვის უსვამს შეკითხვებს:

- რა საერთოს ხედავთ ამ სავარჯიშოსა და მოთხრობას „მოდი, შევრიგდეთ!“ შორის?
- რა დასკვნა გამოიტანეთ ამ სავარჯიშოდან: როგორი ურთიერთობაა მომგებიანი?
- მოთხრობის „მოდი, შევრიგდეთ!” გმირებმა როდის გამოიტანეს ასეთი დასკვნა?

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პრაქტიკულად კიდევ გამოსცადონ შეძენილი ცოდნა ცხოვრებისეულ მაგალითზე.

სავარჯიშო „გაუწოდე ხელი“ (15 წთ)

მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან საერთო ინტერესების დადგენასა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრას.

ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად და განუმარტავს სავარჯიშოს წესებს: ერთი მეწყვილე ჯდება იატაკზე, ხოლო მეორე მის პირდაპირ დგება. თითოეულ მათგანს თავი უნდა ეჭიროს სწორად, ამოძრავებდეს მხოლოდ თვალებს და ასეთ მდგომარეობაში აღწეროს, თუ რას ხედავს გარშემო. შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მათ, რომ ყოველმა წყვილმა წამოდგომის, ჩაკუზვისა და მოხრის გარეშე ერთმანეთს ხელი გაუწოდოს და დარჩეს ამ მდგომარეობაში. როგორც კი შეატყობს, რომ ბავშვებს ხელი დაეღალათ და გაღიზიანდნენ, მასწავლებელი ასრულებს სავარჯიშოს.

შემდეგ იგი შერჩევით ეკითხება მოსწავლეებს: რამდენ ხანს გეყოთ მოთმინება? როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა თქვენი მეწყვილე? ერთგვარი გაღიზიანების ფონზე, პასუხებში უმეტესად ის განწყობა ჩანს, რომ მოსწავლეებს ერთი სული აქვთ, როდის განცალკევდებიან. მასწავლებელი ახლა მეწყვილეებს სთხოვს ადგილების გაცვლას და იმეორებს სავარჯიშოს 2-3 წუთის განმავლობაში. სავარჯიშოს დასრულებისას იგი კლასს განხილვისთვის უსვამს შეკითხვებს:

- ამ სავარჯიშოდან რა დასკვნა გამოიტანეთ?
- რა საერთოს ხედავთ ამ სავარჯიშოსა და მოთხრობას „მოდი, შევრიგდეთ!“ შორის?
- მოთხრობის „მოდი, შევრიგდეთ!“ გმირებმა როგორი ურთიერთობა ვერ დაამყარეს?
- როგორ მოიქცეოდნენ ისინი, დროულად რომ გაეკეთებინათ სწორი დასკვნა?



საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების ინსტრუქციები პროფესიული განვითარების ვაუჩერების ადმინისტრირებისა და მოხმარების შესახებ

ზოგადი ინფორმაცია:

მასწავლებელის პროფესიული განვითარების ვაუჩერი ითვალისწინებს პროფესიული განვითარების აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამების დაფინანსებას. პირველ ეტაპზე დაფინანსდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენების მასწავლებლებისათვის.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამები ემსახურება მასწავლებლების პროფესიული უნარ-ჩვევებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარებას. მოცემული 4 კრედიტიდან, 2 კრედიტი განსაზღვრულია **საგნობრივი** და 2 კრედიტი – პროფესიული **უნარ-ჩვევების** პროგრამების დაფინანსებისათვის. მასწავლებელი, პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, შეარჩიოს ორივე სახის პროგრამა, სულ 4 კრედიტის ოდენობით. ან დაფინანსებული ოთხივე კრედიტი გამოიყენოს მხოლოდ საგნობრივი, ან მხოლოდ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.

ერთი ვაუჩერი მოიცავს 2 კრედიტს, ანუ მასწავლებლის სახელზე გაცემული ერთი ვაუჩერი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ შერჩეული ერთი პროგრამის გავლას.

ვაუჩერი, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ, მასწავლებლის სასარგებლოდ გაიცემა 2009 წლის 1 ნოემბრამდე.

მიზანშეწონილია, მასწავლებელმა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვოს ვაუჩერი, თუ ტრენინგ-პროგრამის გავლას 2009 წლის განმავლობაში გეგმავს. ვინაიდან, 2009 წელს ვაუჩერის მიღებისა და მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში, მომდევნო წელს მასწავლებელი ხელმეორედ არ დაფინანსდება.

ინსტრუქციები საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებელებისათვის:

- მასწავლებლების ტრენინგ-პროგრამების შესახებ ინფორმირების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ყველა სკოლას მიაწვდის აკრედიტებული პროგრამების ანოტაციის პაკეტს. მოცემული საინფორმაციო პაკეტი და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების სია მიეწოდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურცენტრს.
- რესურსცენტრის უფროსი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების გავრცელებისა და შემდგომი ადმინისტრირებისათვის.
- პროგრამების ანოტაციების გაცნობის შემდეგ, პროგრამის, პროგრამების გავლით დაინტერესებული მასწავლებელი მოითხოვს ცნობას სკოლიდან და მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას, წინასწარი რეგისტრაციის გავლის მიზნით. ტრენინგ-ორგანიზაცია, მასწავლებლის წინასწარ რეგისტრაციაში გატარებისას, ავსებს წინასწარი რეგისტრაციის ფორმას და გადასცემს მასწავლებელს საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარსადგენად.
- მასწავლებელი წარადგენს **პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შევსებულ წინასწარი რეგისტრაციის ფორმას, სკოლის მიერ გაცემულ ცნობას, პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და ასლს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში**.
- რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირის დახმარებით, მასწავლებელი შეავსებს **ვაუჩერის მიღების შესახებ განაცხადს**.
- რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირი შეავსებს ვაუჩერს, **ვაუჩერის ორივე გვერდზე მიუთითებს მასწავლებლის სახელს, გვარს, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულ პირად ნომერს, მასწავლებლის მიერ შერჩეულ პროგრამას, დაამოწმებს ხელმოწერით, რესურსცენტრის ბეჭდით და შევსებული ვაუჩერის მეორე გვერდს გადასცემს მასწავლებელს**. ვაუჩერის პირველ გვერდს იტოვებს რესურსცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში წარსადგენად.
- შევსებული ვაუჩერით მასწავლებელი მიმართავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების აკრედიტირებული პროგრამის, პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციას **2009 წლის 1 დეკემბრამდე**.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების ადმინისტრირების ეტაპები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ყველა სკოლას მიაწვდის აკრედიტებული პროგრამების ანოტაციის პაკეტს მასწავლებლების ტრეინინგ-პროგრამების შესახებ ინფორმირების მიზნით. მოცემული ინფორმაციის პაკეტი და პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების სია მიეწოდება ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრსაც.

რესურსცენტრის უფროსი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების გავრცელების და შემდგომი ადმინისტრირებისთვის.

პროგრამების ანოტაციების გაცნობის შემდეგ პროგრამის, პროგრამების გავლით დაინტერესებული მასწავლებელი მოითხოვს ცნობას სკოლიდან და მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას წინასწარი რეგისტრაციის გავლის მიზნით.

ტრენინგ-ორგანიზაცია, მასწავლებლის წინასწარ რეგისტრაციაში გატარებისას, ავსებს წინასწარი რეგისტრაციის ფორმას და გადასცემს მასწავლებელს საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარსადგენად.

მასწავლებელი წარადგენს პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შევსებულ **წინასწარი რეგისტრაციის ფორმას, სკოლის მიერ გაცემულ ცნობას, პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში**.

რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირის დახმარებით, მასწავლებელი შეავსებს ვაუჩერის მიღების შესახებ განაცხადს.

რესურსცენტრის პასუხისმგებელი პირი შეავსებს ვაუჩერს, **ვაუჩერის ორივე გვერდზე მიუთითებს მასწავლებლის სახელს, გვარს, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულ პირად ნომერს, მასწავლებლის მიერ შერჩეულ პროგრამას, დაამოწმებს ხელმოწერით, რესურსცენტრის ბეჭდით და მეორე გვერდს გადასცემს მასწავლებელს.**

შევსებული ვაუჩერით მასწავლებელი მიმართავს პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას; შევსებული ვაუჩერის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის გადაცემის საფუძველზე, მასწავლებელი გაივლის პროგრამას წინასწარ შეთანხმებულ ვადებში.

ინტეგრირებული გაკვეთილები „ინტეგრირებულ“ კლასებში

ინტეგრირებულ კლასებში, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების იდეა მეთოდურ სწავლებებზე სამი სკოლის, ქიმიის სამი მასწავლებლის შეხვედრისას გაჩნდა... ლია აღდგომელაშვილი (107-ე სკოლა), ნაირა ვარამაშვილი (145-ე სკოლა) და ნუნუ ბურღაშვილი (156-ე სკოლა) მორიგი სწავლების შემდეგ დასასვენებლად კაფეში შეიკრიბნენ.

თამარ კაციტაძე

„წლების მანძილზე სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებას და ღია გაკვეთილს ვატარებდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქიმიის, როგორც საგნისადმი, ინტერესმა იკლო, მეორეხარისხოვანი საგნის რანგში გადავიდა, გარკვეულწილად ჩრდილში მოვექეცით. გასული წლის სექტემბრიდან ჩვენი საგანი კვლავ აქტიურ სწავლებაში დაბრუნდა. სკოლის დირექტორმა, ქეთევან ხახუბიამ ღონისძიების მომზადება შემოგვთავაზა. მქონდა იდეა, რომ სკოლებს ერთობლივი გაკვეთილი ჩაგვეტარებინა. მოსაზრება ისანი-სამგორის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს

ირინა გოგონაიასაც გავუზიარე, რომელიც ასევე ძალიან დაინტერესდა. მეთოდური სწავლების შემდეგ სწორედ ამაზე ვესაუბრე ჩემს მეგობრებს და ღონისძიებაზე მუშაობაც დავიწყეთ“, – იხსენებს 156-ე სკოლის მასწავლებელი ნუნუ ბურღაშვილი.

თავდაპირველად მათ სურდათ, სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს ერთ-ერთ კლასში ქიმიის გაკვეთილი ერთობლივად ჩაეტარებინათ, მაგრამ შემდეგ გაჩნდა ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა: ქიმია-ბიოლოგიის კავშირი მედიცინასთან.

პირველი ინტეგრირებული გაკვეთილი 156-ე სკოლაში ჩატარდა და მასში სამი სკოლის 12-12 მოსწავლე მონაწილეობდა. „მოგეხსენებათ, ქიმია და ბიოლოგია ძალიან მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომაც შევაჩერეთ ყურადღება ამ საგნებზე. ჩამოვაყალიბეთ თემატიკა: რა კავშირი ჰქონდა ქიმიაში გავლილ მასალას ბიოლოგიასა და მედიცინასთან. ეს თემა ბავშვებს მივეცით, რათა თვითონ ემუშავათ და ინტეგრირებული გაკვეთილისთვის მომზადებულიყვნენ“, – გვიხსნის 107-ე სკოლის ქიმიის მასწავლებელი ლია აღდგომელაშვილი.

ქიმიის მასწავლებლების განმარტებით, ინტეგრირებული გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, მოსწავლეებს დამოუკიდებლად მოეძებნათ საჭირო მასალები, შემდეგ კი დაემუშავებინათ და გაეანალიზებინათ.

„მოსწავლეები თვითონ ეძებდნენ მასალებს ინტერნეტში, ბიბლიოთეკებში... ჩვენ, რა თქმა უნდა, თვალყურს ვადევნებდით და ვუხსნიდით, რომელი მასალა იყო ღირებული და საჭირო, რა მიმართულებით უნდა ემუშავათ და ასე შემდეგ“, – ამბობს ლია აღდგომელაშვილი.

მოგვიანებით ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების ფორმა ოდნავ შეიცვალა. გაჩნდა „ინტეგრირებული“ კლასის შექმნის იდეა: სამივე სკოლის მე-10 კლასის 12-12 მოსწავლეს ერთ-ერთ სკოლაში შეკრებდნენ და მათგან შერეულ ჯგუფს შექმნიდნენ, ამგვარად დაკომპლექტებული კლასის მასწავლებელი კი მასპინძელი სკოლის პედაგოგი იქნებოდა. ჩვეულებრივი გაკვეთილისგან განსხვავებით, აქაც იყო სიახლე – გაკვეთილს ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელები ერთობლივად ჩაატარებდნენ.

„ინტეგრირებული გაკვეთილის იდეამ მოსწავლეების დაინტერესება გამოიწვია. სხვადასხვა სკოლის ბავშვების გაერთიანებით მათში პასუხისმგებლობის გრძნობა გავზარდეთ. ეს ჯანსაღი კონკურენცია იყო, ისინი საკუთარ ცოდნას ავლენდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. დღევანდელი მოზარდები იმდენად განვითარებულები არიან, რომ თუ სკოლაში განსხვავებულ მიდგომებს არ შესთავაზებ, სწავლით ვერ დააინტერესებ“, – გვიხსნის ნუნუ ბურღაშვილი.

ინტეგრირებული გაკვეთილის ორგანიზატორებიც და მონაწილეებიც ირწმუნებიან, რომ ამ გაკვეთილებმა ბავშვებს შორის შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოაყალიბა. მათ ჯგუფური მუშაობა ისწავლეს, დამეგობრდნენ და ურთიერთობას ახლაც აგრძელებენ.

მეორე ინტეგრირებული გაკვეთილი 107-ე სკოლაში ჩატარდა (თემა: „ნარკოტიკი, ნიკოტინი და შიდსი“), მესამე გაკვეთილი კი – 145-ე სკოლაში. თეორიული ხასიათის მქონე წინა ორი გაკვეთილისგან განსხვავებით, ბოლო მეცადინეობა პრაქტიკულ სწავლებას დაეთმო. თეთრ ხალათებში გამოწყობილი მოსწავლეები თავად ახდენდნენ ჟანგვა-აღდგენით რეაქციებს, შემდეგ გამოთვლებს დაფაზე წერდნენ და ექსპერიმენტის შესახებ მსჯელობდნენ.

მასწავლებლები თვლიან, რომ ინტეგრირებულმა გაკვეთილებმა აშკარად გაამართლა, შედეგს რამდენიმე მიმართულებით მიაღწიეს. „ბავშვების დამეგობრება, გამოცდილების გაცვლა, ქიმიისადმი ინტერესის გაღვიძება, უცხო ადამიანებთან კონტაქტის დამყარება და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარება“, – 145-ე სკოლის ქიმიის მასწავლებლის, ნაირა ვარამაშვილის აზრით, ინტეგრირებული გაკვეთილების მომზადება სწორედ ამ შედეგების გამო ღირდა. მეტიც, პედაგოგის თქმით, გაკვეთილების დასრულებისთანავე მასთან მოსწავლეები მიდიოდნენ და პირდებოდნენ, რომ ქიმიას უკეთესად ისწავლიდნენ.

„ეს გაკვეთილები სიახლე იყო ჩვენს ცხოვრებაში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დამოუკიდებლად ვმუშაობდით, სხვა სკოლის ბავშვებს დავუმეგობრდით და ურთიერთობას ახლაც ვაგრძელებთ. თავიდან ცოტა გვეშინოდა, მაგრამ მერე იმდენად მოგვეწონა, რომ თანახმა ვიყავით, სხვა სკოლაშიც წავსულიყავით. ჯერ ერთი, სრულიად უცხო მოსწავლეებთან ურთიერთობას ვსწავლობდით და მეორეც, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ღონისძიება ჩვენს სკოლაში ტარდებოდა. გვინდოდა, ყველანაირად კარგი შთაბეჭდილება მოგვეხდინა“, – ასეთია ინტეგრირებული გაკვეთილის ერთ-ერთი მონაწილის, 107-ე სკოლის მოსწავლის, ელენე შალაშვილის შეფასება.

ქიმიის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ინტეგრირებული გაკვეთილები მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. „ამ გაკვეთილის მომზადების პერიოდში მასწავლებლებიც ვმეცადინეობდით, დამატებით ინფორმაციას ვეძებდით, საჯარო ბიბლიოთეკაში დავდიოდით, უნივერსიტეტის ლექტორებისგან კონსულტაციებს ვიღებდით. მოკლედ, დამატებითი ცოდნა ჩვენც შევიძინეთ.

შემდეგ ვსხდებოდით და ვმსჯელობდით, რა შეკითხვები დაგვესვა გაკვეთილზე, რა თემა წამოგვეწია წინ და ასე შემდეგ. ეს შემოქმედებითი მუშაობა იყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის“, – ამბობს ნაირა ვარამაშვილი.

საგნობრივი კათედრების მუშაობაზე, საკუთარი მოსაზრება, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ხელმძღვანელმა, **დოდო სალაყაიამ** გაგვიზიარა: „საგნობრივ კათედრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა/სწავლების პროცესის სწორად წარმართვისათვის. პედაგოგები, მრავალი წელია, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებაზე მუშაობენ. ჯგუფური მუშაობა ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია ახალი მიდგომების დანერგვის პროცესში. საგანთა ინტეგრაციის დროს ის განსაკუთრებით ეფექტურია. ამ შემთხვევაში, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთად მუშაობენ, გაკვეთილებს გეგმავენ, ადგენენ გაკვეთილის რომელ ნაწილში ვინ იქნება წამყვანი და ვინ – დამხმარე მასწავლებელი. საგნობრივი კათედრები საშუალებას აძლევს მათ, კოლეგებთან ერთად დაგეგმონ სასწავლო სტრატეგიები, განიხილონ სასწავლო პროგრამები, მეთოდები და სახელმძღვანელოები. იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც საგნობრივი კათედრები ეფექტურად მუშაობს, აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობა მათ დასახული მიზნების მიღწევაში ეხმარება.

კოლეგების თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდი ცვლილებებსა და პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. დისკუსიები, პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა, იდეების გაზიარება ის პროცესებია, რომლებიც სკოლაში მასწავლებელთა არაფორმალური ქსელის შექმნას უწყობს ხელს. ეს კი რეფორმის ფარგლებში სასკოლო ქსელებისა და მასწავლებელთა საგნობრივი ასოციაციების ჩამოყალიბების საფუძველია, რაც, თავის მხრივ, პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას განაპირობებს.

ცნობილია, რომ მასწავლებლებს მოსწავლეების კომენტარების გათვალისწინება და გაზიარება უჭირთ. მხოლოდ 25%-ზე ნაკლები ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასებებს და 10%-ზე ნაკლები – ადმინისტრაციულ შეფასებებს. ამავდროულად ცნობილია, რომ თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მეთოდით მომუშავე მასწავლებლების 80% ითვალისწინებს კოლეგების შენიშვნებს. ისინი გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილებს აკვირდებიან და იკვლევენ. დისკუსიის დროს მათ საშუალება აქვთ, თითოეულისთვის საინტერესო ნაწილზე იმსჯელონ. დისკუსია და გაკვეთილის ანალიზი სხვადასხვა მასწავლებლის დაკვირვებებისა და მოსაზრებების საფუძველზე მიმდინარეობს, რაც პრობლემის განსხვავებული კუთხიდან დანახვის საშუალებას იძლევა.

გამოცდილ პედაგოგებს, აღნიშნული მეთოდის დახმარებით, შეუძლიათ საუკეთესო საგაკვეთილო მოდელები შექმნან და კიდევ უფრო სრულყონ ისინი. ზოგიერთი თვლის, რომ ამ მეთოდის წარმატებას მასწავლებლებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება განაპირობებს, ზოგიერთის აზრით კი, იგი ამართლებს, რადგან სამუშაოს საბოლოო შეფასებისკენ კი არ არის მიმართული, არამედ მისი გაუმჯობესებისკენ.

საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ საგანმანათლებლო რესურსების შექმნაზეც. ეს მათ პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. რესურსების შექმნის პროცესში სხვა მასწავლებელების დაინტერესება და ჩართვაც შესაძლებელია. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების შერჩევისას პედაგოგებმა ერთობლივად განიხილონ ისინი და ჯგუფური გადაწყვეტილება მიიღონ: რომელ წიგნს ანიჭებენ უპირატესობას და რატომ? ასევე ერთობლივად უნდა განსაზღვრონ და მოიძიონ ის დამატებითი რესურსებიც, რაც მათ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში დაეხმარება.

P.S.სამწუხაროდ, ქალბატონი დოდო სალაყაია, მოულოდნელად გარდაიცვალა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და ჟურნალი „მასწავლებელი“ დიდ მწუხარებას გამოთქვამს და კიდევ ერთხელ უცხადებს სამძიმარს მის ოჯახსა და ახლობლებს.

თამარ ონოფრიენკო

მალტა – ქვეყანა, სადაც არ იცინან, რა არის „შატალო“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში, უმასპინძლა სემინარს თემაზე: „დამწყებ მასწავლებელთა მენტორობა: ინოვაციური პრაქტიკა და მიდგომები“.

სემინარში მონაწილეობა მიიღო მალტელმა მასწავლებელმა და განათლების ექსპერტმა, ჯორჯ კოლეირომ. მისმა საინტერესო პრეზენტაციამ და მონათხრობმა გადაგვაწყვეტინა, ქართველი მასწავლებლებისთვისაც გვეამბო მალტის განათლების სისტემაზე, აგრეთვე გამოწვევებისა და პრობლემების დაძლევის იმ გზებზეც, რაც ამ ქვეყანამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში გაიარა.



> „მასწავლებლობა – ეს უბრალოდ სამსახური არ არის. თუ ვინმე მასწავლებლობას ნახევარი სამუშაო დღის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო ირჩევს, მალევე რწმუნდება ამ პროფესიის სირთულეში. მასწავლებლობა, პირველ ყოვლისა, მოწოდება და ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა. თითოეული მასწავლებელი და მთელი სკოლა უნდა ეცადოს, რომ ყოველი გაცდენილი დღე მოსწავლისათვის დანაკარგად აქციოს. ბავშვს გული უნდა სწყდებოდეს თითოეულ გაცდენილ გაკვეთილზე.“

მალტა წარმატებული და განვითარებული ქვეყანაა და მისი წარმატების საიდუმლოს გასაღები მაინც განათლებისკენ სწრაფვაში იმალება. განათლების სისტემის დაფინანსებას ხელისუფლება ყოველწლიურად ზრდის. ევროკავშირში შესვლის შემდეგ რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის წილი განათლების დაფინანსებაზე 7-9%-ს შეადგენს, რაც უპრეცენდენტოდ მაღალია ევროპის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით.

მალტელ მოსწავლეთა 70%-ზე მეტი საჯარო სკოლაში სწავლობს. არასახელმწიფო, ანუ საეკლესიო და კერძო სკოლები ავტონომიურია. სახელმწიფო, ძირითადად, მათ მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს, განათლების ხარისხისა და სტანდარტების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ეროვნულ სასკოლო პირობებთან (ჰიგიენა, უსაფრთხოება, სკოლის, კლასების მოვლა-მოწყობა) შესაბამისობის დადგენის მიზნით. გარდა ამისა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობას ხელფასს სახელმწიფო უხდის, რის სანაცვლოდაც მას ეკლესია გარკვეულ ქონებას გადასცემს.

ამ ქვეყანაში განათლების სისტემა ბრიტანულ მოდელს ეფუძნება. საბავშვო ბაღის შემდეგ, 5 წლის ასაკში, ბავშვი დაწყებით სკოლაში შედის, სადაც 6 წლის განმავლობაში სწავლობს. სკოლას ჰყავს 3 მასწავლებლის, 3 მშობლის, სკოლის დირექტორისა და პრეზიდენტისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც ბიუჯეტისა და ქონების განკარგვაზეა პასუხისმგებელი. მასვე ევალება სხვა მასწავლებელთა მონაწილეობით სამწლიანი ბიზნეს-გეგმის, სკოლის განვითარების გეგმისა და პროგრამის შემუშავება.

11 წლის ასაკში ბავშვები საბაზო სკოლაში გადადიან. ეს საფეხური ლიცეუმებსა და სფეროების მიხედვით დიფერენცირებულ, ასევე სუსტი და ძლიერი მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სკოლებს მოიცავს. სკოლის საბჭო აქაც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც დაწყებით ეტაპზე. ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, საგნის პედაგოგების გარდა, ხელმძღვანელ-ინსტრუქტორი, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მასწავლებლებიც ჰყავთ. ხუთწლიან სავალდებულო საბაზო საფეხურს მოსწავლე 16 წლის ასაკში ამთავრებს, რის შემდეგაც კურსდამთავრებულთა დაახლოებით 60% სწავლას საშუალო (2 წელი) ან სახელობო-საშუალო (4 წელი) სკოლაში აგრძელებს.

1998 წლიდან განათლების სამინისტრომ განათლების მესამე საფეხუ-

რის რეფორმირება გადაწყვიტა, „განათლებული, კვალიფიციური და მარჯვე ადამიანური რესურსების“ მიღების მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირში შესვლის შემდეგ განათლების სისტემის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. მასწავლებლეთა ხელფასი თანრიგების მიხედვით მერყეობს. თანრიგების 9-საფეხურიანი სისტემა, მზარდი ხელფასების გარდა, დამატებით შეღავათებსაც გულისხმობს. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მთავრობამ სესხებისა და გრანტების გამოყოფა დაიწყო სტუდენტებისთვის, მათ შორის პედაგოგიურ სპეციალობებზე შემსვლელებისთვისაც.

როგორც ჯორჯ კოლეირომ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, „მასწავლებლობა საკმაოდ პოპულარული პროფესიაა მალტაზე. სახელმწიფო ცდილობს, მრავალმხრივ დააინტერესოს დამწყები თუ უკვე გამოცდილი მასწავლებელი. თუმცა რა პირობებშიც არ უნდა მუშაობდეს იგი, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უბრალოდ სამსახური არ არის. თუ ვინმე მასწავლებლობას ნახევარი სამუშაო დღის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო ირჩევს, მალევე რწმუნდება ამ პროფესიის სირთულეში. მასწავლებლობა, პირველ ყოვლისა, მოწოდება და ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა“.

ჩვენს არც თუ ისე მარტივ ეპოქაში, როცა ორივე მშობელს სახლიდან გასვლა უხდება ოჯახის რჩენისა თუ თვითრეალიზაციის მიზნით, ბავშვებისთვის გამოყოფილი დროის წილი უფრო და უფრო მცირდება. შეკითხვაზე, თუ როგორ ახერხებენ ისინი სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდას, ჯორჯ კოლეირომ გვიპასუხა, რომ თითოეულ სკოლას საკუთარი სტრატეგია აქვს. მალტელი პედაგოგები ფიქრობენ, რომ მშობელი ხშირად უნდა მოდიოდეს სკოლაში და იცოდეს, რას აკეთებს მისი შვილი, ესწრება თუ არა გაკვეთილებს, რას და როგორ სწავლობს, რა პრობლემები თუ მიღწევები აქვს. 6-7- წლიანი თავდაუზოგავი მცდელობის შემდეგ მათ იმას მიაღწიეს, რომ სკოლებში მშობელთა ასოციაციები, დედათა კლუბები, სხვადასხვა სახის წრეები გაჩნდა. „ამ ყველაფერს თვითონ ვიგონებთ. ყოველი სკოლა ინდივიდუალურად წყვეტს, რა უფრო უკეთესი იქნება მისი კონკრეტული შემთხვევისთვის, რა უკეთ იმუშავებს“, – გვიხსნის მალტელი სტუმარი.

აღზრდა-განათლების პროცესში მშობელთა აქტიური მონაწილეობა მოზარდთა დანაშაულის რიცხვსაც ამცირებს. სკოლაში მოსწავლეთა ქცევას დისციპლინის სახელმწიფო კოდექსი არეგულირებს, რომლის დაცვაც, საპილოტე ფაზის გავლის შემდეგ, ყველა სკოლას ევალება. როცა ჯორჯ კოლეიროს ვუამბეთ, რომ ჩვენთან ხშირია გაკვეთილების არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური გაცდენების, ე.წ. „შატალოების“ შემთხვევები, მან განაცხადა, რომ „შატალოს“ მსგავსი სიტყვა მალტურ ენაში არ არსებობს, რადგან მათთან ასეთი რამ, უბრალოდ, არ ხდება. მანვე დაგვისაბუთა, რომ ჯანსაღ სასკოლო გარემოში გაცდენების რიცხვი თანდათან მინიმალურამდე შემცირდება: „ვაჟთა იმ სკოლაში, რომელშიც მე ვმუშაობ, გაცდენების პროცენტი 45-დან 5-7%-მდე შევამცირეთ. ის მექანიზმი, რომელიც არ მუშაობს – რაც არ უნდა თეორიულად დახვეწილი იყოს – უნდა შეცვალოთ“. მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, გაკვეთილების ავადმყოფობის გამო გაცდენისას, ჯანმრთელობის ცნობის წარმოდგენის მოთხოვნა იყო, რასაც თან ახლდა სოციალური მუშაკის მხრიდან ექიმისა და მშობლის შემოწმება. გაკვეთილის გაცდენის და საერთოდ, ნებისმიერი უდისციპლინობის შემთხვევაში, საქმეში მხოლოდ მშობელი კი არ ერთვება, არამედ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკიც. ამდენი მხარის ჩართულობა კი პრობლემის მიჩქმალვასა თუ შენიღბვას გამორიცხავს. „გაცდენა თუ დისციპლინის დარღვევა მხოლოდ მასწავლებლის საქმე არ არის. სკოლა, ექიმი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და რაც მთავარია, მშობელი – ყველა ერთად არის ჩართული პრობლემის გადაჭრის მცდელობაში. მანამდე კი თითოეული მასწავლებელი და მთელი სკოლა უნდა ეცადოს, რომ ყოველი გაცდენილი დღე მოსწავლისათვის დანაკარგად აქციოს. ბავშვს გული უნდა სწყდებოდეს თითოეულ გაცდენილ გაკვეთილზე. მასწავლებელი კი, თავის მხრივ, მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, საგაკვეთილო პროცესი საინტერესო გახადოს“, – ამბობს მალტელი პედაგოგი.

ჯორჯ კოლეიროსთან საუბრისას ისიც გავარკვიეთ, რომ მალტის ყველა სკოლას ყოველკვირეულად კლასგარეშე ღონისძიებებისთვის გარკვეული დრო აქვს გამოყოფილი. იმის გამო, რომ ეს აქტივობები ძალიან მრავალფეროვანი და ბავშვების ინტერესებსა და მისწრაფებებზე მორგებულია, მოსაწყენი და უსიამოვნო არასდროს ხდება. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან კლუბებს, აწყობენ გასვლით ღონისძიებებს, მუშაობენ სხვადასხვა სახის წრეებში. ამ საქმიანობისას როგორც მოზარდები, ისე პედაგოგები კრედიტებს/ქულებს იღებენ. მოსწავლეთა ჩართულობა შეიძლება სრული არ იყოს, თუმცა მისი ხარისხი ძირითადად მასწავლებელზეა დამოკიდებული: ენთუზიაზმი, მოტივაცია, ორგანიზებულობა – ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგისგან, ინსტრუქტორისგან მოდის და მოსწავლეს გადაეცემა. „მალტის საზოგადოება საკმაოდ რელიგიურია და მასწავლებელი რუდუნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეული მოსწავლის სამყაროს. აცნობიერებს, რომ მას შეუძლია თითოეული ბავშვის პიროვნული სრულყოფაც და დამახინჯებაც“, – გვარწმუნებს ჯორჯ კოლეირო.

სახელმწიფოს მიერ გაღებული დიდი ფულადი ინვესტიციისა და საზოგადოების მხრიდან განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების შედეგად მალტას მაღალკვალიფიციური, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მოქალაქეები ჰყავს. ჯორჯ კოლეირომ, მალტელი მასწავლებლების სახელით, წარმატება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა უსურვა ქართველ კოლეგებსა და განათლების პოლიტიკის მესვეურებს.

მომავალი თაობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი

თამარ კაციტაძე

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!“ – სპარტანელების ამ დევიზს ცივილიზაცია ტექნოლოგიური მიღწევებით დაუპირისპირდა. შედეგად კი, როგორც დღევანდელი მეცნიერები ვარაუდობენ, აღნაგობით, გონებრივად და სულიერად დეფორმირებული ადამიანების ჩამოყალიბების საშიშროება წარმოიშვა. ამ პრობლემისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა სწორედ ჯანსაღი ცხოვრების წესია.

ქართველი პედიატრები ირწმუნებიან, რომ თანამედროვე ცხოვრების წესის გამო მოზარდ თაობას უკვე აღენიშნება სხეულის ძვლოვან-კუნთოვანი სისტემის არასწორი განვითარება, რაც შესაძლოა მომავალში მძიმე დაავადებების საფუძველი გახდეს. ასეთი ბავშვების რაოდენობა კი საკმაოდ დიდია – სპეციალისტთა გათვლით, დაახლოებით 80 პროცენტს აღწევს.

ნინო ელბაქიძე, *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი:* „მოსწავლეთა სწავლების სტანდარტების ერთ-ერთ ქვეთავში („სასწავლო გარემო“) აღნიშნულია: „მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში“.

ჯანსაღი ცხოვრების წესზე საუბრისას უმთავრესად იმას გულისხმობენ, რომ მოსწავლემ სიგარეტი არ უნდა მოწიოს, ნარკოტიკი არ უნდა გაიკეთოს და ა.შ. თუმცა ეს გაცილებით ფართო ცნებაა. პირველ რიგში, ბავშვები სპორტით უნდა დაკავდნენ, სწორად უნდა იკვებებოდნენ. პედაგოგი ვალდებულია, მოზარდს ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობა ჩაუნერგოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი ოჯახმაც უნდა შეასრულოს. მასწავლებლები მოსწავლეებს სწორად ჯდომისა თუ დგომის კულტურის ჩამოყალიბებაშიც უნდა დაეხმარონ – ამ ასაკში ხომ უკვე ძალიან ხშირია სქოლიოზი თუ ხერხემლის სხვადასხვა დაავადება.

ჯანსაღი ცხოვრების წესი ნორმალურ კვებასაც გულისხმობს. ამ შემთხვევაში, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ოჯახს ეკისრება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბავშვი დღის დიდ ნაწილს სკოლაში ატარებს, ამიტომ ამ პროცესში მასწავლებელიც შეძლებისდაგვარად უნდა ჩაერთოს. კვლევებმა აჩვენა, რომ არასწორი კვების გამო, სკოლის ასაკის ბავშვებს ჭარბი წონის პრობლემა აქვთ, რაც მათ ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს და საბოლოოდ, აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება“.

ტანვარჯიში და აერობიკა სკოლებში

„ადამიანისთვის აუცილებელია ჭამა, რათა მან იარსებოს, გაიზარდოს და ტვინმა იმუშაოს, მაგრამ ასევე ბუნებრივი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოძრაობა. დღევანდელი ბავშვები თავიდან ბოლომდე ტექნიკაზე არიან დამოკიდებულები. ისინი სკოლაში მანქანით დაჰყავთ, სახლში ძირითადად ტელევიზორებთან ან კომპიუტერებთან სხედან. ფაქტობრივად, ბავშვები აღარ მოძრაობენ. ამიტომ, მათ უმრავლესობას ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემა განუვითარებელი აქვს. ადრეულ ასაკში მოზარდებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ხერხემალის გამრუდება, ოსტეოქონდროზი და ა.შ. 14-16 წლის გოგონებს ძალიან ხშირად აღენიშნებათ ისეთი დაავადებები, როგორიც არის კისტა და პოლიკისტოზი. მუცლის პრესის განუვითარებლობის შედეგად შესაძლოა, მომავალში, მათ მშობიარობის პროცესიც გაურთულდეთ. ეს კი ისევ და ისევ უმოძრაობასა და არასწორი ცხოვრების წესს უკავშირდება. როცა ადამიანი არ მოძრაობს, სისხლის მიმოქცევა ირღვევა, ამას კი სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი პრობლემა მოჰყვება. შეხედეთ, რამდენ ახალგაზრდას აწერია სახეზე დაღლა და სიბერე – ეს იმიტომ, რომ არ მოძრაობენ. მოზარდი თაობის ჯანსაღი ცხოვრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება სავალდებულოა მათი ოჯახებისთვის და ასევე სკოლებისთვის, სადაც ბავშვები დღის დიდ ნაწილს ატარებენ“, – ამბობს ექიმი **ლელა ხურციძე**.

აერობიკისა და გამაჯანსაღებელი სისტემების ფედერაციის პრეზიდენტს, **ლუბა სერგოვანცევას** სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის განსხვავებული გამაჯანსაღებელი ვარჯიშები აქვს მოფიქრებული. ისინი ორი სახისაა: პირველია რამდენიმეწუთიანი გამამხნევებელი, მსუბუქი ვარჯიშები. „ერთ პოზაში არასწორი ჯდომისას მოზარდის კუნთები იღლება, ხერხემალი დეფორმირდება. კუნთების ერთი ნაწილი დუნდება, მეორე ნაწილი კი ზედმეტ დატვირთვას იღებს, რის გამოც ისინი არათანაბრად ვითარდება. ამ დროს ბავშვი გონებრივადაც ვეღარ არის მობილიზებული. გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელმა მოსწავლეს განმუხტვისა და მოდუნების საშუალება უნდა მისცეს“, – ირწმუნება ლუბა სერგოვანცევა.

ვარჯიშების მეორე ნაწილი უფროსკლასელებისთვის არის გათვლილი (მე-5 კლასიდან ზემოთ). ტანვარჯიშისა და აერობიკის განსხვავებული სირთულის ილეთების შესრულება 20-30 წუთის განმავლობაში, მუსიკის თანხლებით უნდა მიმდინარეობდეს. „ვარჯიშიც და მუსიკაც ჯანსაღი ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია. გარდა იმისა, რომ აერობიკის ვარჯიშებით მოზარდი ფიზიკურად ვითარდება, მას მუსიკალური გემოვნებაც უყალიბდება“, – ამბობს ლუბა სერგოვანცევა.

აერობიკისა და გამაჯანსაღებელი სისტემების ფედერაციის პრეზიდენტი განათლების სამინისტროსთვის გამაჯანსაღებელი ვარჯიშების პროგრამის წარდგენას გეგმავს. მისივე თქმით, დღეს მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების კულტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს. იგი დარწმუნებულია, რომ როდესაც ვარჯიში სისტემატურ სახეს იღებს და ბავშვები მას სიამოვნებით ასრულებენ, ჯანსაღი ცხოვრების სურვილი მათ ბუნებრივად უჩნდებათ. მშობლებიც ხშირად აღნიშნავენ, რომ ის მოზარდები, რომლებიც ვაჯიშობენ, უფრო ენერგიულები, მოტივირებულები და მოწესრიგებულები არიან.

ჯანსაღი ცხოვრების წესი და „მხიარული სტარტები“

პოპულარულ სატელევიზიო გადაცემა „მხიარულ სტარტებში“ მონაწილეობის მიღება თითქმის ყველა ბავშვის ოცნებაა. „თამაში და გამარჯვება!“ – ამ დევიზით „მხიარული სტარტების“ ფედერაცია მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

„დღეს ბავშვების გონებრივ განვითარებას მეტი ხელშეწყობა აქვს. ფიზიკური აღზრდის პირობები კი, ძველებურად, არც ისე მაღალ დონეზეა. მომავალში, რა თქმა უნდა, ეს პრობლემაც მოგვარდება, მაგრამ გასულმა წლებმა ბავშვებს გარკვეული დაღი უკვე დაასვა. „მხიარული სტარტები“ და მსგავსი პროექტები სწორედ ამ ვაკუუმის ამოვსებას უწყობს ხელს. ჩვენ უცხოელების გამოცდილებისა და ქართული, ტრადიციული სპორტის სახეობების სინთეზი მოვახდინეთ. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ბავშვს ყველა სახის ცოდნა და გამოცდილება თამაშ-თამაშით მიეწოდებოდა.

ჩვენი მიდგომაც ამაზე ავაგეთ. გვინდოდა, მოსწავლეებისთვის თემატურად საინტერესო თამაშები შეგვეთავაზებინა და ამას იძულების ფორმა არ ჰქონოდა. ბავშვი თამაშითაც არ უნდა გადაიღალოს და მისადმი აგრესია არ უნდა გაუჩნდეს“, – ამბობს „მხიარული სტარტების“ ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კიკალიშვილი**.

„მხიარული სტარტების“ არსებობის სამი წლის მანძილზე მასში მხოლოდ დედაქალაქის სკოლები იღებდნენ მონაწილეობას. ფედერაციას სურს, რომ მომავალი წლიდან იგი მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდეს.

2008-2009 წლის შეჯიბრებების შესარჩევ ტურში მონაწილეობა თბილისის 160-მა სკოლამ მიიღო, თუმცა, საბოლოოდ, მხოლოდ 48 თამაში ჩატარდა. „ბავშვების უმრავ-ლესობა იმდენად სუსტი იყო, რომ სწორად სირბილიც კი არ შეეძლო. ფიზიკურად სუსტი ადამიანი თანდათანობით აგრესიული ხდება, საკუთარი თავის რეალიზებას ვერ ახერხებს, მავნე ჩვევებისკენ მიილტვის. ფიზიკურად ჯანსაღ და მიზანდასახულ ადამიანს კი სულ სხვა ფასეულობები აქვს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა“, – აცხადებს ლევან კიკალიშვილი.

„მხიარული სტარტების“ ფედერაციის პრეზიდენტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს იხსენებს: „როგორც ცნობილია, შეჯიბრებაზე სკოლებს გულშემატკივრები მოჰყვებიან ხოლმე, მათ შორის ე. წ. ძველი ბიჭებიც. ამ „ინსტიტუტის“ გადაფასება ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ის მოზარდები, რომლებიც სკოლის სახელით მოედანზე გამოდიოდნენ, კარგად თამაშობდნენ და გამარჯვებული სკოლის სახეები ხდებოდნენ, თამაშის დასრულებისთანავე თანატოლებისთვის გმირებად იქცეოდნენ. ის ბიჭები კი, რომლებიც ქუჩური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მეორე პლანზე გადადიოდნენ. ეს გადაფასება საოცრად თვალსაჩინო იყო“.

მონაწილეები ამ შეჯიბრს მხოლოდ სპორტულ დაპირისპირებად არ აღიქვამენ. „თამაშის დროს ჩვენი სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს, გარდა ამისა, სხვა სკოლის მოსწავლეებსაც დავუმეგობრდით. როგორც მოგებული გუნდი, ხელს ვართმევდით დამარცხებულს და არ დავცინოდით. ამას თავიდან შეჯიბრების ორგანიზატორები და მასწავლებლები გვასწავლიდნენ, მერე კი თვითონვე გაგვიჩნდა სურვილი, რომ დამარცხებულებთან მივსულიყავით. ხომ შეიძლებოდა, ჩვენც წაგვეგო“, – ამბობს 13 წლის ლევან გილიგაშვილი, რომელიც ირწმუნება, რომ მეგობრებთან ერთად ახლაც ვარჯიშობს, რათა მომავალ წელს „მხიარულ სტარტებში“ ისევ მიიღოს მონაწილეობა და გაიმარჯვოს.

კიდევ ერთი რამ, რაც „მხიარული სტარტების“ მონაწილე მოზარდებს მეტად ხიბლავთ, მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებაა. მოედანზე პედაგოგებიც და ბავშვებიც გუნდის სრულფასოვანი წევრები არიან.

„მხიარული სტარტები“ ბავშვებისთვის დიდი სტიმულია. ისინი დარწმუნდნენ, რომ თუ მოინდომებენ, ყველაფერს შეძლებენ. როცა მოზარდს საკუთარი თავის და მასწავლებლის შესაძლებლობების სწამს, წარმატებასაც აღწევს. ჩვენ ვცდილობთ, მოსწავლეებს სულიერი სიმტკიცე ჩამოვუყალიბოთ, თუმცა ზედმეტი თავდაჯერებულობაც დამღუპველია“, – ამბობს 107-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი **რამაზ ქენქაძე**. მან კარგად იცის, რომ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუმცა, იმის გამო, რომ აღნიშნულ სკოლაში სპორტული დარბაზი არ არის, მას ბავშვების მოსამზადებლად დიდი ძალისხმევა სჭირდება.

„მხიარული სტარტების“ ფედერაცია უახლოეს მომავალში წიგნს გამოსცემს, სადაც როგორც თეორიულად, ასევე ფოტო-მასალის სახით იქნება წარმოდგენილი ის თამაშები და სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც ფედერაციამ მეცნიერული შესწავლის საფუძველზე, მოზარდის ასაკობრივი განვითარების მიხედვით მოამზადა. ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ეს წიგნი მასწავლებლებს მხოლოდ სატელევიზიო გადაცემისთვის გუნდის მომზადებაში კი არ დაეხმარება, არამედ, ზოგადად, ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას შეუწყობს ხელს.

„ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას“, – ეს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 31-ე მუხლია, რომელიც, ფაქტობრივად, მოზარდის ჯანსაღი ცხოვრების წესის განსაზღვრებაცაა და მისი დაცვის ვალდებულებაც. ამ მოთხოვნის შესრულება ყველა სკოლისთვის და ყველა ოჯახისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

პასუხები
თქვენს შეკითხვებზე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით შედგა შეხვედრები მათემატიკის მასწავლებლებთან თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. პროფესიული სტანდარტის, სასერტიფიკაციო გამოცდის შინარსისა და ფორმატის შესახებ პედაგოგების შეკითხვებს გამოცდების ეროვნული ცენტრის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები პასუხობდნენ. „მასწავლებლის“ თხოვნით, თქვენს შეკითხვებს ექსპერტები ისევ უპასუხებენ.

გაქვთ შეკითხვა? – მოგვწერეთ: info@tpdc.ge

მათემატიკის მასწავლებლებისთვის

რა სახის სერტიფიკატის მოპოვება შეეძლება მათემატიკის მასწავლებელს?

თამარ ხუჭუა, *სამტრედიის მე-8 საჯარო სკოლა*

სასერტიფიკაციო გამოცდაზე მათემატიკის მასწავლებელი საბაზო და საშუალო საფეხურის მასალას აბარებს და შესაბამისად, იგი შეძლებს როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე ასწავლოს. სერტიფიკატის მოსაპოვებლად მათემატიკის მასწავლებელი ორ გამოცდას აბარებს: ერთს – ზოგად უნარ-ჩვევებში და მეორეს – მათემატიკაში.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში ისეთი საკითხებია შესული, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება, მაგალითად: ალბათობა, სტატისტიკა, კომპლექსური რიცხვები. რატომ?

მირანდა გაბრიჭიძე, *ზემო ნატანების საჯარო სკოლა, ოზურგეთი*

მასწავლებლის სტანდარტი მართლაც შეიცავს იმ თემებს, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ შედის. ბუნებრივია, მასწავლებლის ცოდნის დონე უნდა აღემატებოდეს მოსწავლის მისაღწევ შედეგს, რათა მან მოზარდებისთვის სათანადო ცოდნის გადაცემა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება უზრუნველყოს. დასახელებული თემების ნაწილი, მაგალითად, ფუნქციის წარმოებულები, რამდენიმე წლის წინ სკოლაში ისწავლებოდა და გამოცდილი პედაგოგების უმრავლესობას მათი სწავლების ფართო პრაქტიკა აქვს. ხოლო ალბათობისა და სტატისტიკის ელემენტები უკვე შესულია სასწავლო პროგრამაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტანდარტში მათი არსებობა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისას გადაულახავ დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება.

რამდენ ხანს გაგარძელდება სასერტიფიკაციო გამოცდა და იქნება თუ არა შესვენება?

ლია ესიტაშვილი, *თელავის №8 საჯარო სკოლა*

სასერტიფიკაციო გამოცდა დაახლოებით 4-5 საათს გაგრძელდება. პირველ და მეორე ნაწილს შორის შესვენება გათვალისწინებულია.

ალგებრისა და გეომეტრიის ინტეგრირებულად სწავლება პედაგოგებს გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის. ეს ორი მათემატიკური საგანი ცალ-ცალკე უნდა ისწავლებოდეს. შეგვიძლია ალგებრა და გეომეტრია ასე ვასწავლოთ?

ნათელა მინდიაშვილი, *ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა, გორი*

გაკვეთილებს მასწავლებელი თავად გეგმავს. პედაგოგისთვის მთავარი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმა და მოსწავლესთან მისაღწევი შედეგია. მისი გადასაწყვეტია, როგორ დაგეგმავს ამ შედეგის მისაღწევ გზას. რა თქმა უნდა, მას შეუძლია გაკვეთილები როგორც ინტეგრირებულად, ისე ცალ-ცალკე ჩაატაროს.

დამხმარე სახელმძღვანელოები და სასარგებლო ინტერნეტ-რესურსები მათემატიკის მასწავლებლებისთვის:

რუსულენოვანი ვებ-გვერდები:

http://kvant.mirror1.mccme.ru/
სამეცნიერო-პოპულარული ფიზიკა – მათემატიკური ჟურნალი „კვანტი“

http://www.math.ru/lib/
ელექტრონული ფორმატის მათემატიკური წიგნების ბიბლიოთეკა

http://www.problems.ru/
ამოცანების ბაზა, თემატური კატალოგი

http://soft.dlf.ge/
ამ საიტიდან შესაძლებელია გაქართულებული კომპიუტერული პროგრამების გადმოწერა

ინგლისურენოვანი ვებ-გვერდები:

http://illuminations.nctm.org/Lessons.aspx
ამერიკის მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაციის ვებ-გვერდი. აქ განთავსებულია გაკვეთილის გეგმები, თემატურად დალაგებული, თანდართული თვალსაჩინოებებით.

http://www.shodor.org/interactivate/activities/
ინტერაქტიული ელექტრონული რესურსები მათემატიკაში (ჯავა აპლეტები)

http://www.cut-the-knot.org/pythagoras/index.shtml
ამ გვერდზე მოცემულია პითაგორას თეორემის 80-ზე მეტი დამტკიცება, უამრავი ვიზუალური მასალა, ვირტუალური სიმულაციები.

ლიტერატურა

პროგრამაში მოცემული მასალა, რომელიც მათემატიკაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის, შესაძლებელია იხილოთ მითითებულ სახელმძღვანელოებში:

1. ი. ქარცივაძე, მათემატიკური ანალიზი, ტ. 1, თბ., 1981
2. ვ. ჭელიძე, ე. წითლანაძე, მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1, თბ., 1971
3. ნ. მუსხელიშვილი, ანალიზური გეომეტრიის კურსი. თბ., 1951
4. გ. მანია, ალბათობის თეორიის კურსი, თბ., 1962
5. Погорелов А. В. Аналитическая геометрия. Изд. “Наука”, М., 1978
6. Цубербиллер О.Н., Задачи и упражнения по аналитической геометрии. Изд. “Наука”, М., 1966
7. Фихтенгольц Г.М. Курс дифференциального и интегрального исчисления. т. 1., Изд. “Наука”, М., 1969
8. Зорич В.А. Математический анализ. т. 1., Изд. “Наука”, М., 1981
9. Севастьянов Б.А., Чистяков В.П., Зубков А.М., Сборник задач по теории вероятностей. Изд. “Наука”, М., 1980
10. Оре О., Теория графов. Изд. “Наука”, М., 1980
11. Болтянский В.Г., Ефремович В.А., Наглядная топология. Изд. “Наука”, М., 1982
12. Гнеденко Б. В., Хинчин А. Я. Элементарное введение в теорию вероятностей. Изд. “Наука”, М., 1970
13. Никитин В.В., Сборник логических упражнений. Пособие для учителей математики. Изд. “Просвещение”, М., 1970
14. Виленкин Н. Я. Индукция. Комбинаторика. Пособие для учителей. Изд. “Просвещение”, М., 1976
15. Дубнов Я. С. Ошибки в геометрических доказательствах
16. Robin J. Wilson. Introduction to Graph Theory. Oliver and Boyd, Edinburgh, 1972

მეთოდური ლიტერატურა

მეთოდურ სახელმძღვანელოებად შეგიძლიათ გამოიყენოთ მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა მიერ გამოცემული მასწავლებლის წიგნები.

ქვემოთ მოყვანილ წიგნებში მათემატიკის პედაგოგიკასთან დაკავშირებული საკითხებია მოცემული:

1. Фройденталь Г., Математика как педагогическая задача. т. 1-2. Изд. “Просвещение”, М., 1983
2. Пиаже Ж., Бет Э., Дьедонне Ж., Лихнерович А., Шоке Г., Гаттеньо К., Преподавание Математики. Пособие для учителей. (Перевод с французского). М., 1960
3. G. Polya, How To Solve It, A New Aspect of Mathematical Method, Princeton University Press, 1945
4. N.L. Webb, Assessment in the Mathematics Classroom, National Council of Teachers of Mathematics, 1993 Yearbook

ინტერნეტ-რესურსები

ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ სხვა ქვეყნებში მიმდინარე პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რჩევები, ტესტების ნიმუშები, სხვა სასკოლო ლიტერატურა მოიძიოთ. ამ მიზნით ვებ-მისამართების მცირე ჩამონათვალს გთავაზობთ:

„პრაქსის“ სერიის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები
http://www.ets.org/praxis/

ონლაინ მათემატიკური ტესტები
http://mathonline.missouri.edu/

გაკვეთილის გეგმები
http://www.eduref.org/cgi-bin/lessons.cgi/Mathematics
http://www.internet4classrooms.com/math.htm

ჯავა აპლეტები
http://smard.cqu.edu.au/Database/Teaching/JavaMath.html
http://www.walter-fendt.de/m14e/

სასკოლო ლიტერატურა
http://www.eknigu.org/lib/M_Mathematics/MSch_School-level/

ბავშვმა საკუთარი თავი თვითონ უნდა აღზარდოს

„მასწავლებელს“ მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი საკუთარ გამოცდილებასა და შეხედულებებზე ესაუბრა.

მანანა ხიდაშელი

როგორი იყო თქვენი დროის სკოლა და რა შეიცვალა დღეს?

– ჩემი დაკვირვებით, თუ კლასში ბავშვების ძირითადი ბირთვი სწავლაზეა ორიენტირებული, მაშინ ყველა ცდილობს, საერთო დონეს დაეწიოს. ჩვენს კლასში უმეტესობა კარგად ვსწავლობდით. მე ბევრს ვაცდენდი. გამოფენების გამო ათი დღით ან ორი კვირით ქალაქიდან გასვლა მიხდებოდა. ხშირად საზღვარგარეთაც მივემგზავრებოდი. სკოლაში რომ ვბრუნდებოდი, ორმაგად უნდა მემეცადინა, რომ კლასელებს დავწეოდი. საერთოდ, ჰუმანიტარი ვარ და ტექნიკური საგნების ასათვისებლად განსაკუთრებული ძალისხმევა მჭირდებოდა. მაგიდაზე ალგებრის, გეომეტრიის, ქიმიის და ფიზიკის წიგნები მეწყო და ღამეებს ვათენებდი. მამაჩემი აპროტესტებდა, მათემატიკოსობა ხომ არ გინდაო, მაგრამ გაცდენილი მასალა რომ არ დამეძლია, სკოლაში არ წავიდოდი.

იმ დროს რომ დიფერენცირებული სწავლება ყოფილიყო, ანუ მაღალ კლასებში თავად შეგძლებოდათ ჰუმანიტარული თუ ტექნიკური საგნების არჩევა, ისარგებლებდით ამით?

– არ ვიცი, ვისარგებლებდი თუ არა. ალგებრა, გეომეტრია და სხვა ტექნიკური საგნები, რომლებსაც ვიზეპირებდი და კარგ ნიშნებსაც ვიღებდი, დღეს საერთოდ არ მახსოვს. თუმცა ალბათ მაინც ყველა საგანს ვისწავლიდი, მერე რომ გული არ დამწყვეტოდა.

რა მოგწონთ და რა არა სწავლების თანამედროვე მეთოდებში? ხომ არ შეცვლიდით რამეს?

– ადრე საშუალო განათლებას მეტნაკლებად ყველა ბავშვი იღებდა, ანუ განათლების ხარისხი, დღევან-

> მასწავლებლობანა ბავშვობაში ყველას უთამაშია, მათ შორის, მეც. სერიოზულად კი სკოლის მასწავლებლობაზე არასოდეს მიფიქრია, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან რთული პროფესიაა.

დელივით, სოციალური ფენების მიხედვით არ იყო დაყოფილი. ვიცი, რომ მაღალმთიან რაიონებში ბავშვები სკოლაში ვერ დადიან, რადგან საჭმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სახელმძღვანელოები არ აქვთ. ჩემი აზრით, აუცილებელია, ყველას სწავლის ერთნაირი შესაძლებლობა ჰქონდეს. ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს აუცილებლად უნდა მივცეთ განათლება, იმისთვის, რომ მომავალში თავად შეცვალონ საკუთარი ცხოვრება. თუ ახლა მათ ელემენტარული განათლება ვერ მივეცით, ამით მომავლის შექმნის შანსს წავართმევთ. ჩემი აზრით, განათლება ერთადერთია, რაც ადამიანს თვითდამკვიდრების საშუალებას აძლევს.

ბავშვობაში, უცხოეთში ყოფნისას, ალბათ იქაურ თანატოლებთან სკოლის შესახებაც გისაუბრიათ. ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

– უცხოეთში ყოფნისას ჩემს თანატოლებთან შეხება არ მქონია. გამოფენებთან და წიგნის ილუსტრაციებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე ურთიერთობა უფროსებთან მიხდებოდა. მხოლოდ ერთხელ, ოქსფორდის უნივერსიტეტის დათვალიერებისას, ძალიან დამწყდა გული, რომ იქ სწავლის საშუალება არ მქონდა. მაშინ მე-10 კლასში ვიყავი.

> **პედაგოგმა ბავშვს საკუთარი აზრი თავს არ უნდა მოახვიოს. მან საშუალება უნდა მისცეს, რომ მოსწავლემ საკუთარი თავი თვითონ აღზარდოს.**

კონკრეტულად რა მოგეწონათ?

– იქ სიმშვიდის, განათლების და ცოდნის აურას ვხედავდი. სიძველის შეგრძნება იყო. თითქოს მე-16 საუკუნის შემდეგ არაფერი შეცვლილიყო. ძველი, უზარმაზარი შენობა, ქვის იატაკი, დიდი ეზო, რომელზეც ბალახი მწვანე ხალიჩასავით ეფინა. გვერდზე ნაკრძალი იყო და ირმები დარბოდნენ. ეკლესიაც ჰქონდათ, სადაც კვირაობით სტუდენტები თვითონ გალობდნენ.

კლასელებს გაუზიარეთ შთაბეჭდილებები?

– კი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მაშინ უცხოეთში

სწავლის გაგრძელების საშუალება არ იყო. დღეს, მადლობა ღმერთს, ვისაც ფული აქვს ან სპონსორი ჰყავს, ამასთანავე თუ ნიჭიერია და განათლების მიღებაც სურს, უცხოეთში სწავლა შეუძლია. თავისთავად ეს ძალიან კარგია.

თქვენი მასწავლებლები როგორ გახსენდებათ?

– ყველა კარგად მახსენდება, განსაკუთრებით კი დირექტორი მზია კიწმარიშვილი. მერვე კლასს რომ ვამთავრებდი, ორი ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული: პარიზში „პუბლიკასიონ ორიენტალისთან“ – ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებზე და საქართველოში – ქართული ხალხური ზღაპრების გაფორმებაზე. დრო შეზღუდული იყო და ძალიან ბევრი სამუშაო დამიგროვდა. ამ დროს გამოცდების პერიოდიც მოახლოვდა. ჩემმა დირექტორმა იცოდა, რომ გამოცდაზე მოუმზადებელი არ წავიდოდი, ბილეთების მოსამზადებელი დრო კი თითქმის არ მქონდა. რომ არ მენერვიულა, იმდენი იარა განათლების სამინისტროში, გამოცდებიდან გამათავისუფლეს. ჩემთვის ეს დიდი შეღავათი იყო.

საყვარელი საგანი თუ გქონდათ?

– საერთოდ, პედაგოგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელს შეუძლია, ბავშვს საგანი შეაყვაროს და შეაძულოს კიდეც. სკოლაში ქიმია არ მიყვარდა, რადგან არ მესმოდა და იძულებული ვიყავი, გაკვეთილი დამეზეპირებინა. ჩემი მეგობრები კი ჩვეულებრივად სწავლობდნენ. ერთ წელს ქიმიის მასწავლებელი შეგვიცვალეს. ახალ მასწავლებელს თვითონ ისე უყვარდა ეს საგანი, რომ გაკვეთილს სიამოვნებით და ძალიან საინტერესოდ გვიხსნიდა. გამუდმებით რაღაც ცდებს ატარებდა. იმ მასწავლებელმა ქიმია ძალიან შემაყვარა. მისი ახსნილი ყველაფერი მესმოდა და სწავლაც მიადვილდებოდა.

თავად თუ გიფიქრიათ მასწავლებლობაზე?

– მასწავლებლობანა ბავშვობაში ყველას უთამაშია, მათ შორის, მეც. სერიოზულად კი სკოლის მასწავლებლობაზე არასოდეს მიფიქრია, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან რთული პროფესიაა.

თუ მაინც მოგიხდათ სწავლება, როგორი მასწავლებელი იქნებით?

– ბევრჯერ შემოუთავაზებიათ სტუდიის გახსნა და სტუდენტების აყვანა. თუ ამას ოდესმე დავთანხმდი, ბავშვებს აუცილებლად თავისუფლებას მივცემ. მიმაჩნია, რომ ბავშვმა თვითონ უნდა შეძლოს აზროვნება, საკუთარი დამოკიდებულების შექმნა საგნების და მოვლენების მიმართ. პედაგოგმა მას საკუთარი აზრი თავს არ უნდა მოახვიოს. მან საშუალება უნდა მისცეს, რომ მოსწავლემ საკუთარი თავი თვითონ აღზარდოს. უბრალოდ, მასწავლებელი ბავშვს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში უნდა მიეხმაროს და სწავლის პროცესიც სასიამოვნო გახადოს.

ეს აბსოლუტურად საპირისპიროა თქვენი მოსწავლეობის პერიოდის განათლების სისტემისა...

– რა თქმა უნდა, მაშინ მიდგომა სულ სხვანაირი იყო, კრეატიული მომენტი არ არსებობდა. მასალას გვაძლევდნენ და ვიზეპირებდით, ასეთი სწავლის შედეგი კი მოგეხსენებათ რაც იქნებოდა.

გარდა იმისა, რომ მასწავლებელი მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს, თქვენი აზრით, ხარისხიანი განათლებისთვის კიდევ რა არის საჭირო?

– სწავლა უფასო უნდა იყოს, ასევე წიგნებიც. ყოველ შემთხვევაში, მათი გარკვეული რაოდენობა მაინც ბავშვებს უფასოდ უნდა ურიგდებოდეს. თუმცა ეს დიფერენციაციაც ცუდია: როცა კლასში ზოგი ყიდულობს წიგნს, ზოგს კი უფასოდ აძლევენ, უთანასწორობის მომენტი ჩნდება. რაღაცნაირად ისე უნდა ხერხდებოდეს, რომ ბავშვებს სახელმძღვანელოებით სახელმწიფო უზრუნველყოფდეს.

თქვენს დროს სკოლაში ხელოვნება არ ისწავლებოდა, გრძნობდით ამ საგნის დეფიციტს?

– არა, რადგან მამაჩემი იყო ხელოვანი და ამ დანაკლისს ოჯახი მივსებდა. ვისაც სახლში ხელოვნებას არ ასწავლიდნენ, დიდობისას სწავლობდა. ასე რომ, ეს დიდი ტრაგედია არ ყოფილა. თუ ადამიანს განათლების მიღება სურს, ხელოვნების ისტორიასაც თავად გაეცნობა.

ერთი პერიოდი თურქეთში მოსწავლეებს ლექსის წერას ასწავლიდნენ. თქვენი აზრით, ხელოვნების სწავლა შესაძლებელია?

– მხატვრობაში ელემენტარული ხატვის ნორმების სწავლა შესაძლებელია, მაგალითად, ჩრდილების დადება და სინათლის ამოყვანა. ზოგი ამას ნიჭიერად შეასრულებს, ზოგი – ვერა. ვისაც ხატვის მოთხონილება არ აქვს, იმის იქით აღარ წავა, ხოლო ვისაც სურვილი ექნება, პედაგოგის ახსნილს კიდევ უფრო დახვეწს.

ქართული კინო და მასწავლებელი

ნინო ძანძავა

მასწავლებლის პროფესიას კინემატოგრაფი ყოველთვის სწყალობდა. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობის თემაზე დღემდე არაერთი კინემატოგრაფიული შედევრი შექმნილა. იმ ფილმების გარდა, სადაც ამ საკითხს ცენტრალური ადგილი ეთმობა, მოზარდებზე გადაღებულ სურათებში რეჟისორები სკოლას გვერდს ვერ უვლიან.

წლების მანძილზე უცხოურ თუ ქართულ ფილმებში პედაგოგების სტერეოტიპული სახეებიც ყალიბდებოდა. მასწავლებლებს ხშირად საერთო მახასიათებლები აღენიშნებოდათ: გადაჭარბებული სიმკაცრე, საქმიანობის მიმართ გულმოდგინება, ძველმოდურობა და ა.შ. ბევრ შემთხვევაში, მათი პორტრეტები მკვეთრად შეფასებითი და ცალსახაა, სწორხაზოვნად დადებითი ან უარყოფითი. ამ მხრივ არც საბჭოთა ხანის ქართული კინოა განსხვავებული. პედაგოგების კარიკატურული სახეების შექმნა ჩვენს კინორეჟისორებსაც უყვარდათ, რადგან კომიკური სახე, მაყურებლისათვის პერსონაჟის და მთლიანად ფილმის დამახსოვრების საუკეთესო საშუალება იყო.

რა სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მამალს, გარდა იმისა, რომ „ბუნდღას“ და ხორცს იძლევა? ამ კითხვაზე ნანა მჭედლიძის ფილმის, „იმერული ესკიზების“ ყურებისას ალბათ ყველა დაფიქრებულა. მართლაც, რა უნდა ეპასუხა მოსწავლეს? თითქოს ყველაფერი ცხადი და მარტივია, მაგრამ განრისხებული პედაგოგისა და კუთხეში მიმჯდარი ბავშვის აწეული თითების დანახვისას მაინც გულიანად გვეცინება. უკმეხი

მასწავლებელი გარეგნულადაც უშნოდ გამოიყურება. კუთხური სიტყვებით გაჯერებული ლექსიკა, დაჟინებით გამეორებული „კიდევ, კიდევ რა სარგებლობა მოაქვს...“ და მზარდი ისტერიულობა კომიკურ სიტუაციას ქმნის. პედაგოგი ბოროტ ფურიად გადაიქცევა, უსამართლოდ დასჯილი ბავშვი კი – დაჩაგრულ არსებად. ამგვარად, რეჟისორი მარტივად ახერხებს ჩაგრულისა და მჩაგვრელის კლასიკური მოდელის გათამაშებას, რამაც მაყურებელი (სავარაუდოდ, საკუთარი სასკოლო გამოცდილების გახსენების შედეგად) იოლად უნდა ააღელვოს.

„უჯიკე მაგას!“, „ჩინჩლავს, მასწავლებელო“, „ძაღლს ჯაჭვით აბამენ!“ – ნანა მჭედლიძის ფილმის მარგალიტებს საქართველოში დღემდე იმეორებენ. თუმცა სკოლასთან დაკავშირებული სხვა კინო-ციტატებიც ძალიან პოპულარულია. არცთუ იშვიათად ლიტერატურული ნაწარმოებიდან აღებულ მფრინავ ფრაზებს კინემატოგრაფი ყოველდღიურ ლექსიკაში უფრო მყარად ამკვიდრებდა. ასე მოხდა ნოდარ დუმბაძის რომანების ეკრანიზების შემთხვევაში. „მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – ამ ფილმების მახვილსიტყვაობა მაყურებელმა იმთავითვე აიტაცა და დღემდე გაიგონებთ გამოთქმებს: „ხელის მოსაკიდებელი ადგილი არ იყო“, „მოხარშული წაბლის ჭამა არ გიყვართ, მასწავლებელო?“...

ლანა ღოღობერიძის ფილმში „მე ვხედავ მზეს“ (1965) პატარა, სახასიათო ეპიზოდი გვხვდება, რომელიც საკლასო ოთახში ვითარდება. მასწავლებელი (გოგი გეგეჭკორი) სამხედრო საქმის სპეციალისტია, მოწოდებითა და „წარმოშობით“ კი – ტანკისტი. პროფესიული ცხოვრების ამ დეტალს იგი ბავშვებს თავიდანვე განუმარტავს, აქაოდა მასწავლებლად არ დავბადებულვარო. პედაგოგს ბავშვები სერიოზულად არ აღიქვამენ, არც მაშინ, როდესაც ის საკლასო ოთახის კედელზე პლაკატს აკრავს: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“. რაც უფრო მეტად მოითხოვს სამხედროს მასწავლებელი კლასში ისეთ სიჩუმეს, რომ ბუზის გაფრენის ხმაც კი ისმოდეს, მით უფრო ფრთებს ისხამენ ბავშვები. რაც უფრო მეტად ემუქრება იგი „ტყავის გაძრობით“, მოსწავლეები მით უფრო აბრაზებენ და ღიად დასცინიან. შუა გაკვეთილზე ისინი ჯგუფურ სიმღერასაც კი არ ერიდებიან.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით გადაღებულ კიდევ ერთ ფილმში – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რეჟისორი თენგიზ აბულაძე) – განათლების თემას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. დილაობით სოფელში ზარის რეკვა გაკვეთილების დაწყების მაცნეა, ზურიკელა ვაშალომიძეს კი სწავლა სიკვდილივით ეზარება. თუმცა ქიმიისა და სხვა საგნების სიყვარულით არც მისი კლასელები გამოირჩევიან. ბავშვების უცოდინრობით გაღიზიანებული ქიმიის მასწავლებელი არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათ სწავლის სურვილი გაუჩნდეთ. მხოლოდ დამსჯელის როლში გვევლინება: მისი ერთადერთი მიზანი კლასში წესრიგის დამყარებაა. სასურველი შედეგის მიღწევას სხვების ჩარევით ცდილობს, მაგალითად, სკოლაში ზურიკელას ბებიის (სესილია თაყაიშვილი) გამოძახებით. წერილების არევის ეპიზოდი კი ფილმს კომედიის ელფერს აძლევს.



მასწავლებლის განსხვავებულ სახეს გვთავაზობს გუგული მგელაძე ფილმში „ცისკრის ზარები“ (1967). ახალგაზრდა ლადო იაშვილი (გრიგოლ წიტაიშვილი) სამუშაოდ სვანეთის სოფლის სკოლაში ჩადის. პირველი გაკვეთილის ჩატარებისთანავე ცხადი ხდება, რომ ის სხვა

ტიპის მასწავლებელია. რეჟისორს არათუ მოსულელო პერსონაჟად არ გამოჰყავს ახალგაზრდა ქალაქელი პედაგოგი, არამედ მისგან პროფესიონალ, გაწონასწორებულ, ჭკვიან და წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე მთავარ გმირს ქმნის. ის გულწრფელი და გახსნილია მოსწავლეებთან ურთიერთობაში. უფრო მეტიც, ეს ურთიერთობა პროფესიულ მოვალეობასაც კი სცდება. წინამორბედებისგან განსხვავებით, კლასში შესვლისთანავე ლადო ხმამაღალ სალამს არ მოითხოვს, მოსწავლეებსაც თანასწორებად აღიქვამს. თუკი დუმბაძის ეკრანიზაციებში მოზარდებს ერთი სული ჰქონდათ, გაკვეთილიდან გაქცეულიყვნენ, აქ პიქირით ხდება: როდესაც სევდიან მასწავლებელს უყურებენ, მათ საკლასო ოთახიდან გასვლაც არ უნდათ. ბავშვები ბოლომდე თანაუგრძნობენ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დანიშნული ქალი შეუყვარდა. ბიბლიოთეკართან რომანის გაბმას სკოლის დირექტორი მასწავლებლის ავტორიტეტის შემლახავ მოვლენად აფასებს. მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის აქამდე არსებული სუბორდინაცია კი ირღვევა და მეგობრობად გარდაიქმნება.

ლადო იაშვილი მოზარდების გულს თავიდანვე იგებს. „დღეს პირველ გაკვეთილს ვატარებ, შეიძლება რიგიანად ვერ გამომივიდეს," – საკუთარ თავში დარწმუნებული და ჯიუტად თავდაჯერებული მასწავლებლის იმიჯიდან სრულიად ამოვარდნილი ეს ფრაზა ქართული რეალობისთვის შეიძლება დღესაც უჩვეულო იყოს. გრიგოლ წიტაიშვილის პერსონაჟი გარემოს შეცვლას მხოლოდ სკოლაში კი არ ცდილობს, არამედ სოფლის ტრადიციულ საზოგადოებაშიც. ასეთი მოკრძალებული, მაგრამ უდრეკი რეფორმატორი მასწავლებელი ქართულ კინოში გამონაკლისი არ არის, მაგრამ საკმაოდ იშვიათია.

ლანა ღოღობერიძის ფილმში „როცა აყვავდა ნუში" (1971) მასწავლებელი მთავარ როლს არ ასრულებს, მაგრამ ცენტრალური პერსონაჟის ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ერევა. მთავარი გმირი დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ზურა მამაცაშვილია (ზურა ყიფშიძე). ეს ახალგაზრდა საკუთარ თავს რისკიანი ქმედებების უფლებას აძლევს, მაგალითად, მამის მეგობრის მანქანას გაიტაცებს. მოგვიანებით მისი მსხვერპლი უკვე ლექსო ხდება – თანაკლასელი და მეგობარი. ზურას მამა შვილს ყურადღებას არ აკლებს და მის დაუსჯელობას ახლობლებისა თუ ნაცნობების დახმარებით უზრუნველყოფს. მისგან განსხვავებით, ზურას მასწავლებელი ფიქრობს, რომ „არის საკითხები, რომლებზეც ხუმრობა არ შეიძლება". იგი სულ სამჯერ ჩნდება ეკრანზე: ფილმის დასაწყისში, ზუსტად შუაში და ბოლოს. რეჟისორმა მასწავლებლის ეკრანული ტრაექტორია სწორად გათვალა: ის მაშინ ჩნდება, როდესაც ზურას ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. პედაგოგის ვიზუალური მხარე ამ ფილმშიც ტრადიციულია (სათვალე, ულვაშები და ა.შ.), მაგრამ იცვლება რაკურსი – კამერა ქვემოდან იღებს პერსონაჟს, რაც მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და უფრო პათეტიკურადაც წარმოაჩენს.

ფილმში არ ჩანს, რამდენად ერევა მასწავლებელი მოსწავლეთა პირად ცხოვრებაში. დასასრულს, ზურა ყიფშიძის პერსონაჟი პედაგოგთან სასაუბროდ მიდის. თითქოს მღვდელთან აღსარებაზე იყოს, მასწავლებელთან პირისპირ დარჩენილი ბიჭი დანაშაულს ინანიებს, თუმცა უსიტყვოდ. საკლასო ოთახში განვითარებულ რიტუალურ სცენაში კი ზურა პედაგოგის წინაშე მორალურ ვალს იხდის. მასწავლებლის უკანასკნელი დამოძღვრა – „წადი, ზურა, კაცი მაინც იმითი იზომება, რამდენს იტვირთავს ცხოვრებაში" – ფილმის ბოლო ფრაზაა და მის მორალს გამოხატავს.

ამდენად, საბჭოთა მასწავლებლის ქართული მოდელი არც ისე ცალსახაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პერსონაჟების გალერეაში კომიკურ და არაკომპეტენტურ პედაგოგებს („არაჩვეულებრივი გამოფენა", „იმერული ესკიზები", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს"), მორალისტებს და მოძღვრებს („როცა აყვავდა ნუში") საკუთარი ადგილი უკავიათ, ისევე როგორც მასწავლებლებს შედარებით თავისუფალი აზროვნებით („ცისკრის ზარები").

P.S. თუ ქართული კინოს სინამდვილიდან გამოვალთ და უცხოურ ფილმებს გავიხსენებთ, პირველი რაც უცებ მოგვაგონდება, პიტერ უირის ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოებაა". როგორ შეძლო მასწავლებელმა, არათუ ერთი მოსწავლის, არამედ მთელი კლასის ცნობიერების შეცვლა. ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ პრესა აღნიშნავდა, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტა მასწავლებელი გამხდარიყო.

როგორ ვასწავლოთ „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსანზე“ მნიშვნელოვანი რომ ქართულ მწერლობას არაფერი შეუქმნია, ამას ნებისმიერი ქართველი გაიმეორებს, მაგრამ უმრავლესობა იმასაც გეტყვით, როგორ გაუჭირდა სკოლაში ამ პოემის აღქმა და თუ ჩაეკითხებით, გაგიმხელს, რომ სკოლის დამთავრების მერე მისი წაკითხვის სურვილი ნამდვილად აღარ გასჩენია.

ბელა ჩეკურიშვილი



რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატი

სკოლის ასაკში შოთა რუსთაველის პოემასთან პირველი შეხება ყველა ჩვენგანისთვის მართლაც რთული იყო, სულ ერთია, ხუთოსნები ვიყავით თუ სამოსნები.

პედაგოგები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მე-9 კლასში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება ნაადრევია. ზოგიერთი მათგანის აზრით, სჯობს, ქართული ლიტერატურის ისტორიას ქრონოლოგიურად არ მივყვეთ და რუსთაველის პოემა უფრო გვიან, მე-11 კლასის პროგრამაში შევიდეს. ზოგი კი ფიქრობს, რომ „ვეფხსიტყაოსნის“ გაცნობა პირველ-მეორე კლასში უნდა მოხდეს, რადგან ამ ასაკში მოსწავლე ნებისმიერ ტექსტს იოლად აღიქვამს, ხოლო პოემის ზღაპრულობა ბავშვებს მასთან მიახლოებას უადვილებს.

უკვე 20 წელია, ბრიტანული დაწყებითი სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ქეთი დოჩანაშვილი** მოსწავლეებს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას მე-2 კლასიდან აწყებინებს და ამას უამრავი ფაქტორით ხსნის: „ცნობილია, რომ ცნებების აღქმა სწორედ ამ ასაკში ხდება. აქედან გამომდინარე, რაც მეტ ცნებას შეითვისებს ბავშვი, უკეთესია. „ვეფხისტყაოსანი“ უამრავი ცნების განმარტებას იძლევა: სიკეთის, ბოროტების, სიუხვის, მეგობრობის, თავმდაბლობის. ბავშვები ამას ბუნებრივად აღიქვამენ. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ რაც უფრო სერიოზულია მასალა, მით უფრო კარგად სწავლობენ მას“.

რასაკვირველია, ვეფხისტყაოსნის ახსნა მეორეკლასელებისთვის შესაფერისი მეთოდით ხდება, მასწავლებელი მას ერთგვარი თამაშის ფორმას აძლევს.

სწავლების მეთოდი

ქეთი დოჩანაშვილი: „მოსწავლეებს კვირაში ერთხელ აქვთ „ვეფხისტყაოსნის“ დღე, როცა ისინი პოემიდან ერთ სტროფს სწავლობენ. მათ ლექსიკონებიც აქვთ, სადაც ყოველ სიტყვას იწერენ. ცნობილია, რომ ამ ასაკში ძალიან ეხალისებათ ამგვარი ჩანაწერების გაკეთება, უბის წიგნაკების შედგენა და ა.შ. როდესაც ყოველი სიტყვა განიმარტება, მოსწავლეები ამ სტროფს „თარგმნიან“ და მის შინაარსს წერენ. ახსნის პროცესში ტექსტს იმდენჯერ იმეორებენ, რომ თითქმის უკვე ზეპირად იციან, ანუ ისე ამახსოვრდებათ, ვერც კი ხვდებიან.

კითხვას პირველი თავიდან ვიწყებთ და ისეთ სტროფებს ვარჩევთ, სადაც ამბავი ჩანს. თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ გაუაზრებლად სწავლაც ძალიან სასარგებლოა, თუნდაც ენის სილამაზის აღსაქმელად. მე კი მაინც გააზრებულად სწავლას ვემხრობი და მე-2 კლასიდან ვიწყებ კითხვას და ახსნას.

მოსწავლეები ბევრ რამეს ეჩვევიან: უყალიბდებათ ტექსტის შინაარსის გადმოცემის უნარი, შეუძლიათ, ლექსი ამბად გადააქციონ და დაწერონ.

გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ცნებას ითავისებენ, ეს პოემა მათთვის ძალიან მშობლიური ხდება და უცხო სხეული აღარ არის“.

ბარიერები

გარდატეხის ასაკში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება ძალიან რთული ყოფილა. პედაგოგის თქმით, ამ დროს მოსწავლეებს სულ სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ და პოემის გაგება უჭირთ. ქეთი დოჩანაშვილი აღნიშნავს, რომ მე-9 კლასში, როცა „ვეფხისტყაოსანი“ სასკოლო პროგრამაში შემოდის, ბავშვების შინაგან სამყაროში ისედაც ქაოსია: ვერ მიმხვდარან, ვინ არიან და რა უნდათ, საკუთარი მიმართებების დალაგება უჭირთ, ამ დროს კი თავზე ასეთი რთული ტექსტი ატყდებათ.

„მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ დაწყებითი კლასიდან ვასწავლი, მიმაჩნია, რომ გარკვეულ ასაკში მისი სწავლება უნდა შეწყდეს: დაახლოებით მე-7 კლასში, შემდეგ კი მე-11-12 კლასებში განახლდეს. ამის თქმის უფლებას ტექსტისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება მაძლევს. მეცხრეკლასელები ისეთ კითხვებს მისვამენ ტარიელზე, ნესტანზე, მათ მიერ სასიძოს მოკვლაზე, ავთანდილის და ფატმანის დამოკიდებულებაზე, რომ ძალიან მიჭირს პასუხების გაცემა. ამ ასაკში სამყაროს სხვანაირად აღიქვამენ და ლიტერატურასაც სხვა მოთხოვნებს უყენებენ. დაწყებითი კლასის მოსწავლეს კი სულ სხვა დამოკიდებულება აქვს ტექსტის მიმართ. მეცხრეკლასელისაგან გასხვავებით, მას სულაც არ ეცინება ტარიელის ტირილზე. დაწყებით კლასში პოემის ზღაპრულობა ბარიერი არ ხდება“, – ამბობს ქეთი დოჩანაშვილი.

ქეთი დოჩანაშვილი

შედეგები

ისევ პედაგოგს ვუსმენთ: „უკეთესი იქნება, თუ „ვეფხისტყაოსანს“ უფრო ჩამოყალიბებულ მოზარდებს ვასწავლით. გარდა ამისა, როცა ისინი ტექსტის ენას ადრეული ასაკიდან ეჩვევიან, მაღალ კლასებში მისი წაკითხვა და გააზრება უიოლდებათ.

ამ პრინციპით ვასწავლიდით მე და ჩემი კოლეგები გერმანულ სკოლებში 15-20 წლის წინ. ეს საავტორო სკოლები იყო და დაწყებით კლასებში ამის საშუალება გვქონდა. წერა-კითხვას გოგებაშვილის დედაენით სწავლობდნენ, იქვე დამატებით „ვეფხისტყაოსანიც“ შეგვქონდა. მინდა გითხრათ, რომ ამგვარი სწავლებით ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ. როცა მოსწავლეები პროგრამულად იწყებდნენ „ვეფხისტყაოსანს“ (მიუხედავად, იმისა, რომ მე-9 კლასში სწავლას ვერ იტანენ და ყველაფერი ეზარებათ), მას თვენახევარში კითხულობდნენ. მათთვის ეს უცხო ტექსტი აღარ იყო, ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენებოდათ: ენის სტრუქტურა, სიტყვების წყობა და ა.შ. ბარიერები აღარ ჰქონდათ”.

რას ამბობს გამოცდილება

ქეთი დოჩანაშვილი: „ყოველ წელს ვფიქრობ, ხომ არ ვცდები და ადრე ხომ არ ვაწყებინებ? თაობები იცვლება. ასე 20 წლის წინ ვასწავლიდი და იქნებ ახლა აღარ უნდათ? მაგრამ ყოველ წელს ვხედავ, რომ ეხალისებათ. მე რომ დამავიწყდეს, ისინი მახსნებენ. ამ დღეს წიგნი სახლიდან უნდა მოიტანონ და არ ავიწყდებათ. ერთხელ მინდოდა, ის გაკვეთილი სხვა პროგრამული მასალისთვის გამომეყენებინა და არ გადამატანინეს, დღეს „ვეფხისტყაოსნის“ დღე გვაქვსო!

სხვადასხვა სკოლაში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ ეს ძალიან სახალისო მეთოდია. ბავშვებს მოსწონთ და ერთმანეთს ეჯიბრებიან: აბა, ვინ მეტი სიტყვა დაიმასხოვრა. მაგიდებს შემოვუსხდებით და შეჯიბრს ვმართავთ ხოლმე. ისინი მშობლებთანაც ამაყობენ, რომ ხშირად მათზე მეტი იციან. ეს თვითმიზანი არ არის. მიზანი ისაა, რომ ბავშვი განვითარდეს და ბევრ რამეზე დაფიქრდეს. მოსწავლეები წაკითხული სტროფების მიხედვით მსჯელობენ, როგორია როსტევან მეფე, თინათინი... ცდილობენ გამოიცნონ, მერე რა მოხდება“.

რა იციან მე-2 კლასელებმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ბავშვებმა იციან, რომ ეს პოემა შოთა რუსთაველმა დაწერა. ისიც გაუგონიათ, თინათინი თამარის სახე ყოფილა. მასწავლებლის თქმით, როცა ტექსტის კითხვას იწყებენ, მეორეკლასელები სახლშიც ამაზე საუბრობენ და ყოველ გაკვეთლზე ახალი ინფორმაციით დატვირთულები მოდიან. ასე რომ, სიუჟეტური პერიპეტიები ყოველდღიურ სასაუბრო თემად იქცევა ხოლმე. ბავშვები მსჯელობენ, ვინ უფრო ძლიერია: ტარიელი, ავთანდილი თუ ფრიდონი, ვინ უფრო ლამაზია: თინათინი თუ ნესტანი. დასვენებებზეც კი ამას განიხილავენ.

თითქმის ყველა თანხმდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება გარკვეულწილად უნდა შეიცვალოს: რუსთაველის პოემა ხელშეუხებელ სამუზეუმო ექსპონატად აღარ უნდა აღიქმებოდეს. ეს კი სწორედ სკოლის წლებიდან უნდა დაიწყოს. პედაგოგების გადასაწყვეტია, რა მეთოდებით მოახერხებენ მოზარდების დაინტერესებას. ყოველ შემთხვევაში, ის რაც ქეთი დოჩანაშვილმა და მისმა რამდენიმე კოლეგამ მოიფიქრა, ასე თუ ისე ამართლებს.

ქიმიის გაკვეთილის ფორმულა

სტერეოტიპები ინგრევა: ქიმიის გაკვეთილი შეიძლება არც ისე მოსაწყენი იყოს – ქუთაისის 22-ე საჯარო სკოლის გამოცდილება

გაკვეთილები ერთმანეთს არ უნდა ჰგავდეს: ბავშვების ენაზე რომ ვთქვათ, „მაგარი“ მასწავლებელი ვერ გახდები, ნოვატორული იდეებითა და სწავლების ახალი მეთოდებით დაინტერესების გარეშე – მითუმეტეს, თუ მოსწავლეებს ისეთ საგანს ასწავლი, როგორიც ქიმიაა.

მაკა ჩინიჯიშვილი

„ვფიქრობ, რომ ყველა პროფესია რთულია, თუ მას სერიოზულად მიუდგები, მით უფრო პედაგოგობა. აქ ხომ ბავშვთან გაქვს საქმე, მხოლოდ მასალის ახსნით და გამოკითხვით კარგ გაკვეთილს ვერ ჩაატარებ“, – ეს სიტყვები **ხათუნა ზურაბიანს** ეკუთვნის, ქუთაისის 22-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელს. მისი გაკვეთილები თითქმის ყოველთვის განსხვავებულია – ამას ბავშვები ამბობენ. „ხათუნა მასწავლებელი ყოველთვის რაღაც ახალს იგონებს: ხან ცდებს, ხან მინი-კონფერენციებს, პროექტებს, ვიქტორინებს. ამიტომაც აქვს ორიგინალური გაკვეთილები და ყველაზე ზარმაც მოსწავლეებსაც კი იზიდავს,“ – ასე ახასიათებს მას ერთ-ერთი მოსწავლე, თამარ ოყრეშიძე.

„ქიმია სპეციფიკური საგანია. თუ ცოტა სახალისო ელემენტები არ შეიტანე, ბავშვებს ვერ დააინტერესებ. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, რაღაც სიახლეები მოვიგონო," – ამბობს ხათუნა ზურაბიანი.

მასწავლებელი მოსწავლეებს ხან სადემონსტრაციო ცდებს უტარებს, ხანაც მათთან ერთად „ქიმიურ ზღაპრებს" თხზავს. ცოტა ხნის წინ სკოლაში კონკურსიც გაიმართა: „მხიარული და საზრიანი ქიმიკოსები". იგი რამდენიმე ტურისგან შედგებოდა. ერთმანეთს ორი ჯგუფი ეჯიბრებოდა, ერთ გუნდს „წყალბადი" ერქვა, მეორეს კი – „ნახშიროჟანგი". პირველ ტურში მოსწავლეებს საკუთარი გუნდის სახელი, რაც შეიძლება, უკეთ უნდა წარმოეჩინათ, ხოლო მეორე ტურში ერთს წყალბადისთვის უნდა გაეკეთებინა რეკლამა, მეორეს – ნახშიროჟანგისთვის. 5-7 წუთში ქიმიური ელემეტების შესახებ ბავშვებს რებუსები უნდა მოეფიქრებინათ, ლაბორანტის მიერ შეცდომით ჩატარებული ცდები თავად უნდა გაესწორებინათ და ა.შ. ამ კონკურსის შემდეგ სკოლაში ქიმია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საგანი გახდა.

რამდენიმე კვირის წინ ახალგაზრდა ქიმიკოსებმა, ხათუნა მასწავლებლის დახმარებით, მინი-კონფერენციაც გამართეს, ოღონდ განსხვავებული ფორმატით. „კონფერენციის თემა „ენერგიის ალტერნატიული წყაროები" იყო. მონაწილეები ძირითადად წყალბადის გამოყენებაზე მსჯელობდნენ. ეს საკითხი მაშინ წამოიჭრა, როცა გაკვეთილზე ნავთობპროდუქტებს გავდიოდით. ბავშვებს როლები წინასწარ გავუნაწილეთ: ზოგი ენერგეტიკოსი იყო, ზოგი – ქიმიკოსი, ზოგი – ეკოლოგი. გვყავდნენ ჟურნალისტებიც," – იხსენებს ხათუნა ზურაბიანი.

ამ საკითხის მიმართ მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს, კომპიუტერულ ცენტრში საათობით ისხდნენ და ინტერნეტში მასალებს ეძებდნენ. „ჟურნალისტებმა" მეტყველება „დაიყენეს" და სათვალეც მოირგეს, სადღაც მიკროფონიც კი მოიძიეს. „ენერგეტიკოსების" მიერ წარმოდგენილი მასალით კი კონფერენციის მონაწილეებიც და მსმენელებიც აღფრთოვანებულები დარჩნენ.

ხათუნა ზურაბიანის ხელმძღვანელობით ცოტა ხნის წინ სასწავლო პროექტიც განხორციელდა: „ჩემი საცხოვრებელი ადგილი." სკოლაში ამბობენ, რომ პროექტმა მოსწავლეები ძალიან დააინტერესა. თვეების განმავლობაში ისინი მასალებს არქივსა და ბიბლიოთეკებში ეძებდნენ, ინტერვიუებს წერდნენ, ფოტოებს იღებდნენ და საბოლოოდ, საკუთარი საცხოვრებელი გარემოს შესახებ უამრავი ინფორმაცია შეაგროვეს.

„ეს მათთვის ძალიან კარგი გამოცდილება იყო. დამოუკიდებლად მუშაობა ისწავლეს. ამ პროექტმა თავისი მისია უკვე შეასრულა. ბავშვებმა იციან, სად, როგორ გარემოში ცხოვრობენ და რა ხდება მათ ირგვლივ," – ამბობს ხათუნა ზურაბიანი.

გზა „ჩემი მოსწავლეებიდან“ - „ჩემს ბავშვებამდე“

ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლები უმთავრესად ქალები არიან და მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავის საქმეს მშვენივრად უძღვებიან, გაკვეთილზე მამაკაცის გამოჩენას მაინც სხვა ხიბლი აქვს. ესეც ალბათ იშვიათობის ბრალია – სინამდვილეში, მასწავლებლის მოვალეობაში ხარისხიანი სწავლება შედის და მის სქესს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ბელა ჩეკურიშვილი

როგორც ახალგაზრდა მასწავლებელი **კობა ოთარაშვილი** ამბობს, აქ საქმე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებასთან უნდა გვქონდეს, რადგან პედაგოგის დაძაბული შრომისათვის ასე ადვილად თავი არავის ემეტება. ქალებიც და მამაკაცებიც, ამ შემთხვევაში, მცირე ხელფასის გარდა, დატვირთვას და პასუხისმგებლობას გაურბიან.

კობა ოთარაშვილი 26 წლისაა და ოთხი წელია, რაც პედაგოგად მუშაობს. ამჟამად იგი ქართულ-გერმანულ სკოლა „A-Z“-ში მათემატიკას ასწავლის.

რა აძლევს სკოლაში მუშაობის მოტივაციას

სკოლას იმიტომ შემოვრჩი, რომ აქ იმას ვაკეთებ, რაც ვიცი. ერთხელ წამოვედი და მივხვდი, მოსწავლეების მიტოვება მარტივი არ ყოფილა. ისე მენატრებოდა ის სკოლა, რომ სანახავად წავედი. ვისხედით და ძველ ამბებს ვიხსენებდით. აღმოჩნდა, რომ სიყვარულიც ყოფილა და პატივისცემაც. ქართველი მასწავლებლები მოსწავლეებზე საუბრისას ამბობენ: „ჩემი ბავშვები“. მე ვამბობ: „ჩემი მოსწავლეები“ – როგორც ჩანს, 4 წელი საკმარისი არ არის. მერე ალბათ მეც ასე დავიწყებ ლაპარაკს.

მასწავლებლობა ნებისმიერ სკოლაში და ნებისმიერ ქვეყნაში რთულია. სკოლა კვირაში შვიდდღიანი სამუშაოა. ისე არ ხდება, რომ 3-ზე გაკვეთილებს დაამთავრებ და წამოხვალ. მოდიხარ და თან მოგაქვს რვეულები, მეორე დღისთვის მასალაც გაქვს მოსამზადებელი... თუ არ მოემზადები და ინფორმაციას სწორად არ მიაწვდი, არ დაგიჯერებენ: სიყალბეს ყველა ამჩნევს.

როგორ ახერხებს მოსწავლეების დაინტერესებას

ვცდილობ, მათთვის გასაგებ ენაზე ვესაუბრო. რაც შეიძლება, მარტივად ვუხსნი და მერე გადავდივარ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე. ეს მანამდე გრძელდება, სანამ ყველას არ შეეცვლება თვალების გამომეტყველება და არ მივხვდები, რომ გაიგეს. შეიძლება ერთ გაკვეთილში ვერც კი მოვასწრო.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ნაშრომი დაუფასდება. რასაც დაავალებ,

მასწავლებლობა ნებისმიერ სკოლაში და ნებისმიერ ქვეყანაში რთულია. სკოლა კვირაში შვიდდღიანი სამუშაოა. ისე არ ხდება, რომ 3-ზე გაკვეთილებს დაამთავრებ და წამოხვალ. მოდიხარ და თან მოგაქვს რვეულები, მეორე დღისთვის მასალაც გაქვს მოსამზადებელი... თუ არ მოემზადები და ინფორმაციას სწორად არ მიაწვდი, არ დაგიჯერებენ: სიყალბეს ყველა ამჩნევს.

უნდა მოსთხოვო, თორემ მერე აღარ მოიტანს. წიგნზე მუშაობა ადვილი არ არის. ამ თაობისთვის წიგნზე მუშაობა უცხოა და ბავშვები მუდმივად ახსნას ითხოვენ. ვცდილობ, მივაჩვიო ისინი, რომ ამოცანა თვითონ გაიაზრონ – მიზანი ამოხსნა კი არა, მისი გააზრებაა.

რამდენად აღწევს შედეგს

შედეგები ნამდვილად არის. ეს აზარტიცაა: როცა ხედავ, რომ მოსწავლისგან რაღაცის გამოდნობა შეიძლება, ცდილობ, ყველაფერი გააკეთებინო. თავიდან ბრძოლას ჰგავს: ან გამოგყვება, ან არა. მე-8 კლასი განსაკუთრებით რთულია მოსწავლეების გარდამავალი ასაკის გამო. გაკვეთილისკენ მათი შემობრუნება ადვილი არ არის. ხანდახან საჭიროა, ასახსნელ მასალას თავი დაანებო, რომ ისინი დააინტერესო. თუ ეს მოახერხე, მერე ყველა ერთვება მუშაობაში. სასიამოვნო გრძნობაა, როცა მოსწავლეს შენი დაწერილი ათიანი უხარია. ცოტა ძნელი მისაღწევიც უნდა იყოს ეს ათიანი, თორემ სიხარული ნაკლები იქნება.

დისციპლინა მამაკაცი მასწავლებლისთვის

უფრო ადვილად ვახერხებ ამას, ვიდრე წარმომედგინა. თუმცა ვერ გავრისკავ, 40 ბავშვთან შევიდე კლასში. ეს ძალიან დიდი რაოდენობაა. ერთი წელი არ გეყოფა, რომ ყველა გაიცნო. როცა მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მის პიროვნებას აქცევს ყურადღებას, თვითონაც პატივისცემით პასუხობს. კლასი ცოცხალი ორგანიზმია: სიცილიც არის და ჟრიამულიც. მთავარია, ეს საქმიანი ჟრიამული იყოს, ვთქვათ, პასუხის გაცემაზე ან მაგალითის ამოხსნაზე დასწრება. ეს უკეთესია, ვიდრე ბუზის გაფრენა.

როცა პირველად შედიხარ კლასში, გცდიან და გამოწმებენ. არავინ თქვას, რომ მასწავლებელი მოსწავლეს რაღაცით აღემატება. გაკვეთილზეც და გაკვეთილის გარეთაც ყველა პიროვნებაა. როდესაც ხედავ, რომ მოსწავლე აღელვებული შემოვიდა კლასში, შეგიძლია მას რამდენიმე წუთიც დაუთმო. ასევე, მოსწავლეს ვერ უპასუხებ, სხვას ჰკითხეო, როცა მას შენი აზრი აინტერესებს.

მოსწავლისა და მასწავლებელის ძირითადი პრობლემა

პრობლემა ხმამაღალი ნათქვამია. მგონი, განსაკუთრებული პრობლემები მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არც არსებობს. ერთადერთი პრობლემა სიზარმაცეა, ანუ როცა ვერ შეთანხმებულან, რომ მოსწავლემ უნდა ისწავლოს, მასწავლებელმა კი ასწავლოს.

უფრო პრობლემატურად იმ საკითხს მივიჩნევდი, რომ სკოლაში იშვიათია ახალგაზრდა მასწავლებელი და თანაც მამაკაცი. მასწავლებლობა მხოლოდ ქალისთვის განკუთვნილ პროფესიად არ უნდა ითვლებოდეს და საზოგადოებაშიც არ უნდა იყოს ისეთი დამოკიდებულება, რომ რაკი მამაკაცი მასწავლებელი ხარ, ესე იგი, რაღაც გჭირს. ერთხელ, მიკროავტობუსში მოსწავლემ ფული გადამიხადა და ჩასვლისას ხმამაღლა მითხრა: „კობა მასწ, თქვენი გადახდილია“. მანქანა ადგილიდან არ დაიძრა, მძღოლიან-მგზავრებიანად ყველა ჩემკენ შემობრუნდა. ეს გაშეშების რამდენიმე წამი იყო.

ფიზიკა მეც მასწავლებელმა შემაყვარა. კაცი მასწავლებელი გვყავდა და ყველაფერზე ვსაუბრობდით. დედაჩემიც მასწავლებელია, ქიმიას ასწავლის სკოლაში. ვუყურებდი, როგორი დაუფასებელი იყო ეს პროფესია და არასდროს მინდოდა, მასწავლებელი ვყოფილიყავი, მაგრამ ნათქვამია, არასდროს თქვა არასდროსო.

ესთეტი ბავშვები

ანუ სასკოლო ღონისძიება და მისი დაგეგმვა

მოზარდის ესთეტად ჩამოყალიბება სკოლას ისევე ევალება, როგორც მისი ფიზიკური მომზადება. სასკოლო საღამოები, კარნავალები და სხვა მსგავსი ღონისძიებები სწორედ ამას უწყობს ხელს.

თეა თოფურია

თბილისის 190-ე სკოლაში მეექვსეკლასელებმა საღამო გამართეს: „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“. ის იმ პოეტებს ეძღვნებოდა, რომლებიც მთაწმინდის პანთეონში არიან დაკრძალულნი. დღეს სკოლებში ძირითადად სწორედ ამგვარ საღამოებს აწყობენ ხოლმე. ღონისძიების ორგანიზატორი ზაირა ადამაშვილი ამბობს, რომ ბავშვებმა მწერლებზე უამრავი ახალი რამ გაიგეს, თან იმ ლექსების დასწავლა მოუხდათ, რომლებიც პროგრამაში არ იყო.

როგორც მსგავს წარმოდგენებზე ხდება ხოლმე, ყველამ ის გააკეთა, რაც შეეძლო: ზოგმა იმღერა, ზოგმა დაუკრა, უმეტესობამ ლექსები წაიკითხა.

ზაირა ადამაშვილი, *ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:* „მუსიკალური ნაწილის მომზადებაში სიმღერის მასწავლებელი გვეხმარებოდა. ისე, ბავშვები ბევრ რამეს თვითონ აკეთებდნენ, მწერლებზე ინფორმაციას ეძებდნენ და მოჰქონდათ. ლექსი „საბა“ ისე მოეწონათ, ყველამ დაიზეპირა. კარნავალებსაც ვაწყობთ ხოლმე და ამ დროს ფორმებს თავად ბავშვები ამზადებენ“.

მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა მოზარდებს ძალიან უხარიათ. მათთვის ეს დღესასწაულია. კულტურული ღონისძიებების ჩატარება კარგი და აუცილებელია, მაგრამ აქ ერთი პრობლემა იჩენს თავს: ყველაფერს სკოლის რესურსით ვერ გააკეთებ. საღამოს ორგანიზებას სპეციალისტი სჭირდება, რომლის მოწვევის საშუალება, შესაძლოა, სკოლას არ ჰქონდეს.

მიხეილ ანთაძე, *ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრის მმართველი:* „როგორც რეჟისორი ვერ მივა სკოლაში და ისტორიის გაკვეთილს ვერ ჩაატარებს, ისე ისტორიის მასწავლებელი ვერ შეძლებს, რომ გააკეთოს ის, რის გაკეთებასაც ხუთი წლის განმავლობაში ასწავლიან, ანუ რეჟისურა. ძალიან ბევრი რამ უნდა იცოდეს: მასალის შერჩევა, სცენარის დაწერა, მხატვრული კითხვა. ერთია, როდესაც ბავშვი ლექსს ზეპირად სწავლობს და ამბობს, მაგრამ მეორეა მისი მხატვრულად წაკითხვა. თუ ბავშვს ეს არ ასწავლეს, მისი ნათქვამი ლექსი ძალიან პათეტიკური გამოვა“.

სასკოლო ღონისძიებები მთელს მსოფლიოში ტარდება. მიხეილ ანთაძის თქმით, საზღვარგარეთ წარმოდგენის დადგმას ხშირად თავად ბავშვებს ანდობენ – კერძოდ მათ, ვისაც რეჟისურის ნიჭი აქვთ. მართალია, ეს წარმოდგენები სრულყოფილი არ არის, მაგრამ ისინი მთლიანად ბავშვების მოწყობილია და შესაბამისად, სახალისოცაა. სპექტაკლი იმისთვის არ იდგმება, რომ მან სკოლას სახელი გაუთქვას. ის, უბრალოდ, მოზარდებისთვისაა და მაყურებლებიც მათივე თანატოლები და მშობლები არიან.

> სასკოლო ღონისძიება მხოლოდ ერთჯერად სანახაობად რომ არ დარჩეს, სასურველია, მასწავლებელმა ის, როგორც სასწავლო რესურსი, ისე გამოიყენოს.

ის ასევე გვარწმუნებს, ბავშვების გემოვნება დროსთან ერთად შეიცვალა, შესაბამისად, მიდგომაც უნდა შეიცვალოსო.

თანამედროვე ბავშვი გაცილებით მომთხოვნი და პრეტენზიულია. შესაბამისად, იმისთვის, რომ სკოლამ კულტურული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება შეძლოს, არსებული გზებიდან ერთ-ერთს უნდა მიმართოს:

ყველზე სასურველია სპეციალისტის მოწვევა (ზოგ სკოლაში შესაბამისი შტატიც არის დაშვებული). რა თქმა უნდა, სპეციალისტს სათანადო ჰონორარი და აგრეთვე ინვენტარი დასჭირდება: სცენა, აპარატურა, კოსტიუმები...

თუ სკოლას სათანადო რესურსი არ გააჩნია, სჯობს, მსგავსი ღონისძიების ორგანიზება ხელოვნების მასწავლებელმა ითავოს.

კიდევ ერთი გამოსავალია: თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების მოწვევა. მათთვის ეს სტაჟირება და პრაქტიკა იქნება, სკოლა კი კვალიფიციურად მომზადებულ ღონისძიებას უფასოდ მიიღებს.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტის კოორდინატორი **თინათინ ქავთარაძე** ამბობს, რომ ამგვარი ღონისძიებების **მიზანი** მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. ის სასწავლო მიზნებსა და ბავშვების ასაკს უნდა მოერგოს: მაგალითად, თუ დაწყებით კლასებში პოეზიის საღამო მიზნად ისახავს მეხსიერების უნარის განვითარებას, სიტყვების მარაგის დაგროვებას და ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების გაცნობას, უფროს კლასებში მსგავსი სასწავლო მიზნების დასახვა არაადეკვატური იქნება. ზედა კლასებში გაცილებით აქტუალურია ასაკის შესაბამისი სისტემური აზროვნების, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება, მაგალითად, იმის განხილვა, რატომ ასახავდა პოეტი თავის შემოქმედებაში ამა თუ იმ მოვლენას, რა ეპოქალური მოვლენები და პოლიტიკურ-სოციალური ცვლილებები ახდენდნენ გავლენას მის თანამედროვე საზოგადოებაზე, რაც თავის მხრივ პოეტის შემოქმედებაში აისახებოდა და ა.შ.

თინათინ ქავთარაძე: „რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებების მიზანი ცოდნის სოციალური მხარის დემონსტრირებაც არის – მოპოვებული ცოდნის საჯაროდ წარმოდგენა. აუცილებელია,

საზღვარგარეთ წარმოდგენის დადგმას ხშირად თავად ბავშვებს ანდობენ – კერძოდ მათ, ვისაც რეჟისურის ნიჭი აქვთ. მართალია, ეს წარმოდგენები სრულყოფილი არ არის, მაგრამ ისინი მთლიანად ბავშვების მოწყობილია და შესაბამისად, სახალისოცაა.

ბავშვებს თავიდანვე ჩამოუყალიბდეთ საზოგადოებასთან და ერთმანეთთან ურთიერთობის კულტურა – ისინი ხომ ერთმანეთისგან ისევე სწავლობენ, როგორც წიგნებიდან.

მაღალ კლასებში ლიბერალი მოაზროვნეების, ავგუსტო ბოალისა და პაულო ფრეერის მიდგომების გამოყენებაც შეიძლება, მაგალითად, ფორუმ-თეატრის. თავიდან კლასში მოსწავლეებისთვის აქტუალურ და საინტერესო თემას ირჩევენ. მერე კი, მასწავლებლის მინიმალური ჩარევით, მოზარდები სცენარს თავად წერენ, როლებს ინაწილებენ, რეპეტიციებს აწყობენ და ბოლოს სპექტაკლს წარმოადგენენ. ისინი თითქმის ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებენ, პედაგოგი, უბრალოდ, მათ თვალყურს ადევნებს და უფრო დამხმარის, მენეჯერის როლში გამოდის. აქტუალურ თემად შეიძლება პოლიტიკური მოვლენები ან ისეთი სოციალური პრობლემები იქცეს, როგორიცაა: ნარკომანია, კრიმინალი, გენდერული საკითხები და ა.შ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ სპექტაკლის პირველი ჩვენებისთანავე განმეორებითი ჩვენება იმართება, სადაც მაყურებელს დისკუსიაში ჩაბმა, საკუთარი აზრის გამოთქმა და სიუჟეტის მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია – ეს იმისათვის, რომ მისი დასასრული უფრო დადებითი და კონსტრუქციული გახდეს. ფორუმ-თეატრი მოზარდებში, ისეთ სოციალურ-აკადემიურ უნარებთან ერთად, როგორიცაა: სცენარის წერა, ტექსტზე მუშაობა, როლების განაწილებაზე მოლაპარაკება და ა.შ. განსაკუთრებულად კრიტიკულ აზროვნებასა და მოვლენების ალტერნატიულ ხედვას ავითარებს. ბავშვები იმასაც ხვდებიან, რომ „გამოუვალი სიტუაციები“ არ არსებობს.

ჩემი აზრით, მსგავსი სასკოლო ღონისძიებების პრინციპი, ბავშვების ასაკის მატებასთან ერთად, შემდეგნაირად უნდა იცვლებოდეს: მასწავლებლის მიერ მთლიანად მართულ-დაგეგმილიდან მოსწავლეების მიერ დაგეგმილის სახეს უნდა იღებდეს, აგრეთვე მასალის, თემის გამეორება-ზეპირი გადმოცემა მისი კრიტიკული განხილვითა და განსჯით უნდა იცვლებოდეს. მჯერა, რომ ასეთი ღონისძიებები მოსაწყენად ან უგემოვნოდ არასდროს მოგვეჩვენება!“

შეიძინეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ **თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს და „პლანეტა ფორტე“-ს საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!**

გამოიწერეთ **ჟურნალი „მასწავალებელი“ საქართველოს რეგიონებში!**

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშწრებით.
ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარპრესა, 7 22 42;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;
ახალციხე	დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;
მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
სენაკი	რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46;
ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზხირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
ცაგერი	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
წალკა	ლენინის ქ. 68
წალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“

ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2ა, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ალბერტ აინშტეინს უყვარდა ჩარლი ჩაპლინის ფილმები და მისი ეკრანის გმირებს დიდი სიმპატიით ეპყრობოდა. ერთხელ მან ჩაპლინს წერილი მისწერა: „თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება“ მთელი მსოფლიოსთვისაა გასაგები, თქვენ უსათუოდ დიდი ადამიანი გახდებით.

ჩაპლინმა უპასუხა:

„მე თქვენით უფრო მეტად ვარ აღტაცებული. თქვენი ფარდობითობის თეორია ყველასთვის როდია გასაგები, მაგრამ თქვენ მაინც დიდი ადამიანი გახდით...